

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
სტანდარტები  
ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე**



**საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ანალიტიკური განყოფილება  
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

**თბილისი**

**2020**



კრებულის რედაქტორი:

**მარინე კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებული შეადგინეს და დაამუშავეს:

**ეკა მამალაძემ**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარი  
კონსულტანტი

**გულიკო მჭედლიშვილმა**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის უფროსი  
კონსულტანტი

**ნიკო დათეშიძემ**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
კონსულტანტი

## წინათქმა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ფარგლებში მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომებსა და პრეცედენტულ სამართალს განსაზღვრულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

კრებული სამ ნაწილად იყოფა და ის აერთიანებს სამ საკითხს სამართლის თითოეულ სფეროსთან მიმართებით. კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სისხლის სამართლის საქმის განხილვა გონივრულ ვადაში, სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ფარგლები ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნით, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა და მისი პროპორციულობა, გარდაცვლილი პირის ცილისწამება და სხვ.

ამდენად, ის საინტერესო იქნება როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებისთვის, ასევე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

**მარინე კვაჭაძე**  
**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**

## სარჩევი

<b>სისხლის სამართლის საკითხები .....</b>	<b>5</b>
სისხლის სამართლის საქმის განხილვა გონივრულ ვადაში .....	5
სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ფარგლები ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნით .....	13
საქმის ზეპირი მოსმენის უფლების ზოგადი ხასიათი და მისი უზრუნველყოფა კონკრეტულ გარემოებებში .....	23
<b>ადმინისტრაციული სამართლის საკითხები .....</b>	<b>34</b>
საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა და მისი პროპორციულობა .....	34
გადაწყვეტილების გადასინჯვა სრული იურისდიქციის მეორე სასამართლოს მიერ .....	43
ეროვნული სასამართლოების ვალდებულება დაასაბუთონ მათი უარი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით .....	53
<b>სამოქალაქო სამართლის საკითხები .....</b>	<b>57</b>
გარდაცვლილი პირის ცილისწამება.....	57
სასამართლო ბაჟის საკითხი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ჭრილში.....	63
ჟურნალისტთა წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა .....	70

# სისხლის სამართლის საკითხები

## სისხლის სამართლის საქმის განხილვა გონივრულ ვადაში

### მუხლი 6 § 1

„ .... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის ... განხილვის უფლება ... “

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოებმა გადაწყვეტილება „გონივრულ ვადაში“ უნდა მიიღონ. აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და მათი ბრალულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნეს მიღებული.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს [შემდგომში სტრასბურგის სასამართლო] წინაშე არსებული არაერთი საჩივარი ეფუძნება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ აღნიშნულ პროცედურულ გარანტიას, რაც სტრასბურგის სასამართლოს გადატვირთვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, სამართალწარმოების ხანგრძლივობის ვადის ათვლა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისას შეიძლება დაიწყოს მანამ, სანამ საქმე განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაეცემა<sup>2</sup>, მაგალითად, დაკავების მომენტიდან<sup>3</sup>, იმ დღიდან, როდესაც პირს „ბრალი“ წარედგინება<sup>4</sup> ან წინასწარი გამოძიების დაწყების თარიღიდან<sup>5</sup>.

დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ტერმინი ბრალის წარდგენა ავტონომიური ხასიათისაა და უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაში მისი მნიშვნელობით, არამედ კონვენციის ფარგლებში მისთვის მინიჭებული მნიშვნელობით. კერძოდ, ბრალის წარდგენა შეიძლება განიმარტოს, როგორც „კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს მიერ პირის ოფიციალური ინფორმირება, რომ მას ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“. <sup>6</sup>

<sup>1</sup> Wemhoff v Germany, § 18; Kart v. Turkey [GC], § 68).

<sup>2</sup> Deweer v. Belgium, § 42.

<sup>3</sup> Wemhoff v Germany, § 19.

<sup>4</sup> Neumeister v. Austria, § 18.

<sup>5</sup> Ringeisen v. Austria, § 110.

<sup>6</sup> Deweer v. Belgium, § 46.

სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს, როგორც წესი, ბრალი წარედგინება მისი დაკავების დღეს ან როდესაც გაიხსნება სისხლისსამართლებრივი გამოძიება.<sup>7</sup> სტრასბურგის სასამართლო აგრეთვე მიიჩნევს, რომ მხედველობაში მისაღები პერიოდი შესაძლოა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მომჩივანი საქმეზე დაიკითხა ექვმიტანილის სახით<sup>8</sup> ან იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ მოწმის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.<sup>9</sup>

აღსანიშნავია, რომ როდესაც საქმე დაიხურება და შემდეგ ხელახლა გაიხსნება - ის, პერიოდი, როდესაც არ მიმდინარეობდა საქმის განხილვა, გამორიცხული უნდა იქნეს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შესწავლის საანგარიშო პერიოდიდან.<sup>10</sup>

რაც შეეხება დროის ათვლის საბოლოო წერტილს, როგორც სამოქალაქო, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე დროის ათვლა სრულდება ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გონივრული ვადა სამართალწარმოების მთელ პერიოდს, მათ შორის გასაჩივრების წარმოებასაც გულისხმობს.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის უარყოფდა გარკვეული ცხრილის დადგენას, სადაც მითითებული იქნებოდა რამდენი წელი უნდა მიჩნეულიყო გონივრულად სამართალწარმოების თითოეული ეტაპისთვის. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს<sup>12</sup>. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“<sup>13</sup>.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ საქმეებზე ხელისუფლების ორგანოებმა განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოავლინონ. კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება, როდესაც საქმე ეხება ძალადობის მსხვერპლ პირებს. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება, როდესაც იხილავენ საქმეს, სადაც პირი დავობს, რომ ის პოლიციის ოფიცრების მხრიდან ძალადობას დაექვემდებარა“.

<sup>7</sup> Assunção Santos v Portugal, No. 6015/09, 26 June 2012, at para 39; Grigoryan v Armenia, No. 3627/06, 10 July 2012, at para 126; Grigoryev v Russia, No. 22663/06, 23 October 2012, at para 90.

<sup>8</sup> Dimitar Vasilev v Bulgaria, No. 10302/05, 10 April 2012, at para 25; Grishin v Russia, No. 14807/08, 24 July 2012, at para 168; Svinarenko and Slyadnev v Russia, Nos 32541/08 and 43441/08, 11 December 2012, at para 74 (referred to the Grand Chamber).

<sup>9</sup> Grigoryan v Armenia, No. 3627/06, 10 July 2012, at para 128.

<sup>10</sup> Skorobogatova v. Russia, §§37-42.

<sup>11</sup> Delcourt v. Belgium, §§ 25-26; König v. Germany, § 98; V. v. the United Kingdom [GC], § 109).

<sup>12</sup> Boddaert v. Belgium, § 36.

<sup>13</sup> Dobbertain v. France, § 44.

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ „მომჩივნის სისხლის სამართლის საჩივარს იძიებდნენ შვიდ წელზე მეტხანს“.<sup>14</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა:

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების გონივრულობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებებია:**

- საქმის სირთულე;
- მომჩივნისა და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ქცევა;
- და აგრეთვე, რა დგას მომჩივნისათვის საფრთხის ქვეშ<sup>15</sup>.

ამდენად, გონივრული ვადის მოთხოვნის დაცვა ფასდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე განიხილება მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან გონივრული ვადის მოთხოვნის არაერთი დარღვევის ფონზე, რაც განპირობებულია სასამართლო სისტემის ორგანიზაციული გაუმართაობით. მაგალითად, მრავალი წლის განმავლობაში, რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში (მაგ., იტალიაში, პოლონეთსა და საბერძნეთში), გარკვეული ტიპის დავებზე სამართალწარმოება იმდენად გადაჭარბებული ხასიათის იყო, რომ ამან ინსტიტუციური ხასიათი მიიღო. მსგავს შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული საქმის მიღმა ასეთი „პრაქტიკა“ დგას, სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევის დადგენისას აღარ განიხილავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს: ამავე სფეროში სახელმწიფოს წინააღმდეგ დადგენილი წინა გადაწყვეტილებები და სათანადო ზოგადი ღონისძიების არარსებობა, რათა აღმოფხვრილ იქნეს ეს პრობლემა, ცხადყოფს ქვეყანაში ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობას.

ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული ის ოთხი კრიტერიუმი, რომელიც სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასების მიზნით ყოველ კონკრეტულ საქმეზე განიხილება:

➤ **საქმის სირთულე**

თუ სამართალწარმოების მიმდინარეობისას განსაკუთრებით რთული ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხები უნდა განისაზღვროს, სამართალწარმოების ხანგრძლივობა შესაძლოა გაიზარდოს. სამართალწარმოების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ

<sup>14</sup> Caloc v. France, 20 July 2000, §§120 and 119.

<sup>15</sup> Frydlander v. France [GC], 27 June 2000, §43; McFarlane v Ireland (Grand Chamber), No. 3133/06, 10 September 2010, at para 140; Idalov v Russia (Grand Chamber), No. 5826/03, 22 May 2012, at para 186.

იქნას თუ, მაგალითად, არსებობს ბრალდებულთა დიდი ოდენობა<sup>16</sup>, თუ საჭიროა რამდენიმე ექსპერტიზის ჩატარება<sup>17</sup> ან თუ ჩვენება არაერთი მოწმისგან უნდა იქნეს აღებული;<sup>18</sup> აგრეთვე, მაგალითად, როცა ის ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას.<sup>19</sup> საქმის გაჭიანურება შესაძლოა გამოიწვიოს რთული სამართლებრივი საკითხების განხილვამაც, როდესაც წარმოიშვება განსჯადობის<sup>20</sup>; ნორმის კონსტიტუციურობის<sup>21</sup> და საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტების საკითხი<sup>22</sup>.

### ➤ მომჩივნის ქმედება

ამ კრიტერიუმის თანახმად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ეკისრება თუ არა მომჩივანს გარკვეული პასუხისმგებლობა სამართალწარმოების გაჭიანურებისათვის. მაგალითად, მან შეიძლება ხელი შეუშალოს სამართალწარმოების გონივრულ ვადაში განხილვას, თუ წარადგენს რამდენიმე შუამდგომლობას სასამართლო პროცესის გადადების თაობაზე ან რამდენჯერმე არ გამოცხადდება საქმის ზეპირ მოსმენაზე.<sup>23</sup> თუმცა, მომჩივნის ქმედება ამგვარად არ მიიჩნევა, თუ იგი მისთვის ხელმისაწვდომ გასაჩივრების ყველა შესაძლებლობას იყენებს<sup>24</sup> ან საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებს.<sup>25</sup> ამასთანავე, სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს, გადადგა თუ არა რაიმე ნაბიჯი პირმა, რათა დაეჩქარებინა სამართალწარმოება, მაგალითად, მოითხოვა თუ არა საქმის განხილვის განახლება, გაასაჩივრა თუ არა სასამართლო პროცესის გადადება ან საპროცესო ვადების გახანგრძლივება.<sup>26</sup>

---

<sup>16</sup> მაგალითად: *Arap Yalgin and others v. Turkey*, 25 Sept. 2001, §27. საქმე შესაძლოა კომპლექსური იყოს იმის გამო, რომ ის ეხება „ფართომასშტაბიან ეკონომიკურ დანაშაულს, რომელიც მოიცავს თაღლითური სქემის არსებობას მრავალი კომპანიის წინააღმდეგ“: *C.P. and others v. France*, 1 Aug. 2000, §30

<sup>17</sup> *Potzmader v Austria*, N8416/05, 27 ნოემბერი, 2008.

<sup>18</sup> *ECtHR*, 16/12/2003, *Miamowski v Poland*, N42083/98, § 47.

<sup>19</sup> *Dobbertin v. France*, 25 Feb. 1993, §42

<sup>20</sup> *Lorenzi, Bernardini and Gritti v. Italy*, 27 Feb. 1992, §16; *De Moor v. Belgium*, 23 June 1994, §§16, 19-20, 22, 27 and 67.

<sup>21</sup> *Allenet de Ribemont v. France*, 10 Feb. 1995, §§15-20 and 48-50.

<sup>22</sup> *Beaumartin v. France*, 24 Jan. 1994, §33.

<sup>23</sup> *Dolutaş v Turkey*, No. 17914/09, 17 January 2012, at paras 29–31; *Solovyevy v Russia*, No. 918/02, 24 April 2012, at para 148.

<sup>24</sup> *ECtHR*, 11/12/2003, *Gerardi v Austria*, N 50064/99, § 56.

<sup>25</sup> *ECtHR*, 13/7/2004, *Lislawska v Poland*, N 37761/97, § 34.

<sup>26</sup> *Zimmermann and Steiner v. Switzerland*, 13 July 1983, §26; *Pretto and others v. Italy*, 8 Dec. 1983, §34; *Lechner and Hess v. Austria*, 23 Apr. 1987, §§47, 49, 55 and 57; *Capuano v. Italy*, 25 June 1987, §33; *H. v. the United Kingdom (merits)*, 8 July 1987, §75; *Baraona v. Portugal*, 8 July 1987, §§48 and 51; *Martins Moreira v. Portugal*, 26 Oct. 1988, §51; *Uni.n Alimentaria Sanders S.A. v. Spain*, 7 July 1989, §35; *Motta v. Italy and Mori v. Italy*, 19 Feb. 1991, §17 and §16 respectively; *Steffano v. Italy*, 27 Feb. 1992, §16; *Serrentino v. Italy*, 27 Feb. 1992, §18; *Editions Périscope v. France*, 26 Mar. 1992, §44; *X. v. France*, 31 Mar. 1992, §40; *Pizzetti v. Italy*, 26 Feb. 1993, §18; *De Micheli v. Italy*, 26 Feb. 1993, §



თუმცა, ისინი არ არიან ვალდებული გადადგან მსგავსი ნაბიჯები, განსაკუთრებით თუ არ არსებობს დამადასტურებელი იმისა, რომ ის ეფექტური იქნება<sup>27</sup>.

### ➤ ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განსაზღვრული კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც განიხილება მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის კონტექსტში „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დროს, არის შესაბამისი ხელისუფლების ორგანოთა ქმედება. ეს კრიტერიუმი მიემართება არამხოლოდ სასამართლო ხელისუფლებას, არამედ აგრეთვე ხელისუფლების სხვა ორგანოებსაც (მაგალითად, საგამოძიებო, საკანონმდებლო), რომლებიც სამართალწარმოებაში არიან ჩართულნი.<sup>28</sup>

გადამწყვეტია საკითხი, რამდენად ეფექტურად ახორციელებენ სასამართლოები სამართალწარმოებას ან ადგილი ხომ არ ჰქონია მათი მხრიდან მნიშვნელოვან უმოქმედობას.<sup>29</sup> სამართალწარმოების დაყოვნებისათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, მაგალითად, მაშინ, როდესაც გამოძიება უჩვეულოდ დიდხანს გრძელდება<sup>30</sup>, გაჭიანურებულია ექსპერტიზის დასკვნის მოპოვება<sup>31</sup>. სამართალწარმოების გაჭიანურება, ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეწერება, თუ საქმეში ჩართულ სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოთა შორის კოორდინაციის ნაკლებობაა.<sup>32</sup> ასევე გაჭიანურების არასაპატიო მიზეზი შეიძლება იყოს ბრალდებულთა და მოწმეთა საქმის განხილვაზე განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადეკვატური ღონისძიებების განუხორციელებლობა.<sup>33</sup>

### ➤ რა დგას მომჩივნისთვის საფრთხის ქვეშ

აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების პროცესში თუ რა დგას მომჩივნისთვის საფრთხის ქვეშ. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ საკითხს.<sup>34</sup>

<sup>27</sup> Muti v. Italy, 23 Mar. 1994, §§14 and 16; Schouten and Meldrum v. the Netherlands, 9 Dec. 1994, §67; Terranova v. Italy, 4 Dec. 1995, §22 (last paragraph)

<sup>28</sup> Moreira de Azevedo v. Portugal, 23 Oct. 1990, §73.

<sup>29</sup> ECtHR, 26/7/2007, Vitzthum v Austria, N8140/04, § 21 (ერთ წელზე მეტი ვადით უმოქმედობის გამო დარღვევა).

<sup>30</sup> Pimentel Lourenço v Portugal, No. 9223/10, 23 October 2012, at para 34.

<sup>31</sup> Masár v Slovakia, No. 66882/09, 3 May 2012, at para 24.

<sup>32</sup> ECtHR, 8/7/2004, Vachev v BUL, საჩ. ნომ. 42987/98, §§ 96.

<sup>33</sup> ECtHR, 21/9/2004, Kusmierek v POL, საჩ. ნომ. 10675/02, § 65; ასევე ECtHR, 13/7/2006, Stork v GER, საჩ. ნომ. 38033/02, §§ 43 et seq: აღნიშნულ საქმეში, სამართალწარმოების ხანგრძლივობა, ოთხსაფეხურიან იურისდიქციაში, მათ შორის წინარე ადმინისტრაციული წარმოება, გაგრძელდა თექვსმეტ წელსა და ხუთ თვეზე მეტი ხნით. გაჭიანურება გამოიწვია გადაწყვეტილების საკმარისად დაუსაბუთებლობის გამო საქმის განმეორებით გადაგზავნამ უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოებისთვის. სასამართლომ, სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებით, ვადის გაგრძელებად (პროლონგაციად) მიიჩნია, როგორც მინიმუმ ორი წლიანი და რვა თვიანი პერიოდი, რომელიც გამოიწვია მომჩივნის მიერ გერმანიის ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეუტანლობამ.

<sup>34</sup> Vallée v. France, 26 Apr. 1994, §49; Karakaya v. France, 26 Aug. 1994, §45.

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე, კონვენციის მე-6 მუხლი მიზნად ისახავს, რომ ბრალდებული პირი სამართალწარმოების შედეგთან მიმართებით ძალიან დიდხანს არ იყოს გაურკვევლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების საფრთხის წინაშე დგას.<sup>35</sup>

გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ბრალდებული საქმის განხილვის დროს შესაძლოა იმყოფებოდეს პატიმრობაში ეროვნული ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ გულისხმიერებას, რათა მართლმსაჯულება დროულად აღასრულოს<sup>36</sup>. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა, რომელიც სასამართლოს მიერ, როგორც წესი, გონივრულად ჩაითვლებოდა, შესაძლოა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის საფუძველი გახდეს, თუ ბრალდებული სამართალწარმოების განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს ამ ოთხი კრიტერიუმიდან თითოეულს. თუმცა, ეს კრიტერიუმები არ წარმოადგენენ ნიშნულს. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სამართალწარმოების განსაზღვრულ ტიპთან დაკავშირებით დროის გონივრულობის პერიოდს არ აწესებს. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა ყოველთვის დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრასბურგის სასამართლო თითოეულ დამკვიდრებულ კრიტერიუმს დეტალურად არ განიხილავს თუ საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა, გლობალურ შეფასებას საჭიროებს და აღნიშნული საკმარისია მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად.<sup>37</sup>

ამდენად, გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების უფლება არის არა მხოლოდ ინდივიდების უფლება, არამედ, ის მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებასაც, ისე გამართონ სასამართლო სისტემა, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მე-6 მუხლის მოთხოვნები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე სამართალწარმოების გაჭიანურება ზოგჯერ მისაღებია.<sup>38</sup> თუმცა, სასამართლოს ქრონიკული გადატვირთულობა წარმოადგენს

---

<sup>35</sup> *Mc Farlane v Ireland (Grand Chamber)*, No. 31333/06, 10 September 2010, at para 155; *Grigoryan v Armenia*, No. 3627/06, 10 July 2012, at para 129; *Yakovlev v Ukraine*, No. 18412/05, 26 July 2012, at para 23; *Ardelean v Romania*, No. 28766/04, 30 October 2012, at para 82.

<sup>36</sup> *Kryuk v Russia*, No. 11769/04, 13 December 2011, at para 67; *Borisenko v Ukraine*, No. 25725/02, 12 January 2012, at para 58; *Todorov v Ukraine*, No. 16717/05, 12 January 2012, at para 90; *Syngayevskiy v Russia*, No. 17628/03, 27 March 2012, at para 93; *Sizov v Russia (No. 2)*, No. 58104/08, 24 July 2012, at para 64.

<sup>37</sup> *ECtHR, 16/12/2004, Mianowski v Poland*, N 42083/98, § 46.

<sup>38</sup> *Van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak* (eds), *Theory and Practice of the European Convention on Human Rights* 4 (2006) 609.

სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევას, ეფექტურად მოაწესრიგოს სასამართლო სისტემა და ინდივიდუალურ შემთხვევებში, არღვევს გონივრული ვადის მოთხოვნას.<sup>39</sup>

რამდენიმე საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ საქმის გარემოებების დეტალური შეფასებების გარეშე, გამოიყენა სტანდარტული ფორმულა და განაცხადა, რომ

„სასამართლომ არაერთხელ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა საქმეებზე, რომლებიც წინამდებარე საქმის მსგავს საკითხებს წარმოშობდა... მის წინაშე წარდგენილი დოკუმენტების გამოკვლევის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც დაარწმუნებდა მას სხვა გადაწყვეტილების მიღებაში. ამ საკითხთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული სამართლისა და სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში საქმის წარმოების ხანგრძლივობა იყო გადაჭარბებული და ვერ აკმაყოფილებდა „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნებს“.<sup>40</sup>

იმ საქმეებში, სადაც სასამართლომ ზემოხსენებული სტანდარტული ფორმულა გამოიყენა და მიიჩნია, რომ დარღვეული იყო გონივრული ვადის მოთხოვნები, სამართალწარმოების მინიმალური ხანგრძლივობა იყო 3 წელი და 9 თვე (მაგ. *Laimos and kalafatis v. Greece*<sup>41</sup>), ხოლო მაქსიმალური 16 წელი და 4 თვე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალწარმოებების ხანგრძლივობაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, რთულია აიხსნას, თუ რატომ გამოიყენა ამ საქმეებზე სტრასბურგის სასამართლომ ერთი და იმავე ფორმულა.<sup>42</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განსაზღვრავს ცალსახა წესებს, თუ რა ვადა მიიჩნევა არაგონივრულად საქმის განხილვისთვის და ამტკიცებს, რომ თითოეული საქმე განხილული უნდა იქნეს ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება:

- **3 წელზე ნაკლები**

სამართალწარმოების ხანგრძლივობა, რომელსაც საერთო ჯამში სამ წელზე ნაკლები დასჭირდა, ზოგადად გონივრულად მიიჩნევა და საჩივარს მსგავს საქმეებთან

<sup>39</sup> ECtHR, 27/7/2000, *Klein v Germany*, N 33379/96, § 43.

<sup>40</sup> E.g., *C. v Ireland*, No. 24643/08, 1 March 2012, at paras 24–25; *Seta v Greece and Germany*, No. 30287/09, 3 May 2012, at paras 18–19; *Ademović v Turkey*, No. 28523/03, 5 June 2012, at para 58; *Chyżyński v Poland*, No. 32287/09, 24 July 2012, at paras 48–49; *Głowacki v Poland*, No. 1608/08, 30 October 2012, at para 117.

<sup>41</sup> *Laimos and Kalafatis v Greece*, No. 45658/09, 17 April 2012, at paras 7–13.

<sup>42</sup> Marc Henzelin and Héloïse Rordorf - WHEN DOES THE LENGTH OF CRIMINAL PROCEEDINGS BECOME UNREASONABLE ACCORDING TO THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS?, pg. 92.

მიმართებით სასამართლო დაუშვებლად ცნობს, როგორც „აშკარად უსაფუძვლოს“ და ამდენად დაუშვებელს.<sup>43</sup>

- **3-დან 5 წლამდე**

სასამართლო ამ ვადასაც გონივრულად მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მნიშვნელოვან შეფერხებებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების ორგანოებს ეკისრება ან ბრალდებული სასჯელადსრულების დაწესებულებაშია<sup>44</sup>.

- **5 წელზე მეტი**

სამართალწარმოების ხანგრძლივობა, რომელიც აჭარბებს ხუთ წელს, არ მიიჩნევა გონივრული ვადის მოთხოვნის დაცვად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიჩნეულია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოავლინეს საკმარისი გულმოდგინება საქმის განხილვის დროს და მომჩივანს ეკისრებოდა საქმის წარმოების გაჭიანურებაზე პასუხისმგებლობა, აგრეთვე თუ საქმე განსაკუთრებული სირთულის იყო ან ის განხილულ იქნა იურისდიქციის რამდენიმე დონეზე.<sup>45</sup>

- **7 წელზე მეტი**

და ბოლოს, თითქმის ყველა საქმეზე, სადაც სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა აჭარბებდა 7 წელს, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა გადაჭარბებული იყო.

## **დასკვნა**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საქმეებისა და ფაქტობრივი გარემოებების განსხვავებულობის გათვალისწინებით, იმის განსაზღვრა, თუ რა მიიჩნევა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

---

<sup>43</sup> Tryumbach v Ukraine, No. 44385/02, 12 January 2012 (2 წელი და 1 თვე); J.M. v Denmark, No. 34421/09, 13 November 2012 (1 წელი და 4 თვე).

<sup>44</sup> სამართალწარმოების ხანგრძლივობა გონივრულად არ იქნა მიჩნეული საქმეებზე: Jusuf v Greece, No. 4767/09, 10 იანვარი, 2012 (საერთო ხანგრძლივობა 4 წელი და 9 თვე და იურისდიქციის 2 დონე - გაჭიანურება ხელისუფლების ორგანოების ბრალი იყო); Zafirov v Greece, No. 25221/09, 6 მარტი, 2012 (4 წელი და 7 თვე, იურისდიქციის 2 დონე- სამართალწარმოება ხელისუფლების ორგანოებმა გააჭიანურეს); Masár v Slovakia, No. 66882/09, 3 მაისი 2012 (4 წელი და 5 თვე წინასასართლო სამართალწარმოება – გაჭიანურება ხელისუფლების ორგანოების ბრალი იყო); Sizov v Russia (No. 2), No. 58104/08, 24 ივლისი 2012 (4 წელი და 10 თვე, იურისდიქციის 2 დონე– გაჭიანურება განაპირობა ხელისუფლების ორგანოებმა და აგრეთვე მომჩივანი სასჯელადსრულების დაწესებულებაში იყო).

<sup>45</sup> სამართალწარმოების ხანგრძლივობა არაგონივრულად იქნა მიჩნეული საქმეებზე: Kiryakov v Ukraine, No. 26124/03, 12 იანვარი 2012 (5 წელი და 5 თვე, იურისდიქციის 3 დონე); Dimitar Vasilev v Bulgaria, No. 10302/05, 10 აპრილი 2012 (5 წელი და 6 თვე, იურისდიქციის 2 დონე); Lambadaris v Greece, No. 47112/09, 17 აპრილი 2012 (5 წელი და 9 თვე, იურისდიქციის 2 დონე); Solovyev v Russia, No. 918/02, 24 აპრილი 2012 (5 წელი, იურისდიქციის 2 დონე).

სამართალწარმოების ხანგრძლივობა გონივრულად იქნა მიჩნეული საქმეებზე: Horych v Poland, No. 13621/08, 17 აპრილი 2012 (5 წელი და 6 თვე, იურისდიქციის 2 დონე); Borodin v Russia, No. 41867104, 6 ნოემბერი 2012 (5 წელი და 3 თვე, იურისდიქციის 2 დონე).

სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების გონივრულ ვადად, რთულია. აკადემიური მიზნებისთვის, საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

თუმცა, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ტენდენციები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან დადგინდეს გამოსათვლელი პერიოდის ათვლისა და საბოლოო წერტილები. აგრეთვე, შესაძლებელია იმ კრიტერიუმების იდენტიფიცირება, რომლებსაც სტრასბურგის სასამართლო იყენებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასების დროს.

**აქვე, დასკვნის სახით, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ფაქტორები, რომლებიც სამართალწარმოების გონივრულად მიჩნევის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ესენია:**

- სამართალწარმოების დროს ბრალდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა;
- საქმე არ არის კომპლექსური;
- სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაჭიანურება არ იყო განპირობებული მომჩივნის ქმედებით;
- სამართალწარმოების ხანგრძლივობა მოიცავს მხოლოდ გამოძიების ეტაპს ან მხოლოდ ერთ იურისდიქციას;
- სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაჭიანურებაზე პასუხისმგებლობა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ.

**ამის საპირისპიროდ, წარმოდგენილი იქნება ფაქტორები, რომლებიც სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის სასარგებლოდ მეტყველებს:**

- სამართალწარმოების დროს ბრალდებული არ იყო დაპატიმრებული;
- საქმე კომპლექსური იყო;
- საქმის წარმოების ხანგრძლივობის გაჭიანურებაში წვლილი მიუძღვის მომჩივნის ქმედებებს;
- საქმე განხილულ იქნა იურისდიქციის რამდენიმე დონეზე;
- ხელისუფლების ორგანოებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაჭიანურებაზე.

**სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ფარგლები ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნით**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ქრილში, ეროვნული უშიშროების დაცვის დროს სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების საკითხებს მიემართება კონვენციის მე-2 მუხლი, კერძოდ, მისი მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

*„სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:*

- a. ნებისმიერი პირის დასაცავად მართლსაწინააღმდეგო ძალადობისგან;
- b. კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- c. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.”

ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მრავალ საქმეს იცნობს. ეს საქმეები ხშირად მოიცავდა რამდენიმე მოპასუხე ქვეყანას, რომლებშიც სასიკვდილო ძალა იქნა გამოყენებული იმ ორგანიზაციის წევრთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ძალადობრივი გზით პოლიტიკური შედეგის მიღწევას. მე-2 მუხლი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევებშიც, როცა სიცოცხლის მოსპობა მოხდა მემამბოხეთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციის შედეგად. მაშინაც კი, როცა საქმე ასეთ ოპერაციებს ეხება, სასამართლო ადგენს რომ „ანტიტერორისტული ოპერაციები იმგვარად უნდა იყოს დაგეგმილი და კონტროლირებული ხელისუფლების მიერ, რომ ყველა შესაძლო საშუალებით მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სასიკვდილო ძალის გამოყენება“<sup>46</sup>. შესაბამისად, მე-2 მუხლთან წინააღმდეგობაში მოვა სახელმწიფოს ისეთი კანონმდებლობა ან პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს “ესროლე-მოკალი” (“shoot-to-kill”) პოლიტიკას. თუმცა, სხვა საქმეები ასევე ეხება ინციდენტებს პოლიციის რუტინული საქმიანობიდან, როდესაც შესამჩნევი ხარვეზებია ოპერაციების დაგეგმვასა და კონტროლში, ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ადმინისტრაციულ რეგულირებაში ან უშუალოდ პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენების გადაწყვეტილებაში. პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, რომ სასიკვდილო ძალის გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა აუცილებელი.

მე-2 მუხლის გამოყენება შესაძლებელია მაშინაც, როცა სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირების მიერ გამოყენებულ ძალას სიკვდილი არ მოჰყოლია, თუმცა გარემოებებიდან გამომდინარე ეს სავარაუდო იყო. თუმცა, ყოველი საქმე ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ მე-2 მუხლის გამოყენების საკითხი დადგეს, აუცილებელი არაა ადგილი ჰქონდეს სიცოცხლის მოსპობას. აღნიშნული საკითხი კარგადაა ილუსტრირებული საქმეში - **მაკარატზისი საბერძნეთის წინააღმდეგ**,<sup>47</sup> რომელიც ეხებოდა პოლიციის ოფიცრის მიერ მანქანის გამოდევნებას, რამაც მძღოლის მძიმედ დაშავება გამოიწვია. პოლიციის ოფიცრებმა რამდენჯერმე

<sup>46</sup> მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v United Kingdom), N18984/91, 27 სექტემბერი 1995.

<sup>47</sup> Makaratzis v Greece, N 50385/99, 20 დეკემბერი 2004.

ესროლეს მძღოლს, რომელმაც შუქნიშნის წითელ შუქზე გაიარა და პოლიციის რამდენიმე ბლოკპოსტი გადაკვეთა. პოლიციამ იგი მძიმედ დაჭრა, თუმცა, მძღოლის გადარჩენა იყო შემთხვევითობა. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენებამ, რასაც არ მოჰყოლია სიკვდილი, შესაძლოა, გამონაკლის შემთხვევებში, გამოიწვიოს მე-2 მუხლის დარღვევა. მართალია, პირი გადარჩა, მაგრამ იგი განდა ისეთი მოპყრობის მსხვერპლი, რომელმაც მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენა და, შესაბამისად, გამოყენებულ იქნა მე-2 მუხლი. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო მოხელეების არარეგულირებული და თვითნებური მოქმედება შუუთავსებელია ადამიანის უფლებათა პატივისცემასთან“.<sup>48</sup>

მისი განმარტებით, „როგორც თავად მე-2 მუხლის ტექსტი მიუთითებს, პოლიციელთა მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში გამართლებული იყოს. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი არ არის *carte blanche*. სახელმწიფო მოხელეების არარეგულირებული და თვითნებური მოქმედება არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვას. ეს ნიშნავს, რომ პოლიციის ორგანოთა საქმიანობა საკმარისად უნდა იყოს რეგულირებული ეროვნული კანონმდებლობით იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს ადეკვატური და ეფექტური მექანიზმების არსებობას თვითნებობისა და ძალის ბოროტად გამოყენების და თუნდაც ისეთი შემთხვევის წინააღმდეგ, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია“.<sup>49</sup>

შედეგად, „სასამართლო მოწოდებულია ზედმიწევნით გამოიკვლიოს ამ დებულების დარღვევის შემთხვევები და მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ იმ სახელმწიფო მოხელეთა მოქმედებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ძალის გამოყენებაში, არამედ ყველა სხვა ფაქტობრივი გარემოებაც, მაგალითად ისეთი, როგორიცაა სადავო ქმედების დაგეგმვა და კონტროლი (იხ. *McCann and Others*, გვ. 46, § 150). ამგვარად, მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას პოლიციელები არ უნდა იყვნენ ვაკუუმში არც წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის და არც საშიში დამნაშავეის სპონტანური გამოდევნების კონტექსტში: როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციულ დონეზე ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ის გარემოებები, როდესაც სამართალდამცავებს უფლება აქვთ გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი იმ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელიც ამ სფეროში ჩამოყალიბდა.“<sup>50</sup> შესაბამისად, მე-2 მუხლის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა სიცოცხლის ხელყოფა არ მომხდარა.

მოცემული საქმე მნიშვნელოვანია ასევე იმ კუთხითაც, რომ მასში სასამართლო უთითებს გაეროს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ პრინციპებზე, რაც გვიჩვენებს საერთაშორისო გავლენას სასამართლოს იურისპრუდენციაზე. კერძოდ, ხელისუფლების უუნარობა, შემოედო ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციები ნიშნავდა იმას, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ გააჩნდათ ძალის

<sup>48</sup> იქვე, § 58.

<sup>49</sup> იგივე.

<sup>50</sup> მაკარატზისის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Makaratzis v Greece*), N 50385/99, § 59, 20 დეკემბერი 2004

გამოყენების ნათელი მითითებები და კრიტერიუმები, რამაც ამ შემთხვევაში გამოიწვია ის, რომ პოლიციის ოფიცრები „სარგებლობდნენ მოქმედების თავისუფლებით და შეეძლოთ გაუთვალისწინებელი ინიციატივები მიეღოთ, რასაც, სავარაუდოდ, ადგილი არ ექნებოდა სათანადო წვრთნისა და ინსტრუქტაჟის გავლის შემთხვევაში.“ ამგვარი „დაურეგულირებელი და თვითნებური მოქმედება“ შეუთავსებელი იყო ადამიანის უფლებების პატივისცემასთან.

## “აბსოლუტური აუცილებლობის” ტესტი

### სახელმწიფოს ვალდებულება, არ გამოიყენოს სავალდებულოზე მეტი ძალა

იმ საქმეების განხილვისას, რომელიც ეხება სახელმწიფო მოხელეების მიერ გამოყენებულ სასიკვდილო ძალას, გადამწყვეტი ასპექტი არის - იყო თუ არა გამოყენებული ძალა „აბსოლუტურად აუცილებელი“. სიტყვა „აუცილებლობა“ კონვენციის სხვა დებულებებშიც გვხვდება, თუმცა მე-2 მუხლის ტექსტში ის დამატებით დახასიათებულია ტერმინით „აბსოლუტური“. ამ საკითხის განხილვისას, სასამართლო გამოიყენებს სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებსაც. როგორც სასამართლომ აღნიშნა საქმეში - *მაკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>51</sup> „აბსოლუტური აუცილებლობის“ განსაზღვრის ტესტი უფრო მკაცრია, ვიდრე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ტესტი.

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინის „აბსოლუტური აუცილებლობა“ მითითება გულისხმობს იმას, რომ „გამოყენებულ უნდა იქნას იმაზე უფრო მკაცრი და მომთხოვნი ტესტი, ვიდრე ჩვეულებრივ, როცა საქმე ეხება იმის შეფასებას, თუ რამდენად იყო სახელმწიფოს მოქმედება „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ კონვენციის მე-8 - მე-11 მუხლების (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება; აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; გამოსატყვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება) მეორე პუნქტების თანახმად. კერძოდ, გამოყენებული ძალა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნების მკაცრად პროპორციული უნდა იყოს.“<sup>52</sup> ამაში იგულისხმება ის, რომ ამ საკითხის შეფასებისას სასამართლო დეტალურად განიხილავს გარემოებათა ფართო სპექტრს, მაგალითად, როგორებიცაა ძალის გამოყენების საკანონმდებლო რეგულაცია, პოლიციის ან უშიშროების სამსახურის წვრთნა, ოპერაციების დაგეგმვა და კონტროლი და სხვა დეტალები, რაც თან ახლდა ძალის გამოყენებას. იმის შესაფასებლად, იყო თუ არა გამოყენებული ძალა „მკაცრად პროპორციული“ რელევანტურია ასევე საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაც. როგორც წესი, ამ საკითხების შეფასება ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაში შედის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსჯელებს ადგილობრივი ტრიბუნალების დასკვნების საწინააღმდეგოდ, თუკი

<sup>51</sup> McCann and Others v United Kingdom, N18984/91, 27 სექტემბერი 1995.

<sup>52</sup> მაქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v United Kingdom), N18984/91, § 149, 27 სექტემბერი 1995.



„სარწმუნო“ არგუმენტები მიუთითებს ადგილობრივი სამართალწარმოების ნაკლოვანებაზე. თუმცა, თუკი ამის საჭიროება იქნება, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკუთარი გამოძიების ჩატარებაც შეუძლია.

## **ძალის გამოყენების ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა**

იმის შეფასებისას, თუ რამდენად იყო გამოყენებული ძალა აბსოლუტურად აუცილებელი მე-2.2 მუხლით აღიარებული მიზნების მისაღწევად, სასამართლო, პირველ რიგში, განიხილავს უშუალოდ გამოყენებულ ძალას. გამოყენებული ძალის შეფასების დროს, იმ სახელმწიფო მოხელეთა მოქმედების განხილვა, რომელთაც წამებში უხდებათ სასიკვდილო ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მარტივი საქმე არაა. ამგვარად, მაშინაც კი, თუ ძალა აშკარად არაპროპორციული იყო, ის შეიძლება მართლზომიერად ჩაითვალოს, თუკი მისი გამოყენება ეფუძნება კეთილსინდისიერ ვარაუდს, რაც გონივრული ჩანს იმ მომენტში, თუმცა შემდგომ მცდარი აღმოჩნდება. სასამართლომ აღიარა, რომ სხვაგვარი დასკვნა სახელმწიფოს და მის სამართალდამცავ ორგანოებს არარეალურ ტვირთს დააკისრებდა, რაც შესაძლოა, მათი და სხვათა სიცოცხლისთვის საზიანო ყოფილიყო. ყველა დასკვნა არ არის ცალსახა, ვინაიდან მხოლოდ დროის გასვლის შემდეგ შეიძლება ითქვას ესა თუ ის იმწუთიერი გადაწყვეტილება სასიკვდილო ძალის გამოყენების შესახებ მცდარი იყო თუ არა. გადაწყვეტილებათა ნარჩევი შექმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა სახის სიტუაციებზე უმსჯელია აქამდე სასამართლოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, პრეცედენტული მნიშვნელობისაა 1995 წლის ზემოთხსენებული საქმე - **მაქქანი და სხვები გერთიანებული საფრანგული წინააღმდეგ**, რომელიც 19 მოსამართლისგან შემდგარმა დიდმა პალატამ განიხილა.

საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ფუნდამენტური დილემის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, მათ ეკისრებოდათ ვალდებულება დაეცვათ სამოქალაქო პირებისა და სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლე, ხოლო მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაეყვანათ ძალის გამოყენების საშუალება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სხვათა სიცოცხლეს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა, იყო თუ არა იმ ჯარისკაცთა მოქმედება, რომლებმაც სასიკვდილო სროლები განახორციელეს ტერორისტთა წინააღმდეგ, არსებული საფრთხის მკაცრად პროპორციული. სასამართლომ შეაფასა ის ინფორმაცია, რომელიც მიეწოდათ ჯარისკაცებს და მიიჩნია, რომ „მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჯარისკაცები კეთილსინდისიერად ვარაუდობდნენ, რომ აუცილებელი იყო ეჭვიმტანილთა მისამართით სროლა, რათა თავიდან აეცილებინათ მათი მხრიდან ბომბის აფეთქება და უდანაშაულო მსხვერპლი. ზემდგომი პირებისგან მიღებული ბრძანებების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებები მათ მიერ აღიქმებოდა როგორც უდანაშაულო პირთა

სიცოცხლის დასაცავად აბსოლუტურად აუცილებელი ზომა.<sup>53</sup> შედეგად, ამ მხრივ სასამართლოს შეფასებით ჯარისკაცთა ქმედებები არ იყო მე-2 მუხლის საწინააღმდეგო.

ამ კუთხით დარღვევის დადგენაზე უარის თქმის არგუმენტირებისთვის, სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ

„სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ძალის გამოყენება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით **გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, შეიძლება გამართლებული იქნეს ამ დებულებით იქ, სადაც ის ეფუძნება კეთილსინდისიერ რწმენას, რომელიც იმ მომენტში საფუძვლიანია, თუმცა შემდგომ მცდარი აღმოჩნდება.** სხვაგვარი დასკვნა სახელმწიფოსა და მის სამართალდამცავ ორგანოებს არარეალურ ტვირთს დააკისრებდა მათი მოვალეობის განხორციელებისას, რაც სავარაუდოდ მათი და სხვათა სიცოცხლისთვის საზიანო იქნებოდა.“<sup>54</sup>

თუმცა, რაც შეეხება ჯარისკაცთა უშუალო მოქმედებას დიდი პალატის 10-მა მოსამართლემ 9-ის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ „საბოლოო ჯამში, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ხელი არ შეეშალა ეჭვიმტანილთათვის გიბრალტარში შესვლაში და მათ არ გაითვალისწინეს თუნდაც მცირედი შესაძლებლობა იმისა, რომ სადაზვერვო სამსახურის ინფორმაცია შესაძლოა, მცდარი ყოფილიყო და პირდაპირ მიმართეს სასიკვდილო ძალას,<sup>55</sup> მათი ქმედებები (3 ტერორისტის მოკვლა) ვერ აკმაყოფილებდა „აბსოლუტური აუცილებლობის“ ტესტს და სწორედ, ამიტომ დადგინდა კონვენციის მე-2.2 (ა) მუხლის დარღვევა.

სასამართლოს შეფასებით, კონკრეტულ სიტუაციაში „ჯარისკაცთა საპასუხო რეაქცია, არ ყოფილა იმ სიფრთხილის, რაც სამართალდამცავ ორგანოებს მოეთხოვებათ დემოკრატიულ საზოგადოებაში მაშინაც კი, როცა საქმე ტერორიზმში ეჭვიმტანილებს ეხებათ და იგი მკვეთრად განსხვავდება სიფრთხილის იმ სტანდარტისგან, რომელიც ასახულია პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ ინსტრუქციაში, რომელიც ასახავს პოლიციის ყოველი ოფიცრის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით... ხელისუფლების ეს უუნარობა მიუთითებს დაკავების ოპერაციის კონტროლსა და დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე.“<sup>56</sup>

## **სახელმწიფო ორგანოების კონვენციის მე-2 მუხლთან შესაბამისი მოქმედება სავალდებულო ძალის გამოყენებისას**

<sup>53</sup>მაქქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v United Kingdom), N 18984/91, § 200, 27 სექტემბერი 1995.

<sup>54</sup> იგივე.

<sup>55</sup> მაქქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v United Kingdom), N18984/91, § 213, 27 სექტემბერი 1995.

<sup>56</sup> იქვე. § 212.

როგორც ზემოთ აღნიშნულია, სახელმწიფო ორგანოების, ძირითადად სამხედრო და საპოლიციო ძალების მხრიდან ძალის გამოყენება, რომელიც კონკრეტული პირის სიკვდილით სრულდება შესაძლოა არ ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით შეუსაბამო მოქმედებად და შედეგად, მოცემული გარემოებების პირობებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა არ დაადგინოს. აღნიშნული საკითხის კონტექსტში სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს, რომელთაგან გამოსარჩევია შემდეგი გადაწყვეტილებები:

### **საქმე - ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ<sup>57</sup>**

1997 წლის მოცემული საქმე ეხებოდა კვიპროსში მომხდარ შემდეგ ინციდენტს. პოლიცია მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა მოლაპარაკებოდა პირს, რომ ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა მისი პარტნიორი ქალი, რომელზეც იარაღის ლულა ჰქონდა მიბჯენილი და მისი მოკვლით იმუქრებოდა პოლიციის მხრიდან მის ბინაში შეღწევის შემთხვევაში. ქალი ძლიერ აღელვებული იყო. სპეცრაზმელებმა დაიწყეს მისი გადარჩენის ოპერაცია. რეიდისას კაცი ქალს ეფარებოდა ოფიცრისთვის სროლის დროს. ოპერაციის განმავლობაში პოლიციამ ისროლა 29 ტყვია, რის შედეგადაც გარდაიცვალა როგორც კაცი, ისე ქალი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საგამოძიებო კომისიის დასკვნების თანახმად, ოფიცრებს კეთილსინდისიერად სჯეროდათ, რომ ამ ვითარებაში აუცილებელი იყო მისი მოკვლა იმისათვის, რომ გადაერჩინათ ელსი კონსტანტინუსი და მათი საკუთარი სიცოცხლე და ესროლათ მისთვის, მანამ მის მიერ იარაღის ხელში ჩაგდების რისკი არ მოისპობოდა.“<sup>58</sup>

ამ კუთხით სასამართლო იმეორებს *მაქჯანის* საქმეში გაკეთებულ განმარტებას და აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად შეიძლება გამართლებული იყოს, თუ იგი ემყარება კეთილსინდისიერ ვარაუდს, რომელიც იმ წუთისთვის საფუძვლიანია, თუმცა შემდგომ მცდარი აღმოჩნდება. სხვაგვარი დასკვნა სახელმწიფოსა და მის სამართალდამცავ ორგანოებს არარეალურ ტვირთს დააკისრებდა მათი მოვალეობის განხორციელებისას, რაც სავარაუდოდ მათი და სხვათა სიცოცხლისთვის საზიანო იქნებოდა (იხ. ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება მაკკანის და სხვების საქმეზე, გვ. 58-59, § 200). სასამართლოს შეფასებით, **ნამდვილად სამწუხაროა, რომ ამდენი ცეცხლსასროლი იარაღი იქნა გამოყენებული ლეფტერის ანდრონიკუს მიერ შექმნილი რისკის განეიტრალებისათვის. თუმცა, სასამართლოს არ შეუძლია ჩაანაცვლოს სიტუაციის საკუთარი აღქმით იმ მომენტში ჯარისკაცების აღქმა, რომელთაც მოეთხოვებოდათ დაუყოვნებელი რეაგირება სიცოცხლის გადარჩენის მათთვის უნიკალურ და უპრეცედენტო ოპერაციაში. ოფიცრებს ჰქონდათ უფლება გაეხსნათ ცეცხლი და მიეღოთ ყველა ზომა, რომელიც აუცილებლად მიაჩნდათ ახალგაზრდა**

<sup>57</sup> Andronicou and Constantinou v Cyprus, N 25052/94, 09 ოქტომბერი 1997.

<sup>58</sup> იქვე, § 192.

**ქალისა და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.** საგამოძიებო კომისიის დასკვნაში გაჟღერდა, რომ ქალს ოფიცრების გასროლილი მხოლოდ ორი ტყვია მოხვდა. მართალია, ისინი სასიკვდილო აღმოჩნდა, მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ოფიცრების მცდელობას არ დაეზიანებინათ ქალი, ხელი შეუშალა ლეფტერის ანდრონიკუმ, რომელიც ქალს ეფარებოდა და შესაბამისად რისკს უქმნიდა მის სიცოცხლეს.<sup>59</sup>

ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „ამ გარემოებებში სასიკვდილო ძალის გამოყენებას, რამდენადაც სამწუხარო შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა მას, არ გადაუჭარბებია „აბსოლუტური აუცილებლობისთვის“ და ემსახურებოდა ელსი კონსტანტინუსისა და ოფიცრების სიცოცხლის დაცვას. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2.2 (ა) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.“<sup>60</sup>

რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან გარემოებას, როგორცაა ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი, სასამართლომ დადებითად შეაფასა სპეციალური ძალების მიერ ჩატარებული ოპერაცია იმ შეიარაღებული პირის წინააღმდეგ, რომელიც საცოლესთან ოჯახურ კამათში იყო ჩართული. სასამართლოს მოსაზრებით, „ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ MMAD-ის (სპეციალური ძალები) ოფიცრები, მოცემულ გარემოებებში, გამართლებული იყო. დაგეგმილი ოპერაციის ჩასატარებლად ისეთ მაღალპროფესიულ დონეზე გაწვრთნილი დანაყოფის გამოყენება, როგორც იყო MMAD, სავსებით ბუნებრივია. გადაწყვეტილება MMAD-ის ოფიცერთა გამოყენების შესახებ უკანასკნელი ზომა იყო. ის განხილულ იქნა პოლიციის ხელმძღვანელობის ყველაზე მაღალ ეშელონებში და ასევე სამინისტროს და მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც მოლაპარაკებები ჩაიშალა და როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ რწმენით, რომ ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე საფრთხეში იყო. მართალია, ოფიცრები იმგვარად იყვნენ გაწვრთნილნი, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული სროლის შემთხვევაში, ეჭვიმტანილი სასიკვდილოდ უნდა დაეჭრათ, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ მიღებული ჰქონდათ მკაფიო ინსტრუქციები იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. მათ უთხრეს, რომ გამოეყენებინათ მხოლოდ პროპორციული ძალა და ცეცხლი გაეხსნათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ან ელსი კონსტანტინუსის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა.“<sup>61</sup>

ამგვარად, მე-2 მუხლის დარღვევას არც ამ კუთხით ჰქონია ადგილი.

<sup>59</sup> ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v Cyprus), N25052/94, § 192, 09 ოქტომბერი 1997.

<sup>60</sup> იქვე. § 193.

<sup>61</sup> ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v Cyprus), N25052/94, § 185, 09 ოქტომბერი 1997.



## საქმე - ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ <sup>62</sup>

2005 წლის აღნიშნული საქმე ეხებოდა ორსაათიანი ალყის შემდეგ ცეცხლის გახსნას იმ პირის მიმართ, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებებს. მოცემული პირი ერთ-ერთ ოფიცერს უმიზნებდა იარაღს და არ რეაგირებდა, როდესაც არაერთხელ მოუწოდეს მისი დაგდებისკენ, სწორედ მოცემულ მონეტში ესროლა აღნიშნულმა ოფიცერმა მას ტყვია, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა. სასამართლოს შეფასებით, მას არ შეუძლია რაიმე ეჭვი შეიტანოს ოფიცრის კეთილსინდისიერ რწმენაში იმასთან დაკავშირებით, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო და ბ-ნი ფიცჯერალდის მიმართ ცეცხლის გახსნა საკუთარი თავისა და მისი კოლეგების დასაცავად საჭიროებას წარმოადგენდა.<sup>63</sup>

სასამართლომ მოიშველია მის პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული განმარტება და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ძალის გამოყენება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, შეიძლება გამართლებული იქნეს ამ დებულებით იქ, სადაც ის ეფუძნება კეთილსინდისიერ რწმენას, რომელიც იმ მომენტში საფუძვლიანია, თუმცა შემდგომ მცდარი აღმოჩნდება. სხვაგვარი დასკვნა სახელმწიფოსა და მის სამართალდამცავ ორგანოებს არარეალურ ტვირთს დააკისრებდა მათი მოვალეობის განხორციელებისას, რაც სავარაუდოდ მათი და სხვათა სიცოცხლისთვის საზიანო იქნებოდა.<sup>64</sup>

სასამართლომ ასევე ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ „განსახილველ მოვლენებისგან განყენებულად, ის ვერ ჩაანაცვლებს საკუთარი შეფასებით იმ ოფიცრის შეფასებას, რომელიც ვალდებული იყო, რეაგირება მოეხდინა დაუყოვნებლივ, რათა თავიდან აეცილებინა მისი სიცოცხლის მიმართ კეთილსინდისიერად აღქმული საფრთხე. ოფიცერ ბ-ს იარაღს უმიზნებდა ადამიანი, რომელმაც იგნორირება გაუკეთა პოლიციის ყველა წინა მოთხოვნას, რომ დანებებულიყო და გარდა ამისა, ნათელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ცეცხლის გახსნას გეგმავდა. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ სასიკვდილო გასროლის განხორციელებამდე ოფიცერმა ყვირილით, ბოლოჯერ გააფრთხილა ბ-ნი ფიცჯერალდი.“<sup>65</sup>

შედეგად, „სასამართლოს შეფასებით, მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით ლეტალური ძალის გამოყენება არ იყო არაპროპორციული და აკმაყოფილებდა „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნას.“<sup>66</sup>

<sup>62</sup> Bubbins v United Kingdom, N [50196/99](#), 17 მარტი 2005.

<sup>63</sup> იქვე, § 138.

<sup>64</sup> ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bubbins v United Kingdom), N [50196/99](#), § 138, 17 მარტი 2005.

<sup>65</sup> იქვე, § 139.

<sup>66</sup> იგივე.

სწორედ, ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-2 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, როგორცაა ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოცემული ოპერაცია, რომელსაც პირის სიკვდილი მოჰყვა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა. ოპერაციის მიმდინარეობა მთელი დროის განმავლობაში უფროსი ოფიცრების კონტროლქვეშ იყო და შეიარაღებული ძალების გამოყენება განხილულ და მოწონებულ იქნა ტაქტიკური ცეცხლსასროლი იარაღების ექსპერტების მიერ, რომლებიც ადგილზე იყვნენ მოწვეულნი. გარდა ამისა, პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და მსგავსი ოპერაციების ჩატარება ეროვნული კანონმდებლობით იყო რეგულირებული და ემყარებოდა სასიკვდილო ძალის თვითნებური გამოყენების საწინააღმდეგო ადეკვატური და ეფექტური მექანიზმების სისტემას.

### **საქმე - რამსაჰაი ნიდერლანდების წინააღმდეგ<sup>67</sup>**

2007 წლის ხსენებული საქმე ეხებოდა პოლიციის ოფიცერს, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი მოკლა მისი დაკავებისას. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ძალის გამოყენება პროპორციული იყო. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლიციის ოფიცერმა მხოლოდ მას შემდეგ ამოიღო იარაღი, რაც ეჭვმიტანილმა დაიწყო მასზე გადატენილი პისტოლეტის დამიზნება, რის გამოც პოლიციის ოფიცერმა იფიქრა, რომ მისი სიცოცხლე რეალური საფრთხის ქვეშ იყო. პირმა იარაღის მუქარით სკუტერი წაართვა მის მესაკუთრეს. პოლიციის ოფიცერმა, რომელიც მასთან მიახლოებას ცდილობდა, დაინახა თუ როგორ იღებდა იგი პისტოლეტს შარვლის ქაშირიდან. ერთ-ერთმა ოფიცერმა თავის პისტოლეტი ამოიღო და მას იარაღის დაგდება უბრძანა, მაგრამ ვინაიდან ის არ დაემორჩილა, სხვა ოფიცერმა გაისროლა.

დიდი პალატა დაეთანხმა პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ დაპატიმრების ოპერაცია სწორად იყო დაგეგმილი, ოფიცრები იმ ინსტრუქციების თანახმად მოქმედებდნენ, რომელიც მიზნად ისახავდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად წარმოშობილი საფრთხის მინიმუმამდე დაყვანას, ცეცხლსასროლი იარაღი და აღჭურვილობა სპეციალურად ისე იყო მოწყობილი, რომ თავიდან აეცილებინათ ზედმეტი მსხვერპლი და რომ ის პოლიციელი, რომელმაც მოახდინა სასიკვდილო გასროლა ადეკვატურად იყო გაწვრთნილი საკუთარი თავდაცვისთვის სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში.

დიდმა პალატამ ასევე ერთხმად, გაიზიარა პალატის შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლის გახსნა წარმოადგენდა „აბსოლუტურ აუცილებლობას“ მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფის (ა) ქვეპუნქტის მიზნებისთვის და ამ მიმართებით აღნიშნული დანაწესის დარღვევა არ დაადგინა.<sup>68</sup>

<sup>67</sup> Ramsahai v the Netherlands, N2391/99, 15 მაისი 2007.

<sup>68</sup> იქვე, § 288.

## საქმის ზეპირი მოსმენის უფლების ზოგადი ხასიათი და მისი უზრუნველყოფა კონკრეტულ გარემოებებში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება უზრუნველყოფს საჯარო განხილვის უფლების დაცვას. საჯარო განხილვის კონტექსტში ზეპირი მოსმენის საკითხის შეფასების კუთხით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - *დორი შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>69</sup> რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული „საჯარო სასამართლო განხილვა“ გულისხმობს „ზეპირი სასამართლო მოსმენის“ უფლებას. როგორც სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს მის არაერთ გადაწყვეტილებაში ისეთ საქმეებზე, როგორებიცაა *ლუნდვალი შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>70</sup> და *მილერი შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>71</sup>

*„გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საგამონაკლისო გარემოებები, საქმის საჯარო განხილვის უფლება მოიცავს ზეპირ მოსმენას მინიმუმ ერთ ინსტანციაში.“*

აღსანიშნავია, რომ საქმის ზეპირი მოსმენის ვალდებულება არ არის აბსოლუტური ყველა იმ საქმეში, რომელიც მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტის<sup>72</sup> ქვეშ ექცევა. საგულისხმოა, რომ „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ გაფართოებული ცნება ვრცელდება იმ საქმეებზეც, რომლებიც ტრადიციულად არ მოიაზრებიან სისხლისსამართლებრივად (მაგ. ადმინისტრაციული სახდელები, საბაჟო კანონმდებლობა და საურავები), თუმცა სიმძიმის თვალსაზრისით, მათი განსხვავება დაცვის სტანდარტითაც იკვეთება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით არსებობს სამართლიანი სასამართლო განხილვის მკაცრი მოთხოვნები, სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის ერთ-ერთი გადაწყვეტილების<sup>73</sup> მიხედვით, აუცილებელი არაა, მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტით გათვალისწინებული გარანტიები სრული სიმკაცრით გავრცელდეს ამ ასპექტის ქვეშ მოქცეულ სხვა საქმეებზეც, რომლებიც არ ატარებენ რაიმე მნიშვნელოვან სტიგმას.

<sup>69</sup> Döry v. Sweden, N [28394/95](#), § 37, 12 ნოემბერი 2002.

<sup>70</sup> Lundevall v. Sweden, N. 38629/97, 12 ნოემბერი 2002

<sup>71</sup> Miller v. Sweden, N. 55853/00, 8 თებერვალი 2005 - მოცემული საქმე ეხებოდა სოციალური შეღავათების მოთხოვნასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის არქონას, რის შედეგადაც დაირღვა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

<sup>72</sup> იგულისხმება კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების სისხლის სამართლებრივი მიმართულება - „Criminal Limb“. ამ მიმართულების კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოწმდება ის საქმეებიც, რომლებიც მართალია, ტრადიციულად არ მოიაზრება სისხლისსამართლებრივად (მაგ. ადმინისტრაციული სახდელები, საბაჟო კანონმდებლობა და საურავები), თუმცა ექცევა „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ გაფართოებული ცნების ქვეშ.

<sup>73</sup> იუსილა ფინეთის წინააღმდეგ (Jussila v. Finland) [დიდი პალატა], N [73053/01](#), §§ 41-43,

სექტემბერი 2006.

რაც შეეხება ზეპირ მოსმენასთან მიმართებით კონკრეტულ შემთხვევებს სისხლის სამართლის საქმეებზე, ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ არსებობს განსასჯელის ზოგადი უფლება, წარსდგეს პირველ ინსტანციაში საქმის სასამართლო განხილვაზე, თუმცა ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დასაშვები გახდეს. ამ მიმართულებით საყურადღებოა საქმე - *მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ*<sup>74</sup>, რომელშიც განსასჯელი ბრალეულად იქნა ცნობილი. თუმცა, ამავდროულად სირთულე შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელს სასამართლოს შეჯამებები არ გადაეცემა, როგორც ეს მოხდა საქმეში - *კოლოზა იტალიის წინააღმდეგ*,<sup>75</sup> ან როდესაც ბრალდებულს უარი განუცხადეს ადვოკატის მომსახურებაზე - *პუატრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>76</sup>.

თუმცა, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის<sup>77</sup> მიხედვით, **ზეპირი მოსმენის ჩატარებაზე უარი შესაძლოა გამართლებული იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.** იმ გარემოებების ბუნება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა გამართლებული იყოს უარი ზეპირი მოსმენის ჩატარებაზე, როგორც წესი გამომდინარეობს შესაბამისი სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხების ბუნებიდან - კერძოდ, წარმოშობს თუ არა მოცემული საკითხები ფაქტთან ან კანონთან დაკავშირებულ რაიმე კითხვას, რომლის სათანადო გადაწყვეტაც ვერ მოხერხდება მხოლოდ და მხოლოდ საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით. ზეპირი მოსმენის ჩატარება შეიძლება არ იყოს საჭირო, როდესაც **განსახილველი არაა სარწმუნოობასთან დაკავშირებული საკითხები ან სადავოდ გამხდარი ისეთი ფაქტები, რომლებიც მტკიცებულებათა ზეპირი წარდგენის ან მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის საჭიროებას ქმნიან**, ასევე, როდესაც **ბრალდებულს ჰქონდა ადეკვატური შესაძლებლობა, წერილობითი ფორმით წარედგინა დავასთან მიმართებით საკუთარი პოზიცია და სადავო გაეხადა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები** (*იუსილა ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]<sup>78</sup>, - საქმე, რომელიც ეხებოდა საურავთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას; *სუჰადოლცი სლოვენის წინააღმდეგ (განჩინება)*<sup>79</sup> - საქმე, რომელიც უკავშირდებოდა ავტოსაგზაო დანაშაულებთან დაკავშირებულ გამარტივებულ წარმოებას; *სანცაკლი თურეთის წინააღმდეგ*<sup>80</sup> - ადმინისტრაციულ სახელთან დაკავშირებული საქმე, რომელიც ეხებოდა სასტუმროს მფლობელის მიერ პროსტიტუციისთვის ხელის შეწყობას).

<sup>74</sup> Medenica v. Switzerland, No. 20491/92, 14 ივნისი 2001

<sup>75</sup> Colozza v. Italy, No. 9024/80, 12 თებერვალი 1985

<sup>76</sup> Poitrimol v. France, No. 14032/88, 23 ნოემბერი 1993.

<sup>77</sup> გრანდ სტევენსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Grande Stevens and Others v. Italy), N [18640/10](#), §§ 121-122, 4 მარტი 2014.

<sup>78</sup> Jussila v. Finland[G.C], N [73053/01](#), §§ 41-43 და 47-48, 23 სექტემბერი 2006

<sup>79</sup> Suhadolc v. Slovenia(dec.), N [57655/08](#), 17 მაისი 2011

<sup>80</sup> Sancakli v. Turkey, N [1385/07](#), § 45, 15 მაისი 2018



მიუხედავად ამისა, ისეთ საქმეებში, რომლებშიც სადავო დანაშაულზე დაკვირვებას ჰქონდა ადგილი საჯარო თანამდებობის პირის მიერ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქმეში - „*Produkcija Plus Storitveno podjetje d.o.o.*“ სლოვენიის წინააღმდეგ<sup>81</sup> სლოვენის კონკურენციის კონტროლის სააგენტოს ოფიცრების სახით), ზეპირი მოსმენის ჩატარება შესაძლოა არსებითი იყოს ბრალდებულის ინტერესთა დაცვის მიზნებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მას შესაძლებლობა მიეცეს, სადავო განაღოს მოცემულ თანამდებობის პირთა მიერ გაკეთებული დასკვნების სარწმუნოება.

მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მაშინაც კი როცა დავის საგანი ეხება ტექნიკური ბუნების საკითხს, რომელიც სამართლიანი განხილვის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, როგორც წესი, შესაძლოა გადაწყდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის კონკრეტული გარემოებები შესაძლოა საჭიროებდეს ზეპირი მოსმენის ჩატარებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 2017 წლის საქმეში - *Özmurat İnşaat Elektrik Nakliyat Temizlik San. ve Tic. Ltd. Şti.*“ თურქეთის წინააღმდეგ,<sup>82</sup> რომელშიც მიუხედავად განსახილველი საკითხის ტექნიკური ხასიათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა სტრასბურგის სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევად მიიჩნია. მოცემულ საქმეში სამთო მომპოვებელი კომპანია სადავოდ ხდიდა საინსპექციო ორგანოს იმ ანგარიშის სარწმუნოებას, რომლის შედეგებიც დაედო საფუძვლად მის მიმართ გამოყენებულ სანქციას - ფულად ჯარიმას და აღნიშნულისთვის მოწმეთა დაკითხვას მოითხოვდა.

რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შეფასდეს, უნდა გაიმართოს თუ არა ზეპირი მოსმენა,

**ა) პირველი კრიტერიუმი ეხება სამართალწარმოების მნიშვნელობასა და აუცილებლობას მტკიცებულებების დასაშვად ცნობისა და შეფასების კუთხით,** ისევე როგორც სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას სააპელაციო სასამართლოს მიერ. ზეპირი მოსმენის გამართვა აუცილებელია საქმეებზე, სადაც სააპელაციო სასამართლოს ჭირდება მხარეთა სანდოობის შემოწმება უშუალოდ სასამართლო სხდომაზე, აგრეთვე საქმეებზე, როდესაც დასაზუსტებელია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც რელევანტურია მომჩივნის ბრალულობის განსაზღვრისთვის.<sup>83</sup> თუმცა, თუ საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია სადავო საკითხების გადაწყვეტა სააპელაციო სამართალწარმოების დროს, შესაძლოა საქმეზე ზეპირი განხილვა აღარ ჩატარდეს. მსგავსი შემთხვევა არის, მაგალითად, როდესაც სადავო ფაქტების დადგენა შესაძლებელია ფოტოსურათის ან პირველი ინსტანციის დონეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების მეშვეობით.<sup>84</sup> ზეპირი მოსმენის განხილვა სავალდებულო არ არის, თუ სააპელაციო სასამართლო წამოჭრის სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც მარტივად გადასაწყვეტია.

<sup>81</sup> *Produkcija Plus Storitveno podjetje d.o.o. v. Slovenia*, N 47072/15, § 54, 23 ოქტომბერი 2018.

<sup>82</sup> *Özmurat İnşaat Elektrik Nakliyat Temizlik San. ve Tic. Ltd. Şti. v. Turkey*, N 48657/06, § 37, ნოემბერი 2017.

<sup>83</sup> ეკბატანი შვედეთის წინააღმდეგ (*Ekbatan v. Sweden*), N 1056/83, § 32.

<sup>84</sup> იგუალ კოლი ესპანეთის წინააღმდეგ (*Igual Coll v. Spain*), N37496/04, §36.

ბ) მეორე კრიტერიუმი უკავშირდება მომჩინისთვის სამართალწარმოების შედეგის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმანეთისგან არ ასხვავებს სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო სამართალწარმოებას. სამოქალაქო საქმის შედეგიც შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც სისხლის სამართლის, ეს დამოკიდებულია იმ სამართლებრივ სიკეთეზე, რომელიც მხარისთვის საფრთხის ქვეშ დგას, მაგალითად, როგორცაა მისი პროფესიული რეპუტაცია და კარიერა. მეორე მხრივ, მსუბუქი დანაშაული სააპელაციო დონეზე ხშირად არ საჭიროებს საქმეზე ზეპირი მოსმენის გამართვას.

**შედეგად, არის თუ არა საჭირო ზეპირი მოსმენის გამართვა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალწარმოების კონკრეტული მახასიათებლები, ისევე როგორც ეროვნული სასამართლოს წინაშე განხორციელებული სამართალწარმოება მთლიანობაში, სააპელაციო სასამართლოს როლი და განსახილველი საკითხების ბუნება.<sup>85</sup>**

ზეპირი მოსმენის თვალსაზრისით, ასევე საყურადღებო განმარტებაა მოცემული საქმეში - *სობოლევსკი პოლონეთის წინააღმდეგ*,<sup>86</sup> რომლის თანახმადაც,

*„ის საკითხი, განსასჯელის პირადი დასწრება აუცილებელია თუ არა სააპელაციო განხილვისას, დამოკიდებულია კონკრეტული სამართალწარმოების ბუნებაზე და განსასჯელის ინტერესების წარდგენისა და დაცვის ფორმაზე“.*

გარდა ამისა, საქმის საჯაროდ განხილვის უფლება შესაძლოა ასევე შეიზღუდოს იმ პირობით, რომ შეზღუდვა არაორაზროვანია და არ არსებობს რაიმე საჯარო ინტერესი საზოგადოების დასწრებისთვის. ერთ-ერთ საქმეში<sup>87</sup> სტრასბურგის სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასების შესაბამისად, „სამოქალაქო უფლებების“ განმსაზღვრელი ადმინისტრაციული ან სხვა ტრიბუნალებისთვის არ არის ყოველთვის აუცილებელი საქმეზე საჯარო მოსმენის ჩატარება, იმ პირობით, თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის საჯარო განხილვა უზრუნველყოფილია“.

უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა საქმეში - *რიპე გერმანიის წინააღმდეგ*,<sup>88</sup> რომ ზეპირი მოსმენა შესაძლოა არ იყოს აუცილებელი კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, მაგალითად, როდესაც ფაქტის ან კანონმდებლობის საკითხი წარმოიშვება და შეიძლება ადეკვატურად გადაიჭრას მხარეთა წერილობითი შეპასუხებების საფუძველზე.

<sup>85</sup> ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ, *Helmerts v. Sweden*, N11826/85, § 39.

<sup>86</sup> *Sobolewski v. Poland* (No.2), No. 19847/07, 9 სექტემბერი 2009.

<sup>87</sup> მალჰაუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Malhous v. Czech Republic*), No. 33071/96, ივლისი 2001

<sup>88</sup> *Rippe v. Germany*, No. 5398/03, 2 თებერვალი 2006.

## ზეპირი სასამართლო მოსმენის ჩანიშვნა დანაშაულის გადაკვალიფიცირებისას

რაც შეეხება ზეპირი სასამართლო მოსმენის ჩანიშვნას ისეთ გარემოებებში, როდესაც სასამართლო განიხილავს დანაშაულის გადაკვალიფიცირების შესაძლებლობას, ამ საკითხის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სათანადო მსჯელობა აქვს განვითარებული მის რამდენიმე გადაწყვეტილებაში.

ამ კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს - **ჰენევი ბულგარეთის წინააღმდეგ**,<sup>89</sup> რომელშიც მომჩივანს წარმოადგენდა ბულგარეთის მოქალაქე ნიკოლაი პენევი, დაბადებული 1946 წელს სოფიაში. მომჩივანი 1999 წელს მინდობილობის საფუძველზე, დაინიშნა გადახდისუუნაროდ გამოცხადებულ, სააქციო საზოგადოება - „პლამას“ პასუხისმგებელ პირად. იმავე წელს, მის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. გამოძიებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო ქმედება იყო მის მიერ ადვოკატის დაქირავება სააქციო საზოგადოების სამართალწარმოებაში წარმოსადგენად, რაც აღნიშნული წარმომადგენლის დანიშნიდან მალევე შეწყდა. ამ ხანმოკლე მომსახურებისთვის ადვოკატს პენევმა დაახლოებით 77 000 ევროს ექვივალენტური თანხა. 2001 წლის დეკემბერში, პლევენის საოლქო სასამართლომ მომჩივანს ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, უფლებამოსილებების გადამეტების საფუძველზე სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით. მოცემული განაჩენი ძალაში დარჩა პლევენის რაიონული (სააპელაციო) სასამართლოს 2002 წლის 18 დეკემბრის განაჩენით. რაც შეეხება უზენაესმა სასამართლოს, 2003 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, მან დაადასტურა ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნები, რომ მომჩივანს ჰქონდა ოფიციალური უფლებამოსილება. თუმცა, მან დაადგინა, რომ ადვოკატის შენარჩუნებისა და იურიდიული ხარჯების გადახდის დაკისრებისას მას არ გადაუჭარბებია იმ უფლებამოსილებისთვის, რომელიც როგორც მინდობილობით აღჭურვილ პირს გააჩნდა. ადვოკატის შენარჩუნება მისი უფლებამოსილების ფარგლებში იყო და ვინაიდან მან განაგრძო ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელება, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა „პლამას“ აღდგენის გეგმა, მას აგრეთვე ჰქონდა ზემოხსენებული ხარჯების გადახდის ბრძანების გაცემის უფლებამოსილება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლი ეხებოდა სახელმწიფო უფლებამოსილების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, მაშინ როდესაც, მომჩივანს ბრალი ედებოდა კერძო კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებაში. ამრიგად, ის ვერ ჩაიდენდა სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ გაამართლა მომჩივანი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში.

მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ

---

<sup>89</sup> Penev v. Bulgaria, #20494/04, 7 იანვარი 2010

„ვინაიდან მომჩივანმა განზრახ დადო ხელშეკრულება, რომელიც კომპანიისთვის არახელსაყრელი იყო, ის დამნაშავე იყო სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. **საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება პროცედურულად კანონიერი იყო, per argumentum a contrario**, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, **ვინაიდან ის ეფუძნებოდა იმავე გარემოებებს, რომლებსაც ეყრდნობოდა თავდაპირველი ბრალდება და მომჩივანს სამართალწარმოების ფარგლებში ამ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდა დაცვის პოზიცია. შეიცვალა მხოლოდ ფაქტების სამართლებრივი შეფასება.**“<sup>90</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების სასამართლო შეფასების ნაწილში აღნიშნა, რომ „მომჩივანს სასჯელი შეუფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე. მისი შეფასებით, ადგილი არ ჰქონია არანაირ გარემოებას, რომელიც მიუთითებდა, რომ არახელსაყრელ ხელშეკრულებაში განზრახ შესვლის ბრალდება (სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი) მოაზრებული იყო გამოძიების რომელიმე ეტაპზე. ამის მსგავსად, არც ერთი გარემოებიდან არ იკვეთებოდა, რომ პლევენის საოლქო ან რაიონული სასამართლოები თავის მხრივ, განიხილავდნენ სასჯელის დაკისრებას ზემოთ ხსენებული დანაწესის საფუძველზე.“<sup>91</sup>

ამ თვალსაზრისით სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „**ახალი დანაშაულის ელემენტები არასდროს არ გამხდარა განხილვის საგანი მომჩივნის საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს**, რადგან ფაქტების ახალი სამართლებრივი შეფასების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შედეგად.“<sup>92</sup>

[ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა მთავრობის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის სამართლებრივი შეფასება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ალტერნატიული მსჯავრდება ეფუძნებოდა იმავე ფაქტებს. მოცემულ საკითხთან მიმართებით სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება და ჩამოაყალიბა ერთგვარი სახელმძღვანელო სტანდარტი, რომლის მიხედვითაც „**კონვენცია მოითხოვს ბრალდებულის დეტალურად ინფორმირებას არამხოლოდ იმ ქმედებებთან და ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელებაშიც ედება ბრალი და რომლებიც საფუძვლად უდევს მის ბრალდებას, არამედ აგრეთვე ამ ფაქტებისთვის მიცემულ სამართლებრივ შეფასებასთან მიმართებით.**“<sup>93</sup>

შესაბამისად, ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების შეფასების კუთხით, სასამართლომ მიიჩნია, რომ „**საკასაციო სასამართლოს მომჩივნისთვის ახალი**

<sup>90</sup> Penev v. Bulgaria (პენევი ბულგარეთის წინააღმდეგ), #20494/04, § 22, 7 იანვარი 2010.

<sup>91</sup> Penev v. Bulgaria (პენევი ბულგარეთის წინააღმდეგ), #20494/04, §§ 38-39, 7 იანვარი 2010.

<sup>92</sup> იქვე, § 41.

<sup>93</sup> იქვე, § 42.

ბრალდების წინააღმდეგ თავის დაცვის შესაძლებლობა უნდა მიეცა. მაგალითად, სასამართლოს შექმნილ სხდომის გადადება შემდგომი არგუმენტების წარმოდგენის მიზნით ან ალტერნატიულად მომჩივნისთვის ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით წერილობითი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა მიეცა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არცერთი ზემოხსენებული ნაბიჯი არ გადადგა, ვინაიდან მან იმოქმედა 1974 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმადაც სამართალწარმოების გადადება სავალდებულო იყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ჰქონდა ფაქტობრივი გარემოებების არსებით ცვლილებას ან წარდგენილი იყო ახალი ბრალდება, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა.<sup>94</sup>

ზემოთ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაასკვნა, რომ „მომჩივანს დეტალურად არ ეცნობა მის წინააღმდეგ ბრალდების ბუნებისა და მიზეზების შესახებ; აგრეთვე, მას არ მიეცა საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის პოზიციის მოსამზადებლად და მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. ამ ასპექტში უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ცალსახა მოთხოვნას იმისა, რომ მომჩივანს ჰქონოდა შეცვლილი ბრალის წინააღმდეგ საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა.“<sup>95</sup>

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას, მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან ერთობლიობაში.

დანაშაულის გადაკვალიფიცირებისას ზეპირი მოსმენის ჩანიშვნის საკითხთან მიმართებით რელევანტურია ასევე საქართველოს წინააღმდეგ არსებული ერთ-ერთი უახლესი, 2019 წლის საქმე - *გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ*,<sup>96</sup> რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად შეაფასა აგრეთვე ეროვნული სასამართლოს მიერ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან.

#### სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე

მოცემულ საქმეში მომჩივანი წარმოადგენდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, რომლის წინააღმდეგაც 2005 წელს წინასწარი გამოძიება დაიწყო **სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** შესაბამისად, იმ საფუძველით, რომ მომჩივანმა, როგორც მოსამართლემ, გამოიტანა უკანონო

<sup>94</sup> იქვე, § 43.

<sup>95</sup> Penev v. Bulgaria (პენევი ბულგარეთის წინააღმდეგ), #20494/04, § 44, 7 იანვარი 2010.

<sup>96</sup> Gelenidze v. Georgia, #72916/10, 7 ნოემბერი 2019.

სასამართლო გადაწყვეტილება. მის მიმართ ოფიციალური ბრალდების წარდგენიდან მალევე მომჩივანი გაიქცა საქართველოდან და თავშესაფარი მიიღო ყაზახეთში. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივნის მიმართ დაუსწრებლად გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის სწორედ ამ დანაწესის (**უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა**) მიხედვით და მიუსაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. მისი მსჯელობა განიხილა და მთლიანად გაიზიარა ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. რაც შეეხება საქართველოს უზენაესმა სასამართლოს, მან 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით დაუშვებლად ცნო მომჩივნის საკასაციო საჩივარი, თუმცა აღნიშნა, რომ დაკავების შემდეგ, მომჩივანს შეეძლებოდა მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება. იმავდროულად, 2007 წლის 4 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

აღნიშნული პერიოდიდან ორი წლის შემდეგ, მომჩივანი დააკავეს მისი ჩამოსვლისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. დაკავების შემდეგ მან შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დანაშაული, რომლის ჩადენის გამოც მას მიესაჯა სასჯელი, დეკრიმინალიზებული იყო. სააპელაციო სამართალწარმოების მიმდინარეობისას, სასამართლო მოსმენის დროს, პროკურორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა თხოვნით, გადაეკვალიფიცირებინა მომჩივნის ქმედება, როგორც **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**, რაც წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის **332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით** გათვალისწინებულ დანაშაულს. ის ამტკიცებდა, რომ მიუხედავად 336-ე მუხლის დეკრიმინალიზაციისა, სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას არ დაუკარგავს სისხლის სამართლის დანაშაულის ხასიათი და ზიანს აყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს. პროკურორმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ორ დანაშაულს საერთო საკვანძო ელემენტები ჰქონდა, როგორც არის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო მოხელის მიერ და შედეგად გამოწვეული ზიანი. ამგვარად, ქმედება, რომელიც ხვდებოდა გაუქმებული 336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში, წარმოადგენდა *lex specialis* (სპეციალურ ნორმას) 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მიმართ და, შესაბამისად, არ იყო დეკრიმინალიზებული, როგორც ასეთი. საპასუხოდ, მომჩივანმა განაცხადა, რომ პროკურორის მტკიცება უკანონო იყო, რადგან მისი ქმედებების შეთავაზებული გადაკვალიფიცირება წარმოადგენდა ახალ ბრალდებებს და სცდებოდა საქმის ფარგლებს, რომელსაც იხილავდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ საქმის ამგვარ გაგრძელებას კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა, რადგან სააპელაციო სამართალწარმოება დაწყებული იყო არა პროკურატურის, არამედ თავად მის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე. იმავე დღეს, ქუთაისის სააპელაციო

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სააპელაციო საჩივარი, შეცვალა მისი განაჩენი და იგი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მოცემული არგუმენტი და სასჯელის სახით მომჩივანს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მოცემული განაჩენი მომჩივანმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. ის საკასაციო საჩივარში აცხადებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო იყო: პირველი, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გადაეკვალიფიცირებინა მისი დანაშაული; მეორე, **მისი ქმედებების ახალი სამართლებრივი კვალიფიკაცია შეთავაზებული იყო პროკურორის მიერ სამართალწარმოების ბოლო ეტაპზე და მას არ მიეცა თავის დაცვის საშუალება ახალი ბრალდებების მიმართ;** და ბოლოს, მეორე სამართალწარმოების *de facto* შედეგი იყო მისი დამნაშავედ ცნობა იმ ქმედებების გამო, რომელიც იმ დროისთვის დეკრიმინალიზებული იყო. 2010 წლის 7 მაისის განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

#### სამართალწარმოება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გადაკვალიფიცირების საკითხზე მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციების კუთხით აღსანიშნავია მთავრობის არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც, „გადაკვალიფიცირებული ბრალდებები შედგებოდა ექსკლუზიურად თავდაპირველი ბრალდების დამახასიათებელი ელემენტებისგან, ამგვარად, მომჩივნის წინააღმდეგ თავდაპირველი ბრალდების აღწერა და ხასიათი არ შეცვლილა, და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის უბრალოდ შეცვლით, არავითარი საკითხი არ წამოჭრილა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(a) პუნქტთან დაკავშირებით.<sup>97</sup>

მოცემულ საკითხთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ის ვერ გაიზიარებს იმ არგუმენტს, რომ ადგილი არ ჰქონია თავდაპირველი ბრალდებების საზღვრების გადაჭარბებასა და დანაშაულის გადაკვალიფიცირებას *stricto sensu* (მკაცრად). პირველ რიგში, ეს ეწინააღმდეგება დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის დასაბუთებას, რომლის განმარტებითი ბარათი აშკარად აცხადებდა, რომ შეთავაზებული ცვლილების მიზანი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება არაკანონიერი სასამართლო განჩინების და/ან გადაწყვეტილების გამოტანისთვის. გარდა ამისა, სასამართლო

<sup>97</sup>Gelenidze v. Georgia, #72916/10, § 27, 7 ნოემბერი 2019.

აღნიშნავს, რომ მომჩივნისთვის წარდგენილ ერთადერთ ბრალდებაში არ ყოფილა მითითება რაიმე სხვა პოტენციურ ბრალდებებზე ან 336-ე მუხლის ხასიათზე, როგორც სპეციალურ ნორმაზე 332-ე მუხლთან მიმართებით. ის საკითხი, რომ მომჩივანი შეიძლება ბრალდებული ყოფილიყო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ალტერნატივის სახით, საერთოდ არ გაჟღერებულა. **აღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდების ერთი მუხლი უბრალოდ ჩაანაცვლა მეორეთი.** სასამართლო ზუსტად ამგვარად მოიქცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ ორი დანაშაულის განსაზღვრების შეფასების კუთხით, დატოვა რა მათ შორის არსებული აშკარა განსხვავებები განხილვის გარეშე.<sup>98</sup> ხოლო უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულის მდუმარე *post factum* დადასტურებით, გამოიტანა პროცედურულად და არსებითად უსამართლო გადაწყვეტილება.<sup>99</sup>

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ის, თუ როგორ მოხდა დანაშაულის გადაკვალიფიცირება და გამოიწვია თუ არა აღნიშნულმა მომჩივნის კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა, უნდა შემოწმდეს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ამ საკითხის შეფასებას მოცემულ საქმეში, მისი განმარტებით, **„ბრალდებულის უფლება, მოამზადოს მისი დაცვა, გულისხმობს უფლებას, ინფორმირებული იყოს არა მხოლოდ ბრალდების მიზეზის შესახებ, არამედ სამართლებრივი კვალიფიკაციის შესახებ, რაც იმ ქმედებებს მიეცა, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილია მის მიერ (იხილეთ *I.H. And Others v. Austria*, no. 42780/98, § 34, 2006 წლის 20 აპრილი).“<sup>100</sup>**

გადაკვალიფიცირების სათანადოობის კუთხით, სტრასბურგის სასამართლომ შემდეგი რამ განაცხადა:

**„მოცემულ საქმეში, ახალი კვალიფიკაცია, რომელიც წარდგენილი იყო სააპელაციო სამართალწარმოების ფარგლებში, პირველად გაჟღერდა სააპელაციო სამართალწარმოების შემაჯამებელ სხდომაზე, იმ გარემოებებში, რომლებიც ზღუდავდა მომჩივნის მანსებს, დაეცვა თავისი თავი ახალი ბრალდებისგან.** ამგვარად, სააპელაციო სასამართლომ არ გააფრთხილა მომჩივანი, რომ მისი დანაშაული შეიძლება გადაკვალიფიცირებული ყოფილიყო. სხდომა არ იქნა გადადებული შემდგომი განხილვისთვის და ახალი ბრალდების ელემენტები არ იქნა განხილული სასამართლოში (იხილეთ *Penev*, cited above, § 41). ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროკურორის მოთხოვნა გადაკვალიფიცირებაზე არასწორი იყო პროცედურული თვალსაზრისით, რაც სათანადოდ აღნიშნა მომჩივანმა პროცესის

<sup>98</sup> იქვე, § 33.

<sup>99</sup> *Gelenidze v. Georgia*, #72916/10, § 34, 7 ნოემბერი 2019.

<sup>100</sup> იქვე, § 35.



მიმდინარეობის დროს. ამგვარ გარემოებებში, არ შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანს უნდა ჰქონოდა მისი დანაშაულის გადაკვალიფიცირების მოლოდინი.“<sup>101</sup>

მომჩივნის მიერ დაცვის პოზიციის ალტერნატიულად ჩამოყალიბების კუთხით, სასამართლომ განმარტა, რომ „მას არ შეუძლია იმსჯელოს დაცვის არსებით შინაარსზე, რომელიც შეიძლება მომჩივანს ჰქონოდა, იმ შემთხვევაში, თუ მას მეცემოდა შესაძლებლობა, რომ გააკეთებინა მიზანმიმართული განცხადებები იმ დანაშაულთან მიმართებით, რომლის ჩადენაშიც ის საბოლოოდ დამნაშავედ ცნეს. **თუმცა, განსაზღვრებებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით, რაც ზემოთ აღინიშნა სასამართლო მიიჩნევს, რომ დაცვის პოზიცია შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო ფორმულირებული, განსხვავებით იმ პოზიციისაგან, რომელიც მოცემული იყო დამნაშავედ ცნობის შესახებ მომჩივნის საჩივარში, სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის შესაბამისად.**“<sup>102</sup>

შეჯამების სახით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ „**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ მისცა მომჩივანს შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინა დაცვის პოზიცია ახალი ბრალდებების მიმართ.** რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, რომელსაც შეეძლო განეხილა საქმე მთლიანად, მომჩივნის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობით მან ვერ უზრუნველყო სააპელაციო სამართალწარმოების დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორება.“<sup>103</sup>

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზემოთ მოცემული მსჯელობების გათვალისწინებით დაადგინა, რომ „**ის დანაშაული, რომლის გამოც მომჩივანი თავდაპირველად გაასამართლეს, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაკვალიფიცირებული იყო თვითნებურად და არღვევდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს** (იხილეთ, თუმცა სხვა კონტექსტში, *Andelković v. Serbia*, no. 1401/08, §§ 26-27, 2013 წლის 9 აპრილი). უზენაესმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილების გამოსწორება.“<sup>104</sup>

შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტები.

---

<sup>101</sup> იგივე.

<sup>102</sup> *Gelenidze v. Georgia*, #72916/10, § 36, 7 ნოემბერი 2019.

<sup>103</sup> იქვე, § 37.

<sup>104</sup> იქვე, § 38.

## ადმინისტრაციული სამართლის საკითხები

### საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა და მისი პროპორციულობა

#### საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება საკუთრების უფლების სამი წესის კონტექსტში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული საკუთრების უფლების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დადგენილი პრეცედენტული სამართლის<sup>105</sup> შესაბამისად, ადამიანის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი შედგება სამი განცალკევებული წესისგან.

დიდი პალატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თანახმად საქმეზე - *იატრიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>106</sup>,

„**პირველი წესი**, რომელიც პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული, ზოგადი ხასიათისაა და აყალიბებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს.

**მეორე წესი**, რომელიც პირველი პარაგრაფის მეორე წინადადებაშია მოცემული, ეხება მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევას და უქვემდებარებს მას კონკრეტულ პირობებს.

**მესამე წესი**, რომელზეც მეორე პარაგრაფი მიუთითებს, აღიარებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებამოსილები არიან, *inter alia*, საჯარო ინტერესის შესაბამისად განახორციელონ საკუთრების გამოყენების კონტროლი.“

საგულისხმოა, რომ მოცემული სამი წესი არაა ერთმანეთისგან განყენებული იმ გაგებით, რომ თითოეული მათგანი ურთიერთდაკავშირებულია: მეორე და მესამე წესები საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენენ და მაშასადამე პირველ წესში გამყარებული ზოგადი პრინციპის შუქზე უნდა იქნან წარმოჩენილი/განმარტებული, როგორც ამაზე მიუთითებს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე - *საბერძნეთის ყოფილი მეფე და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*.<sup>107</sup>

როგორც წესი, მას შემდეგ, რაც [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო დადებითად გადაწყვეტს საქმის დასაშვებობის საკითხს, ის განიხილავს მას თანმიმდევრულ ეტაპებად, რომლის პროცესშიც შესაბამისი ყურადღება ეთმობა შემდეგ

<sup>105</sup> სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lönnroth v. Sweden), § 61.

<sup>106</sup> Iatridis v. Greece [GC], § 55.

<sup>107</sup> Former King of Greece and Others v. Greece [GC], § 50.

კითხვებს: ჰქონდა თუ არა ადგილი მომჩივნის საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევას? თუ ჰქონდა, წარმოადგენდა თუ არა ის საკუთრების ჩამორთმევას? თუ არა, უნებოდა თუ არა საქმე საკუთრების გამოყენების კონტროლს? თუ ის ზომები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს მომჩივნის უფლებებზე ვერ დაკვალიფიცირდება საკუთრების ვერც ჩამორთმევად და ვერც მისი გამოყენების კონტროლად, მოცემული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო აფასებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის ზოგადი პრინციპის შუქზე.

კონკრეტულ საქმეებში საჭიროა, ნათელი ხაზი გაველოს იმ ზომებს შორის, რომლებიც კვალიფიცირებიან „საკუთრების გამოყენების კონტროლად“ და იმგვარ ზომებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრების ჩამორთმევას. ასეთი გამიჯვნა მნიშვნელოვანია განხორციელდეს აგრეთვე საკუთრების გამოყენების კონტროლისა და იმ ზომების გასამიჯნად, რომლებიც სასამართლოს მიერ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პირველი ზოგადი პრინციპის ქრილში განიხილება. ზოგადად, რაც უფრო ნაკლებად ჩამრევი ხასიათისაა გამოყენებული ღონისძიება, უფრო მეტად სავარაუდოა, ის განხილვას დაექვემდებაროს პირველი ზოგადი პრინციპის შესაბამისად, ვიდრე საკუთრების გამოყენების კონტროლის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ზომები სასამართლოს მიერ შესაძლოა განსხვავებულად დაკვალიფიცირდეს, მაგალითად საქმეში - *სპორონგი და ლორონთი შვედეთის წინააღმდეგ*<sup>108</sup> ბრძანება საკუთრების ჩამორთმევის შესახებ და დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში მშენებლობის აკრძალვა მიჩნეულ იქნა საკუთრების გამოყენების კონტროლად მაშინ, როდესაც მსგავსი ღონისძიებები სასამართლომ პირველ წესში მოცემული ზოგადი პრინციპის შესაბამისად განიხილა შემდეგ საქმეებში - *ფოკასი საფრანგეთის წინააღმდეგ*,<sup>109</sup> (ქალაქის დაგეგმვის პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმე); *იატრიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]<sup>110</sup> (საქმე უნებოდა ადმინისტრაციული წესით გამოსახლებას); „*Katte Klitsche de la Grange*“ იტალიის წინააღმდეგ,<sup>111</sup> (საქმე, რომელშიც განსახილველი საკითხი იყო მიწით სარგებლობის შესახებ გეგმაზე ნებართვის გაცემა); *პიალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*.<sup>112</sup>

## საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის საფუძვლები

როდესაც საქმე გვაქვს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევასთან, იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ის კონვენციის 1-ლი

<sup>108</sup> *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, §§ 62-64.

<sup>109</sup> *Phocas v. France*, § 52.

<sup>110</sup> *Iatridis v. Greece* [GC], § 55.

<sup>111</sup> *Katte Klitsche de la Grange*, § 40.

<sup>112</sup> *Pialopoulos and Others v. Greece*, § 53.

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის დადგენის საფუძვლად არ მიიჩნის, საჭიროა მოცემული ჩარევა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იცავდეს კანონიერების პრინციპს,
- ემსახურებოდეს საჯარო ან საზოგადოებრივ ინტერესს, და
- იყოს პროპორციული, როგორც პროცედურული ფაქტორების, ისევე შერჩეული ღონისძიებებისა და სამართლიანი ბალანსის უზრუნველსაყოფად საჭირო არსებითი საკითხების გათვალისწინებით.

კანონიერების პრინციპი 1-ლი დამატებითი ოქმის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. ამაზე მეტყველებს დიდი პალატის ორი გადაწყვეტილებაც - ვისტინში და პერეპოლკინსი ლატვიის წინააღმდეგ<sup>113</sup>, ბელანე ნაგი უნგრეთის წინააღმდეგ<sup>114</sup>, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხსენებულ უფლებაში ნებისმიერ ჩარევა მოცემულ მოთხოვნას აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს. ფრაზა „უნდა ექვემდებარებოდეს კანონით გათვალისწინებულ პირობებს“, რომელიც საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევას მიემართება, უნდა იქნას ზუსტად იმგვარად გაგებულნი, როგორც ფრაზა - „კანონის შესაბამისად“ მე-8 მუხლში, რომელიც ამ დანაწესით დაცულ უფლებაში ჩარევის საფუძვლებზე მიუთითებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიდი პალატის ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად, **„ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი საფუძვლის არსებობა ავტომატურად არ აკმაყოფილებს კანონიერების მოთხოვნას.** დამატებით, სამართლებრივ საფუძველს უნდა ჰქონდეს გარკვეული ხარისხი, კერძოდ ის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კანონის უზენაესობის პრინციპთან და უნდა უზრუნველყოფდეს თვითნებურობის წინააღმდეგ გარკვეული გარანტიების არსებობას. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს, რომ „კანონზე“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი სწორედ იმ კონცეპტს უკავშირდება, რომელსაც მხედველობაში იღებს ყოველ ჯერზე, როდესაც ამ ტერმინს იყენებს - კონცეპტს, რომელიც მოიცავს, როგორც პოზიტიურ კანონმდებლობას, ასევე პრეცედენტულ სამართალს“.<sup>115</sup>

დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე - ბეილერი იტალიის წინააღმდეგ, გაკეთებული განმარტების მიხედვით, **„კანონიერების პრინციპი ასევე საკუთარ თავში მოიაზრებს, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დანაწესები მათი გამოყენებისას უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, ზუსტი და განჭვრეტადი.“<sup>116</sup>**

მოცემული კრიტერიუმებიდან ყველაზე საკვანძო განჭვრეტადობის მოთხოვნაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების თანახმად საქმეზე - „*Centro Europa 7 S.r.l.*“ და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ,

<sup>113</sup> Vistiņš and Perepjolkins v. Latvia [GC].

<sup>114</sup> Béláné Nagy v. Hungary [GC], § 112.

<sup>115</sup> ვისტინში და პერეპოლკინსი ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა](Vistiņš and Perepjolkins v. Latvia [GC]), § 95-96.

<sup>116</sup> Beyeler v. Italy [GC], § 109.

„ნორმა განჭვრეტადია, როდესაც ის სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან თვითნებური ჩარევებისგან თავის არიდების თვალსაზრისით, პირს სათანადო მექანიზმით უზრუნველყოფს“.<sup>117</sup> შედეგად, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ნებისმიერ ჩარევას თან აუცილებლად უნდა ახლდეს სათანადო პროცედურული გარანტიები, რომელიც დაინტერესებულ პირს ან დაწესებულებას აღჭურავს წონადი შესაძლებლობით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წინაშე წარადგინონ თავისი საქმე და სადავო გახადონ აღნიშნული დანაწესით გარანტირებულ მათ უფლებაში ჩარევისთვის გამოყენებული ზომები.

ამ მიმართულებით სტრასბურგის სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული - მისი შეფასებით,

**„განჭვრეტადობის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხის შეფასებისას, ეროვნულმა სასამართლოებმა განსახორციელებელ იურიდიულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, ყოვლისმომცველი შეფასება უნდა გააკეთონ (Jokela v. Finland, § 45; Capital Bank AD v. Bulgaria, § 134; და Stolyarova v. Russia, § 43).“**<sup>118</sup>

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას - საზოგადოებრივი ან საჯარო ინტერესის არსებობას, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით შეიძლება ითქვას ნაკლებად კრიტიკულია. საქმე ისაა, რომ დიდი ხნის მანძილზე ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების კუთხით ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს შეფასების ფარგლები საკმაოდ ფართოა და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო „პატივს სცემს მის შეფასებას იმასთან მიმართებით, თუ რა არის „საზოგადოების ინტერესში“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული შეფასება აშკარად მოკლებულია გონივრულ საფუძველს.“<sup>119</sup>

მას შემდეგ, რაც იკვეთება, რომ ჩარევა ემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესს, ხდება აღნიშნული ჩარევის პროპორციულობის საკითხის შეფასება, კერძოდ ჰქონდა თუ არა ადგილი სამართლიანი ბალანსის დაცვას საზოგადოებრივ და იმ პირის/პირების ინტერესთა შორის, რომელთა უფლებაშიც მოხდა ჩარევა. შესაბამისად, როგორც [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მისი დიდი პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში - ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ მიუთითებს,

„სასამართლო ახდენს სხვადასხვა ინტერესთა სრულფასოვან შემოწმებას, მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ კონვენცია გამიზნულია, რათა დაიცვას ისეთი უფლებები, რომლებიც „პრაქტიკული და ეფექტიანია“. ამ კონტექსტში, აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ სახელმწიფოს მოქმედების შეფასების კუთხით განსაკუთრებით გასათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენს

<sup>117</sup> Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy [GC], § 143.

<sup>118</sup> ლეკიჩი სლოვენის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Lekić v. Slovenia [GC]), § 95.

<sup>119</sup> ბელანე ნაგი უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Bélané Nagy v. Hungary [GC]), § 113.

გაურკვევლობა - იქნება ეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ხასიათის თუ პრაქტიკიდან წარმოშობილი.“<sup>120</sup>

შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ეროვნული სასამართლოების მიერ სამართლიანი ბალანსის შეფასება ასევე შესაძლოა გახდეს სტრასბურგის სამართლოს მხრიდან დარღვევის დადგენის საფუძველი. მაგალითად, საქმეში,<sup>121</sup> რომელშიც ეროვნულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პირის მთელი ცხოვრების განმავლობაში სამსახურის ანაზღაურებიდან დაგროვილი თანხის კონფისკაციის შესახებ იმის გამო, რომ ის მოცემულ პოზიციაზე დაინიშნა ყალბი პასპორტის გამოყენებით, სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი ინტერესსა და პირის საკუთრებითი ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის არასათანადო შეფასებას და დადგინდა დარღვევა.

გამოყენებული ზომის პროპორციულობის კუთხით საინტერესოა ასევე ის შემთხვევები, როდესაც საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა გამოწვეული იყო სახელმწიფო ორგანოს შეცდომის გამოსწორების კონტექსტში(რომელიც სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით ემსახურება საჯარო ინტერესს). ამ შემთხვევებში, საყოველთაოდ აღიარებული, სათანადო მმართველობის პრინციპი სახელმწიფო ორგანოებს დააკისრებს არამართ იმ ვალდებულებას, რომ სწრაფად იმოქმედონ მათი შეცდომის გამოსასწორებლად (*მოსკალი ჰოლონეთის წინააღმდეგ*,<sup>122</sup> § 69; *პაპლაუსკიენე ლიუთუვის წინააღმდეგ*,<sup>123</sup> § 49) არამედ წარმოშობს იმ მოვალეობასაც, რომ ამგვარი შეცდომები არ იყოს გამოსწორებული დაზარალებული პირის ინტერესის ხარჯზე, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც მის საპირწონედ სხვა შეპირისპირებული კერძო ინტერესი არ იკვეთება.

[აღამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მხრიდან შეფასების კუთხით ასევე, რელევანტურ საკითხს წარმოადგენს, გონივრული თვალსაზრისით, შესაძლებელი იყო თუ არა მომჩივანს ცოდნოდა მის საკუთრებაზე განსახორციელებელი მუზღუდვების შესახებ ისეთ სიტუაციებში, როდესაც ის სახელისუფლებო ორგანოების მოქმედების შედეგად, მოკლებული იყო შესაძლებლობას, აეშენებინა კიდევ ერთი სახლი მის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე ან შეეცვალა მისი საკუთრების გამოყენების ბუნება. (*ალან ჯეიკობსონი შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>124</sup> §§ 60-61; „*Z.A.N.T.E. – Marathonisi A.E.*“ *საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>125</sup> § 53).

<sup>120</sup> Broniowski v. Poland [GC], § 151.

<sup>121</sup> პოლეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paulet v. the United Kingdom), §§ 68-69.

<sup>122</sup> Moskal v. Poland, § 69;

<sup>123</sup> Paplauskienė v. Lithuania, § 49

<sup>124</sup> Allan Jacobsson v. Sweden (no. 1), §§ 60-61.

<sup>125</sup> Z.A.N.T.E. – Marathonisi A.E. v. Greece, § 53.

## საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასების საკითხი

რაც შეეხება საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობის კონტროლს, საჭიროა, საჯარო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებს შორის დაცული იყო სამართლიანი ბალანსი.

აღნიშნული „სამართლიანი ბალანსის ტესტის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს კი წარმოადგენს ის გარემოება, საჯარო ინტერესის დაცვის კუთხით, არსებობდა თუ არა სხვა, უფრო ნაკლებად ჩამრევი ხასიათის ზომა, რომლისთვისაც სახელმწიფო ორგანოებს გონივრული თვალსაზრისით, შეეძლოთ, რომ მიემართათ. მიუხედავად ამისა, მათი პოტენციური არსებობა ავტომატურად არ ხდის გაუმართლებლად შესაბამისი ქვეყნის სადავო კანონმდებლობას. თუ კანონმდებელი რჩება შეფასების ფარგლების საზღვრებში, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ვერ შეაფასებს, წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი კანონმდებლობა მოცემულ პრობლემასთან გამკლავების საუკეთესო გზას ან სხვაგვარად ხომ არ უნდა განხორციელებულიყო კანონმდებლის დისკრეცია (კუფაკი და ადელი საბერძნეთის წინააღმდეგ (განჩინება)<sup>126</sup> - მიუღებლად<sup>127</sup> იქნა ცნობილი საჩივარი, რომელშიც მომჩივნები, პენსიისა და ხელფასის შემცირებას მათი საკუთრების უფლების დარღვევად მიიჩნევდნენ).

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ამ კუთხით „ასევე რელევანტურია ის ფაქტი, იქნებოდა თუ არა იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელი მომჩივნის უფლებების ნაკლებად ხელმყოფი ჩარევით და განიხილეს თუ არა სახელმწიფო ორგანოებმა ის შესაძლებლობა, რომ გამოყენებულიყო პრობლემის გადაჭრის ნაკლებად ინტრუზიული საშუალებები.“<sup>128</sup> ამგვარი განმარტება გააკეთა [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე - ვასკრსიჩი სლოვენის წინააღმდეგ, რომელშიც 124 ევროს ღირებულების, ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მომჩივნის სახლი მისი საბაზრო ღირებულების ნახევარ ფასადა გაასხვისა აუქციონზე, ისე, რომ ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საკითხი არც განუხილავს.

სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატამ მის საკმაოდ ცნობილ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში - ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ, განმარტების სახით მიუთითა, რომ

„მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შემოწმებისას, მხედველობაში მისაღებ ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოადგენს გაურკვეველი მდგომარეობა, რომელშიც შესაძლოა, მომჩივანს აღმოეჩინა საკუთარი თავი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოწვეული გაჭიანურებების გამო. აღნიშნული

<sup>126</sup> Koufaki and Adedy v. Greece (dec.), § 48.

<sup>127</sup> იგულისხმება - „დაუშვებლად“.

<sup>128</sup> Vaskrsić v. Slovenia, § 83.

გარემოება მნიშვნელოვანი ასპექტია მოპასუხე სახელმწიფოს ქმედების (როგორც მოქმედების, ასევე უმოქმედობის) შეფასების კუთხით, ეროვნულ დონეზე ამგვარ საკითხთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში.<sup>129</sup>

აღნიშნული განმარტება გვხვდება ასევე საქმეში - ზელენჩუკი და ციციურა უკრაინის წინააღმდეგ,<sup>130</sup> რომელშიც განუსაზღვრელი ვადით სასოფლო მიწის გასხვისების ბლანკეტური ხასიათის აკრძალვა [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევად მიიჩნია.

რაც შეეხება ბრონიოვსკის საქმეს, მასზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ დაადგინა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა.

დარღვევა გამომდინარეობდა განმცხადებლისთვის კომპენსაციის გადაუხდელობიდან იმ ქონებისთვის (რომელიც ამჟამად იყო ღვოვში, უკრაინაში) რომელიც მან და მისმა ოჯახმა დაკარგა მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი რეპატრიაცია მოხდა პოლონეთში. სასამართლომ განაცხადა, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილების მიგნებებიდან თავისთავად გამომდინარეობდა, რომ სასამართლოს მიერ პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული მომჩივნის უფლების დარღვევა გამოწვეული იყო პოლონეთის კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პრაქტიკის ხარვეზიანი ფუნქციონირების ზოგადი პრობლემით, რამაც გავლენა მოახდინა და სამომავლოდაც მოახდენდა გავლენას ადამიანების დიდ რაოდენობაზე“<sup>131</sup>. სასამართლო გააცნობიერა, რომ სისტემური პრობლემა ეხებოდა 80 000 ადამიანს და რომ მასთან დაკავშირებული 167 განაცხადი სასამართლო განხილვის მოლოდინში იმყოფებოდა: „ეს არა მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა არსებული ან ძველი მდგომარეობისთვის კონვენციის საფუძველზე, არამედ ის აგრეთვე საფრთხეს უქმნის კონვენციის მექანიზმის სამომავლო ეფექტიანობას“<sup>132</sup>. ამგვარად, სასამართლომ განაცხადა, რომ საჭირო იყო ეროვნულ დონეზე ზოგადი დონის ძიებების გატარება, რათა აღმოეფხვრათ სისტემური ხარვეზი და უზრუნველყოთ პრობლემის ინდივიდუალური მოგვარება.

### **მშენებლობის აკრძალვა, როგორც საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევის დონის ძიება**

საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების კონტექსტში განსაკუთრებით რელევანტურ საკითხს წარმოადგენს, როდესაც საქმე ეხება მშენებლობის უფლების განგრძობად შეზღუდვას. უშუალოდ მშენებლობის აკრძალვის თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არაერთ მნიშვნელოვან საქმეს მოიცავს, მათგან გამოსარჩევია სტრასბურგის სასამართლოს

<sup>129</sup> Broniowski v. Poland [GC], § 151.

<sup>130</sup> Zelenchuk and Tsytsyura v. Ukraine.

<sup>131</sup> ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 189.

<sup>132</sup> იქვე, § 193.



გადაწყვეტილება საქმეზე - *ჰიალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>133</sup> რომელიც ეხებოდა საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაზე განხორციელებულ შეზღუდვას. მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა მშენებლობის დროებით აკრძალვას ქალაქის შეცვლილი გეგმის საფუძვლით და ასევე, ექსპროპრიაციის ბრძანებას, რომელიც ზემდგომმა ორგანომ გაუქმებულად ცნო. მთლიანობაში ისეთ შემთხვევასთან გვექონდა საქმე, რომლის დროსაც მომჩივნისთვის მისი უფლებრივი მდგომარეობა გაურკვეველი იყო 13 წლის განმავლობაში.

შედეგად, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციური გაგებით ადგილი არ ჰქონია საკუთრების ჩამორთმევას ან სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კონტროლს, არამედ რეალურად, განსახილველ საკითხს პირის საკუთრებით სარგებლობის უფლებაში ჩარევა წარმოადგენდა. შედეგად, სასამართლომ მოცემული საჩივარი პირველი წესის მიხედვით - კერძოდ, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი წინადადების მნიშვნელობიდან გამომდინარე განიხილა.

სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია იმ გარემოებაში, რომ „სადავო ღონისძიებები ემსახურებოდა გარემოს დაცვასა და ქალაქის განვითარებას ისეთ ზონაში, რომელიც მშენებლობის მაღალი დონით იყო გადატვირთული.“<sup>134</sup>

თუმცა, მისი შეფასებით, „მომჩივნები სრულიად სამართლიანად დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეუფერხებლად ესარგებლათ მათი საკუთრებით 1987 წლიდან და ამის საპირწონედ, ვერანაირი ფინანსური კომპენსაცია ვერ მიიღეს.“<sup>135</sup>

შედეგად, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებს შორის და ამის საფუძველზე დარღვევა დაადგინა.

მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებით ძალიან საყურადღებო საქმეა ასევე „შპს ელია იტალიის წინააღმდეგ“,<sup>136</sup> რომელიც ეხებოდა მშენებლობის აკრძალვას ხანგრძლივი დროის მანძილზე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის საფუძველად მიიჩნია. მომჩივანს - იტალიურ კერძო კომპანიას, შპს ელიას, რომლის საკუთრებაშიც იყო პომეზიას მუნიციპალიტეტში დაახლოებით 65 000 კვადრატული მეტრის ფართობის მიწა პომეზიას რაიონული საბჭოს 1963 წლის გადაწყვეტილებით მიენიჭა აღნიშნულ მიწაზე სამშენებლო პროექტის განხორციელების ნებართვა. 1967 წელს პომეზიას რაიონულმა საბჭომ მიიღო ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც 1974 წელს დამტკიცდა ლაციოს რეგიონალური საბჭოს მიერ. მოცემული გეგმის საფუძველზე, მომჩივნის მიწა საზოგადოებრივი პარკის შექმნისთვის საჭირო სივრცედ იყო მოაზრებული და შედეგად, სამომავლო ექსპროპრიაციის ხედვით, მას მოცემულ მიწაზე

<sup>133</sup> Pialopoulos and Others v. Greece, # 37095/97, 15 თებერვალი 2001.

<sup>134</sup> ჰიალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, § 58.

<sup>135</sup> იქვე, § 59.

<sup>136</sup> Elia S.r.l. v. Italy, # 37710/97, 2 აგვისტო 2001.

მშენებლობაზე აბსოლუტური აკრძალვა დაუწესდა. მოცემული აკრძალვის ვადა ამოიწურა 1979 წელს. მას შემდეგ, მანამ, სანამ ჰომეზიას მუნიციპალური ორგანოები არ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას მისი სამომავლო გამოყენების შესახებ, მიწა ექვემდებარებოდა 1977 წლის N10 კანონის დანაწესებს და მათ მიხედვით გათვალისწინებულ შეზღუდვებს. 1995 წელს ჰომეზიას მუნიციპალურ ორგანოებმა გადაწყვიტეს მიეღოთ ქალაქის განვითარების დეტალური გეგმა, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა. შედეგად, სამომავლო ექსპროპრიაციის ხედვით, მომჩივანს მიწაზე მშენებლობაზე ისევ ახალი აბსოლუტური აკრძალვა დაუწესდა. მომჩივანი დავობდა, რომ მისი მიწის გამოყენებაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში კომპენსაციის გარეშე დაკისრებული შეზღუდვები არღვევდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ მის უფლებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, „მომჩივნის უფლებაში განსახილველი ჩარევა მიმდინარეობდა 26 წელზე მეტი დროის განმავლობაში, თუ ათვლის წერტილად განვითარების გენერალური გეგმის მიღებას მივიჩნევთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დროს ავითვლით მოცემული გეგმის დამტკიცების მომენტიდან, ჩარევა გრძელდებოდა 33 წლის მანძილზე.

მისი განმარტებით, „სასამართლო ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს, რომ ისეთ რთულ და კომპლექსურ სფეროში, როგორცაა სივრცითი განვითარება, ხელშემკვრელი სახელმწიფოები უნდა სარგებლობდნენ შეფასების ფართო ფარგლებით იმისათვის, რათა სათანადოდ მოახერხონ ქალაქების დაგეგმვის პოლიტიკის განხორციელება (იხ. *სპორონგი და ლორონთი შვედეთის წინააღმდეგ*, § 69). სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ჩარევა ემსახურებოდა საჯარო ინტერესს.“<sup>137</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გამოყენებულიყო პირველი წესი, კერძოდ, მისი შეფასებით, განსახილველი მდგომარეობა წარმოადგენდა საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევას და უნდა შემოწმებულიყო 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი წინადადების მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაბამისად, მას უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საჯარო ინტერესის მოთხოვნებსა და მომჩივნის მიერ საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას შორის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „განსახილველი, მთელი პერიოდის განმავლობაში, მომჩივანი კომპანია მისი საკუთრების მომავლის ცოდნის თვალსაზრისით, სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა.“<sup>138</sup> მან ასევე აღნიშნა, რომ „მომჩივნის განცხადებებმა რაიონულ საბჭოში და საჩივრებმა ადმინისტრაციულ სასამართლოებში ვერანაირი გავლენა ვერ იქონიეს მოცემულ გაურკვევლობაზე მისი აღმოფხვრის თვალსაზრისით.“<sup>139</sup>

<sup>137</sup> შპს ელია იტალიის წინააღმდეგ, § 77.

<sup>138</sup> იქვე, § 79.

<sup>139</sup> იქვე, § 80.

გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლომ მიიჩნია, რომ „განსახილველი, მთელი პერიოდის განმავლობაში მშენებლობაზე აკრძალვის არსებობამ ცალსახად შეაფერხა მომჩივნის მიერ მისი საკუთრებით სრული სარგებლობა და მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, მისი მიწის გაყიდვის შესაძლებლობების მნიშვნელოვნად შემცირებით, კიდევ უფრო საზიანო ზეგავლენა იქონია მის მდგომარეობაზე“.<sup>140</sup>

ბოლოს, სასამართლოს დაკვირვებით, „მოცემული შემთხვევის თვალსაზრისით ეროვნული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა კომპენსაციის შესაძლებლობას. საქმის ისეთმა გარემოებებმა, როგორებიც იყო ხანგრძლივი გაურკვევლობა, მომჩივნის საკუთრებით სრულ სარგებლობაში ჩარევა, ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებისა და კომპენსაციის არარსებობა, [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს უბიძგა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ მომჩივანი კომპანია იძულებული იყო, ეტარებინა ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი, რამაც დააზიანა სამართლიანი ბალანსი, რომელიც საჭიროა, დაცული იყოს **საზოგადოების საჯარო ინტერესის მოთხოვნებსა და მომჩივნის მიერ საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას შორის** (იხ. *Sporrong and Lönnroth*, , p. 28, §§ 73-74).“<sup>141</sup>

შედეგად, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დაადგინა.

## გადაწყვეტილების გადასინჯვა სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი:

სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას .... ყველას აქვს სამართლიანი ... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ.
---

კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში სიტყვები „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას“ მოიცავს აგრეთვე დავას კერძო პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. აღნიშნული დავა ძირითადად ეხება საკუთრების უფლებას, ეკონომიკურ უფლებებსა და მატერიალურ მოთხოვნებს. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ზემოხსენებულ „სამოქალაქო უფლებებს“ (როგორც წესი) არ წარმოადგენს „სასამართლოს“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით. როდესაც დავის განმხილველი ორგანოები განსაზღვრავენ

<sup>140</sup> იქვე, § 81.

<sup>141</sup> შპს ელია იტალიის წინააღმდეგ, §§ 82-83.

„სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, მათ წინაშე საქმის წარმოება უნდა დაექვემდებაროს შემდგომ სასამართლო კონტროლს, რომელსაც აქვს „სრული“ იურისდიქცია როგორც ფაქტობრივ, აგრეთვე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოითხოვს, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს ჰქონდეს იურისდიქცია, რათა შეისწავლოს ყველა სადავო ფაქტი და კანონი, რომელიც არსებულ დავასთან დაკავშირებით რელევანტურია (ტერა ვონინგენი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ,<sup>142</sup>; შს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ<sup>143</sup>, §§151-57). კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება დეტალურად განიხილოს საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებული მომჩივნის თითოეული არგუმენტი, რომელიმე მათგანის შესწავლაზე უარის თქმის გარეშე და გარკვევით უნდა მიუთითოს მათი უარყოფის მიზეზი. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა შეეძლოს მომჩივნის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების ხელახლა შესწავლა (ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,<sup>144</sup> §§44-45).

სრული იურისდიქციის პრინციპი სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში რამდენიმე საქმეში იქნა შეფასებული; აღნიშნული პრინციპი ხშირად მოქნილად განიმარტება, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საქმეებში, სადაც სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდულია დავის საგნის ტექნიკური ბუნებით (ალ-დულიმი და მონტანა მენჯემენტის კორპორაცია შვეიცარიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]<sup>145</sup>, §130).

მართლაც, სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში არსებობს კანონის რამდენიმე სპეციალიზირებული სფერო (მაგალითად, ქალაქისა და ქვეყნის დაგეგმარების), სადაც ფაქტებთან მიმართებით სასამართლოებს შეზღუდული იურისდიქცია აქვთ, მაგრამ მათ შეუძლიათ გააუქმონ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილება, თუ ის დაფუძნებულია ფაქტებიდან გამომდინარე დასკვნაზე, რომელიც დამახინჯებული ან ირაციონალურია. კონვენციის მე-6 მუხლი არ ითხოვს იურისდიქციის ისეთ დონეზე ხელმისაწვდომობას, რომლის ფარგლებში სასამართლოს შეეძლება ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის შეცვლა.

პრეცედენტული სამართლით დადგინდა გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ფასდება, განიხილა თუ არა საქმე „სრული იურისდიქციის მქონე“ ორგანომ,

<sup>142</sup> Terra Woningen B.V. v. the Netherlands, N 20641/92, 17 დეკემბერი 1996, § 52, გადაწყვეტილება და განჩინებათა ანგარიშები 1996-VI.

<sup>143</sup> Sigma Radio Television Ltd v. Cyprus, N 32181/04 და 35122/05, § 151-57, 21 ივლისი 2011

<sup>144</sup> Bryan v. the United Kingdom, N [19178/91](#), 22 ნოემბერი 1995, § 44-45, Series A N 335-A.

<sup>145</sup> Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [დიდი პალატა], N 5809/08, § 130, ECHR 2016.

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე (*შპს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ*, §§151-57). ამდენად, იმის დასადგენად სასამართლო ორგანომ უზრუნველყო თუ არა საქმის განხილვა, შემდეგი სამი კრიტერიუმი უნდა იყოს გათვალისწინებული:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების დავის საგანი:
  - ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ეხება ფაქტებთან დაკავშირებულ მარტივ საკითხს, სასამართლომ უფრო საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საქმე, ვიდრე მაშინ როცა ის ეხება სპეციალიზებულ სფეროს, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ ტექნიკურ ცოდნას;
  - ევროპაში არსებული სისტემები, როგორც წესი, ზღუდავენ სასამართლოების უფლებამოსილებას განიხილონ ფაქტობრივი საკითხები, თუმცა არ კრძალავენ მათ მიერ გადაწყვეტილების შეცვლას სხვადასხვა საფუძველზე. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეს საკითხი არ განიხილულა.
- მეთოდი, რომლითაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება: რომელი პროცედურული გარანტიები იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე?
  - თუ მომჩივანი წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს სარგებლობდა საპროცესო გარანტიებით, რომლებიც აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის ბევრ მოთხოვნას, ამან შეიძლება გაამართლოს მომდევნო სასამართლო კონტროლის მსუბუქი ფორმა (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§46-47)
- დავის შინაარსი, მათ შორის, საჩივრის სასურველი და რეალური საფუძვლები (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §45):
  - გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მომჩივნის არგუმენტები საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, რომელიმე მათგანის განხილვაზე უარის თქმის გარეშე და მოცემული უნდა იყოს აღნიშნული არგუმენტების უარყოფის მკაფიო მიზეზები. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, ხელახლა შეისწავლოს ის ფაქტები, რომლებიც მთავარია მომჩივნის საქმეში. აქედან გამომდინარე, თუ მომჩივანი საკუთარ პოზიციას წარადგენს მხოლოდ პროცედურულ ასპექტთან დაკავშირებით, მას არ შეუძლია შემდგომში გააკრიტიკოს სასამართლო, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელმა არ გადაწყვიტა საქმე ფაქტებზე დაყრდნობით (პოტოცკა და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ, §57<sup>146</sup>).

მაგალითად, სასამართლოს უარმა გადაწყვეტილება მიიღოს ფაქტებთან დაკავშირებულ იმ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც გადამწყვეტია დავის მოსაგვარებლად, შეიძლება გამოიწვიოს 6.1 მუხლის დარღვევა (*ტურა ვონინგენი ბ.ვ.*

<sup>146</sup> Potocka and Others v. Poland, N 33776/96, § 57, ECHR 2001-X.

ნიდერლანდების წინააღმდეგ, §§53-55)<sup>147</sup> იგივე წესი მოქმედებს, თუ სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია, განსაზღვროს დავის არსებითი საკითხი (თსფაიო გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §48)<sup>148</sup>. ზოგიერთ საქმეში, სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად არ აქვს სრული იურისდიქცია, თუმცა ის დეტალურად განიხილავს მომჩივანთა არგუმენტებს ან საჩივრის საფუძვლებს, მათზე პასუხის გაცემისა და სხვადასხვა ფაქტების შეფასების დროს იურისდიქციაზე უარის თქმის გარეშე. მსგავს საქმეებში, ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული დისკრეციის სასამართლო განხილვის ინტენსივობას (რამოს ნუნეს დე კარვალის პორტუგალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]<sup>149</sup> § 183).

თუ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება, განმხილველ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თავად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეს საქმე იმავე ან სხვა ორგანოს (ქინგსლი გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§ 32 და 34)<sup>150</sup>.

### **შპს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ (Sigma Radio Television LTD. v. Cyprus - საჩივარი N32181/04 და 35122/05, 2011 წლის 21 ივლისი**

**ფაქტები:** წინამდებარე საქმეში მომჩივანი იყო შპს „სიგმა რადიო ტელევიზია“. აღნიშნული კომპანია რეგისტრირებულია კვიპროსში და მართავს ტელევიზიას „სიგმა ტვ“ და რადიო სადგურს „რადიო პროტო“. საქმე ეხება კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს (CRTA) მიერ გამოტანილ 28 სხვადასხვა გადაწყვეტილებას მომჩივანი კომპანიის წინააღმდეგ, რადიო და სატელევიზიო პროგრამების კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, გადაწყვეტილებები ეხებოდა რეკლამის შესახებ კანონის ან/და რეგულაციების დარღვევას და მომდევნო დარღვევებს რადიოსა და ტელევიზიაში საგანგებო განცხადებების გაკეთების დროს; ძალადობის სცენების შემცველი ფილმების, სერიებისა და ტრეილერების ეთერში გაშვებას, რომელთა ჩვენებაც ბავშვებისთვის დაუშვებელი იყო; და ერთ შემთხვევაში, რასისტული და დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებების გაკეთებას გასართობ გადაცემაში. მომჩივანი კომპანია ასევე დავობდა, რომ სახელმწიფო ტელევიზია „CyBC“-სგან (კვიპროსის სამაუწყებლო კორპორაცია) განსხვავებით, რომელსაც არ დაეკისრა ჯარიმის გადახდა, იგი განსხვავებულ მოპყრობას დაექვემდებარა.

მომჩივანი კომპანია ეყრდნობა კონვენციის 6§1 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლს და ამტკიცებს, რომ კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს წინაშე საქმის

<sup>147</sup> Terra Woningen B.V. v. the Netherlands, 17 დეკემბერი 1996, §§53-55, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-VI.

<sup>148</sup> Tsfayo v. the United Kingdom, N 60860/00, § 48, 14 ნოემბერი 2006.

<sup>149</sup> Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal [GC], N55391/13, 57728/13 და 74041/13, 6 ნოემბერი 2018 წელი.

<sup>150</sup> Kingsley v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35605/97, §§ 32 და 34, ECHR 2002-IV.

წარმოება არ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლით მოთხოვნილ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს და აღნიშნული ხარვეზი არ გამოასწორა ეროვნულმა სასამართლოებმა, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ „სრული იურისდიქცია“, რათა განეხილათ მისი მოთხოვნები. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე ვერ უზრუნველყვეს მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები.

#### სასამართლოს შეფასება

151. სტრასბურგის სასამართლომ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ დავის განმხილველი ორგანო (მათ შორის ადმინისტრაციული ორგანო, როგორც წინამდებარე საქმეშია), რომელიც წყვეტს დავებს „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ შესახებ, გარკვეული კუთხით არ ექცევა კონვენციის 6§1 მუხლის ფარგლებში, კონვენციის აღნიშნული დებულების დარღვევა არ დადგინდება, თუ ამ ორგანოში მიმდინარე სამართალწარმოება „ექვემდებარება კონტროლს სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს „სრული“ იურისდიქცია და უზრუნველყოფს 6§1 მუხლით გარანტირებულ უფლებათა დაცვას (იხ. Albert and Le Compte, § 29)“.

152. როგორც კომისიამ, ასევე სასამართლომ პრეცედენტული სამართლით აღიარეს, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ეროვნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს „სრული იურისდიქცია“, დაკმაყოფილდება იმ შემთხვევებში თუ სასამართლო ორგანო ახორციელებდა „შესაბამის იურისდიქციას“ ან უზრუნველყოფდა „შესაბამის განხილვას“, მის წინაშე არსებული სამართალწარმოების დროს (იხ. Zumtobel v. Austria, 21 სექტემბერი 1993, §§ 31-32, Series A no. 268-A; Bryan, §§ 43-47; Müller and others v. Austria (განჩინება), no. 26507/95, 23 ნოემბერი 1999; and Crompton v. the United Kingdom, no. 42509/05, §§ 71 and 79, 27 ოქტომბერი 2009).

153. ამ მიდგომის შემოღებისას, კონვენციის ორგანოებმა გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით ხშირია საჩივრები, რომ საქმის ფაქტებთან მიმართებით სასამართლო განხილვის ფარგლები შეზღუდულია და საქმის ხელახლა განხილვის ბუნებას წარმოადგენს ის, რომ განმხილველი ორგანო განიხილავს არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ წინა სამართალწარმოებას. **შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-6 მუხლის როლს არ წარმოადგენს უზრუნველყოს იმ დონის იურისდიქციის ხელმისაწვდომობა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ადმინისტრაციულ ორგანოთა მოსაზრებები.** ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ „მიზანშეწონილობის“ საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირად ეხება სამართლის სპეციალიზებულ სფეროებს, პატივი უნდა სცენ (მაგ. პროექტირება – Zumtobel, §§ 31 და 32, და Bryan, § 47; გარემოს დაცვა – Alatulkkila and Others v. Finland, no. 33538/96, § 52, 28 ივლისი 2005; აზარტული თამაშების რეგულაცია – Kingsley v. the United Kingdom [დიდი პალატა], no. 35605/97, § 32, ECHR 2002-IV).

154. მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი სასამართლო განხილვის შესაბამისობის განხილვისას, სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიიღო სასამართლო ორგანოს უფლებამოსილება (იხ. Gradinger, § 44, and Bryan, §§ 44-45; Potocka and Others v. Poland, no. 33776/96, § 55, ECHR 2001-X; and Kingsley, § 32) და ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა (ა) **გასაჩივრებელი გადაწყვეტილების დავის საგანი**, კერძოდ, ეხებოდა თუ არა ის სპეციალიზებულ საკითხს, რომელიც საჭიროებდა პროფესიულ ცოდნას ან გამოცდილებას და შეეხებოდა თუ არა ადმინისტრაციული დისკრეციის გამოყენებას და, თუ კი, რა მოცულობით; (ბ) **გადაწყვეტილების მიღების მეთოდები**, კერძოდ, საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე არსებული სამართალწარმოებისას ხელმისაწვდომი პროცედურული გარანტიები; და (გ) **დავის შინაარსი**, მათ შორის საჩივრის საფუძვლები (იხ. Bryan, §§ 44, 45 და 47, და Crompton §§ 71-73 და 77);

155. ჩატარდა თუ არა განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამოკიდებულია **საქმეში არსებულ გარემოებებზე**: სტრასბურგის სასამართლო შემოიფარგლავს თავს მის წინაშე წარდგენილი საკითხის განხილვით და იმის განსაზღვრით, იყო თუ არა განხილვის ფარგლები ადეკვატური.

156. სტრასბურგის სასამართლომ რიგ საქმეებში, სადაც სადავო სასამართლოს არ გააჩნდა სრული იურისდიქცია საკითხის შესასწავლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც განიხილა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს გადაწყვეტილებასთან, დაადგინა, რომ სასამართლო განხილვა იყო შესაბამისი და სამართალწარმოება შეესაბამებოდა კონვენციის 6§1 მუხლს. აღნიშნულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, როდესაც სასამართლომ დეტალურად განიხილა მომჩივანთა არგუმენტები ან საჩივრის საფუძვლები, მათზე პასუხის გაცემისა და სხვადასხვა ფაქტების შეფასების დროს იურისდიქციაზე უარის თქმის გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას, ვინაიდან ზემდგომმა სასამართლომ განიხილა მის წინაშე წარდგენილი საქმის ცენტრალური საკითხები.

157. თუმცა, როდესაც განმხილველ სასამართლოს არ შეუძლია დავაში არსებული მთავარი საკითხის გადაწყვეტა, ვერ იქნება მიჩნეული რომ განხილვის ფარგლები ექცევა კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებში (იხ. Tsfayo, § 48). **შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა იმ საქმეებზე, სადაც ეროვნული სასამართლოები თვლიდნენ, რომ ისინი შებოჭილნი იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოტანილი წინა დასკვნებით, რომლებიც გადამწყვეტი იყო მათ წინაშე არსებულ საქმეთა გადასაწყვეტად, საკითხების დამოუკიდებლად განიხილვის გარეშე** (იხ. Obermeier v. Austria, 28 ივნისი 1990, §§ 69-70, Series A no. 179; Terra Woningen B.V. v. the Netherlands, 17 დეკემბერი 1996, § 46 და §§ 50-55, ანგარიშები 1996-VI; I.D. v. Bulgaria, no. 43578/98, §§ 50-55, 28 აპრილი 2005; Capital Bank AD v. Bulgaria, no. 49429/99, §§ 99-108 ECHR 2005-XII (ამონარიდები); Tsfayo; და Družstevní záložna Pria and Others v. the Czech Republic,



no. 72034/01, § 112-115, 31 ივლისი 2008). ამასთან ერთად, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა ისეთ საქმეებზე, როდესაც საქმის განმხილველმა სასამართლომ მხარის მოთხოვნა მართებულად მიიჩნია, თუმცა შეუძლებელი იყო საქმის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, იმავე ან სხვა ორგანოს მიერ (იხ. Kingsley, § 32).

158. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ, პირველ რიგში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმის განხილვის ფარგლების შესაბამისობა მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, აგრეთვე უზრუნველყო თუ არა მან აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული გარანტიები.

159. უზენაეს სასამართლოს არ ჰქონდა კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს გადაწყვეტილების ყველა ასპექტის განხილვის უფლებამოსილება, კონსტიტუციის 146-ე მუხლის მიხედვით. კერძოდ, როგორც ეს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით ძირითადად ხდება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, **უზენაესი სასამართლო ვერ შეცვლიდა კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს გადაწყვეტილებას საკუთარი გადაწყვეტილებით და მისი იურისდიქცია ფაქტებთან მიმართებით შეზღუდული იყო.** მიუხედავად ამისა, მას შეეძლო გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობა სხვადასხვა საფუძველზე დაყრდნობით, მათ შორის თუ გადაწყვეტილება მიღებული იყო ფაქტობრივი გარემოების ან კანონის არასწორად განმარტების საფუძველზე ან არ ჩატარებულა შესაბამისი მოკვლევა, აგრეთვე თუ გადაწყვეტილებას აკლდა სათანადო დასაბუთება ან სხვა პროცედურული საფუძვლების გამო.

161. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დავის საგანს, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს წინაშე არსებული გადაწყვეტილებები მიღებული იყო კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს მიერ, რომელიც შეიქმნა მაუწყებლობის განხორციელებისა და მისი რელევანტურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობის მიზნით. საკუთარ გადაწყვეტილებებში კვიპროსის სამაუწყებლო ორგანომ დაადგინა, რომ მომჩივანმა სხვადასხვა გადაცემაში დაარღვია შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების დებულებები. შესაბამისად, განსახილველ საგანს წარმოადგენდა **ადმინისტრაციული დისკრეციის კლასიკური** განხორციელება სამართლის სპეციალიზებულ სფეროში, რომელიც ეხებოდა მაუწყებლობას, საჯარო ინტერესის მიზნებისთვის სტანდარტების დადგენისა და კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კონტექსტში (შედარებისთვის იხ. Tsfayo and Crompton).

162. რაც შეეხება გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდებს, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს წინაშე საქმის წარმოებისას რიგი პროცედურული გარანტიები ხელმისაწვდომი იყო მომჩივნისთვის, კერძოდ, მომჩივანს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დარღვევის შესახებ; ასევე გადაწყვეტილებები გამოტანილი იქნა მას შემდეგ, რაც საქმეზე ჩატარდა ზეპირი მოსმენა. მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა საქმეთა განხილვის დროს

გაეკეთებინა წერილობითი ან/და ზეპირი განცხადებები, მიუხედავად ამისა მან ეს შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში არ გამოიყენა. გარდა ამისა, მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს მიერ ჩატარებული საქმის წარმოება. რაც შეეხება მომჩივნის საჩივრებს -კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს წინაშე საქმის წარმოების ხარვეზებთან დაკავშირებით, რაც მოიცავდა ობიექტურ მიკერძოებასა და ბუნებითი სამართლის პრინციპების დარღვევას, ის ექვემდებარებოდა განხილვას უზენაესი სასამართლოს მიერ.

163. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს წინაშე მომჩივანმა დააყენა სხვადასხვა საკითხი კვიპროსის სამაუწყებლო ორგანოს გადაწყვეტილებათა კანონიერებასთან დაკავშირებით. კერძოდ,

ა) გამოყენებული კანონები და რეგულაციები არაკონსტიტუციური იყო;

ბ) CyBC-სთან მიმართებით ის დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას კონსტიტუციური უფლების განხორციელების დროს.

164. მომჩივანმა აგრეთვე წამოჭრა სხვადასხვა საკითხი, რაც დაკავშირებული იყო იმ კანონმდებლობის განმარტებასთან, რომელიც სანქციებს აწესებდა რეგულაციების დარღვევის გამო; აგრეთვე მომჩივანი აცხადებდა რომ საქმის წარმოება ხარვეზიანი იყო, რადგაც საქმეზე არ ჩატარდა სათანადო მოკვლევა და არ იყო წარმოდგენილი ჯეროვანი დასაბუთება.

165. უზენაესმა სასამართლომ განიხილა ყველა ზემოხსენებული საკითხი, სათითაოდ. აღნიშნულმა სასამართლომ წარმოადგინა მომჩივნის გარკვეულ პრეტენზიებზე უარის თქმის საფუძვლები. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არ დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აკლდა დასაბუთება.

166. ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მომჩივნის საქმე კონცენტრირებას არ აკეთებს მთავარ სავადო ფაქტზე, ჰქონდა თუ არა უზენაეს სასამართლოს ამ გადაწყვეტილებათა გადახედვის იურისდიქცია.

167. რაც შეეხება გამოყენებული სანქციის საჭიროებასა და პროპორციულობას, რაზეც არ უმსჯელია უზენაეს სასამართლოს, სტრასბურგის სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანმა თავის საჩივარში აღნიშნული საკითხები არ წამოჭრა უზენაესი სასამართლოს წინაშე. დამატებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის წერილებიდან და მათი პასუხებიდან ირკვევა, რომ მომჩივნის ყველა მიმართვა უკავშირდებოდა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებისა და სანქციის დამკისრებული სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაციას. აღნიშნული საკითხები კი უზენაესმა სასამართლომ განიხილა.

168. რაც შეეხება იმ საკითხს რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანს შეუძლია იდავოს, რომ უზენაეს სასამართლოს არ ჰქონდა შესაბამისი იურისდიქცია დაკისრებული ჯარიმების საჭიროებისა და პროპორციულობის გამოკვლევისთვის, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა არ არის in abstracto გადაწყვიტოს, რომ უზენაესი სასამართლო აღნიშნული საკითხების დასმის შემთხვევაშიც კი არ განიხილავდა მათ ან უარს იტყოდა მათ განხილვაზე იურისდიქციის საფუძვლებით. მომჩივანს საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად არ წარმოუდგენია პრეცედენტული სამართალი. თუმცა, მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოს გადასცა უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული დისკრეციის სასამართლო კონტროლთან დაკავშირებით, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ უზენაეს სასამართლოს სასამართლო კონტროლის განხორციელებისას ჰქონდა კომპეტენცია, განეხილა მსგავსი საკითხები.

169. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში, უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები შესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს.

დასკვნა: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ დარღვეულა.

### **ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - (Fazia Ali v. The United Kingdom) - [40378/10](#), 20 ოქტომბერი 2015**

76. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ისევე [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში აღიარებულად ცნეს, რომ ის მოთხოვნა, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს „სრული იურისდიქცია“ დაკმაყოფილებული იქნება, თუ დადგინდება, რომ შესაბამისმა სასამართლო ორგანომ მის წინაშე არსებულ სამართალწარმოებაში გამოიყენა „საკმარისი იურისდიქცია“ ან უზრუნველყო „სათანადო/საკმარისი კონტროლი“ (იხილეთ: *კომპტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, no. [42509/05](#), §§ 71 და 79, 27 ოქტომბერი 2009<sup>151</sup>).

77. აღნიშნული მიდგომის ჩამოყალიბებით, [ადამიანის უფლებათა ევროპული] კონვენციის ორგანობმა (იგულისხმება კომისია და სასამართლო) მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სარჩელებთან მიმართებით, ხშირად გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საქმის ფაქტებზე სასამართლო კონტროლის ფარგლები შეზღუდულია და რეალურად, შემოწმების პროცედურის ბუნება იმაში გამოიხატება, რომ შემოწმებაზე უფლებამოსილი ორგანო ფაქტობრივ გადაწყვეტილებებს კი არ იღებს, არამედ ამოწმებს წინარე

---

<sup>151</sup> კომპტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Crompton v. the United Kingdom*), no. [42509/05](#), §§ 71 და 79, 27 ოქტომბერი 2009

პროცედურების კანონშესაბამისობას. რელევანტური პრეცედენტული სამართლიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მე-6 მუხლის როლს არ წარმოადგენს, რომ სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი გახადოს ისეთი დონის იურისდიქცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას, ადმინისტრაციულ ორგანოთა მოსაზრება საკუთარით ჩაანაცვლოს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთი ტიპის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულია „მიხედულების“ საფუძველზე და ხშირად ეხება სამართლის სპეციალიზებულ სფეროს (მაგალითად, *Bryan v. The United Kingdom*, no. 19178/91 § 47, 22 ოქტომბერი 1995<sup>152</sup>).

„47. ...[ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან „მაღალი ინსტანციის სასამართლო“ ვერ ჩაანაცვლებდა ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტებს საკუთარით, ამდენად, მას ჰქონდა უფლებამოსილება, დარწმუნებულიყო, რომ ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტები და მათგან გამომდინარე დასკვნები არ იყო უსაფუძვლო ან ირაციონალური.

ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე ამგვარი მიდგომა იმ სასამართლოების მხრიდან, რომელთა წინაშეც გასაჩივრებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, სავსებით მიზანშეწონილი და მოსალოდნელია სამართლის ისეთ სპეციალიზებულ სფეროებში, როგორც მოცემულ საქმეში გვაქვს სახეზე, კერძოდ როდესაც ფაქტები უკვე დადგენილია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი გარანტიებით გამყარებული კვაზი-სამართლებრივი პროცედურის ფარგლებში. ეს ასევე ხშირად გვხვდება ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მასშტაბით, რომელთა საკანონმდებლო სისტემები ხასიათდებიან ადმინისტრაციული ორგანოს მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლის მექანიზმით.“

---

<sup>152</sup>ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bryan v. The United Kingdom*), no. 19178/91 § 47, 22 ოქტომბერი 1995

## ეროვნული სასამართლოების ვალდებულება დაასაბუთონ მათი უარი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით

საქმეზე დაბი იტალიის წინააღმდეგ<sup>153</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლომ სათანადოდ არ დაასაბუთა უარი, წინასწარი შეკითხვით მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (CJEU).

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, აპლიკანტი ტუნისელი იყო (შემდეგ მან მიიღო იტალიის მოქალაქეობა). იგი ლეგალურად მუშაობდა იტალიაში და იხდიდა სოციალური უზრუნველყოფის გადასახადს. მომჩივანმა განაცხადა წარადგინა საოჯახო დახმარების მიღების შესახებ, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან იგი არ იყო იტალიის მოქალაქე. აპლიკანტმა გაასაჩივრა აღნიშნული უარი, დაეყრდნო რა ევროკავშირსა და ტუნისის შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც იტალიის მიერ იყო რატიფიცირებული. სააპელაციო სასამართლოში, მომჩივანი ითხოვდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, იძლეოდა თუ არა ხელშეკრულების 65-ე მუხლი ტუნისელი მუშაკისთვის, რომელიც კანონიერად იმყოფებოდა იტალიის ტერიტორიაზე, საოჯახო დახმარების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 65-ე მუხლი არ ვრცელდებოდა საოჯახო დახმარებაზე და მხოლოდ იტალიისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლოთ ასეთი შეღავათების მოთხოვნა. აპლიკანტმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, კვლავ მოითხოვდა რა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარ გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების განმარტებისთვის. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 65-ე მუხლი არ ფარავდა ისეთი ხასიათის სოციალური დახმარების შეღავათებს, როგორცაა მომჩივნის მიერ მოთხოვნილი საოჯახო დახმარების მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, ტუნისელ მოქალაქეებს არ ჰქონდათ აღნიშნული უფლებამოსილება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა აპლიკანტის მოთხოვნას წინასწარი გადაწყვეტილების თაობაზე. ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში მითითება არ ყოფილა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტულ სამართალზე. სტრასბურგის სასამართლომ გაიმეორა ამ სფეროში დადგენილი მიდგომის პრინციპები, რომლის მიხედვით, ეროვნულმა სასამართლოებმა ევროკავშირის სასამართლოს კითხვით უნდა მიმართონ, თუ ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების

<sup>153</sup> Dhahi v. Italy, N17120/09, 8 აპრილი, 2014.

წინააღმდეგ არ არსებობს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები; ასევე, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, განმარტონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (CJEU) წინასწარი კითხვით მიმართვაზე უარის თქმის მიზეზები.

2020 წლის 13 თებერვალს, გადაწყვეტილებაში საქმეზე *სანოფი პასტერი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>154</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი საქმიანობის განმავლობაში მეოთხედ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ ეროვნულ დონეზე უმაღლესმა სასამართლომ სათანადო მიზეზები არ წარმოადგინა, თუ რატომ არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, წინასწარი კითხვებით ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე. 2014 და 2015 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა დარღვევა იმავე მიზეზით იტალიის საკასაციო სასამართლოს მხრიდან საქმეებში *დაბი*<sup>155</sup> და *შიპანი*<sup>156</sup>.

*სანოფი პასტერი*-ს საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოებული ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შედეგად პირს განუვითარდა სხვადასხვა დაავადება, მათ შორის სკლეროზი. ამ პირმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. საფრანგეთის ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა კომპანია *სანოფი პასტერს* პასუხისმგებლობა დააკისრეს. ამ უკანასკნელმა მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა, რომ სასამართლოს წინასწარი კითხვებით მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის, კერძოდ წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივასთან (85/374/EEC) დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი განესაზღვრა, რომ ზიანის დამტკიცებისა და მიზეზობრივი შედეგის დადასტურების ვალდებულება დაზარალებულს ეკისრებოდა. საკასაციო სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ ის უარს აცხადებდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და განაცხადა, რომ არ არსებობდა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის კითხვით მიმართვის საჭიროება.

ეს გადაწყვეტილება შეესაბამება იმ საქმეთა წყებას, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა მკაცრი ტესტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *ულენს დე შუთენის*<sup>157</sup> გადაწყვეტილების შემდეგ, რომელსაც ის ასევე ეყრდნობოდა ამ საქმეში, დადგინდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი უმაღლეს ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილებები, რომლითაც უარს აცხადებენ, ევროკავშირის

<sup>154</sup> SANOFI PASTEUR v. FRANCE, N25137/16, 13 თებერვალი, 2020.

<sup>155</sup> Dhabhi v. Italy, N17120/09, 8 აპრილი, 2014.

<sup>156</sup> Schipani et autres v. Italy, N38369/09, 21 ივლისი, 2015.

<sup>157</sup> ULLENS DE SCHOOTEN AND REZABEK v. BELGIUM, 63989/07 და 38353/07, 20 სექტემბერი, 2011.

ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 267-ე მუხლის შესაბამისად, ევროკავშირის სასამართლოსთვის წინასწარი კითხვით მიმართვაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ მოიცავს უფლებას საქმის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე (*იხილეთ სანოვი პასტერის საქმის 69-ე პარაგრაფი*). თუმცა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 267-ე მუხლი ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს დასვან საკითხი ევროკავშირის სამართლის კანონიერების ან განმარტების შესახებ, როდესაც „ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება“.

მაშინაც კი, თუ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება, რიგ შემთხვევაში ეროვნულ სასამართლოებს შეიძლება არ მოეთხოვოთ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საკითხის გადაცემა. ცნობილ საქმეში - *CILFIT* - მართლმსაჯულების სასამართლომ ჩამოაყალიბა სამი გამონაკლისი უმაღლესი სასამართლოებისათვის, რა შემთხვევაშიც მათ შეუძლიათ არ მიმართონ წინასწარი კითხვებით ევროკავშირის სასამართლოს. ეს სამი გამონაკლისია:

- პირველი, როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხი „არარელევანტურია, ესე იგი, ამ კითხვაზე პასუხი, როგორც არ უნდა იყოს იგი, ვერ მოახდენს გავლენას საქმის საბოლოო შედეგზე“.
- მეორე, როდესაც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს „წინა საქმეებში უკვე განხილული აქვს აღნიშნული სამართლებრივი საკითხი, მიუხედავად იმისა თუ საქმეები არ არის მკაცრად იდენტური“. მეორე გამონაკლისი ცნობილია *acte éclairée* დოქტრინის სახელით და გულისხმობს იმას, რომ სასამართლოები არ სვამენ სამართლის საკითხებს, ვინაიდან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინა გადაწყვეტილებები ნათელყოფს მათ პასუხებს.
- და მესამე, როდესაც „ევროკავშირის სამართლის სწორი განმარტება იმდენად აშკარაა, რომ არ ტოვებს რაიმე საფუძვლიან ეჭვს.“ *მესამე გამონაკლისი ცნობილია acte clair სახელით და ის ქმნის რისკს იმისა, რომ ეროვნული სასამართლოები, განზრახ ან უნებლიედ, არასწორად განმარტავენ ევროკავშირის კანონმდებლობას. ამდენად, მართლმსაჯულების სასამართლო ეროვნულ სასამართლოებს აფრთხილებს არ ჩათვალონ, რომ სწორი განმარტება ძალიან ნათელია:*

„იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომ განმარტება აშკარაა, ეროვნული სასამართლო უნდა დარწმუნდეს რომ ეს საკითხი ცალსახად ნათელია როგორც სხვა წევრი ქვეყნების

სასამართლოებისთვის, ასევე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის. მხოლოდ ამ პირობის დაკმაყოფილების შემდეგ შეუძლია ეროვნულ სასამართლოს თავი შეიკავოს ევროკავშირის სასამართლოსთვის კითხვით მიმართვისგან”.<sup>158</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეებმა აუცილებლად უნდა მიუთითონ, თუ რომელ Cilfit-გამონაკლისთან აქვთ საქმე (პარაგრაფი 68). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წინა საქმეებზე გამოიყენა თვითნებობის კრიტერიუმი და დაადგინა, რომ ევროკავშირის სასამართლოსთვის მიმართვაზე უარმა შესაძლოა დაარღვიოს სამართალწარმოების სამართლიანობა, თუკი ის აღმოჩნდება თვითნებური. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს არასოდეს დაუდგენია, რომ სასამართლოების უარი თვითნებური იყო.

დაბის საქმეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ დასაბუთება არ იყო საკმარისი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ „სადავო გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არ არის ნათელი, გადასაცემი კითხვები მიჩნეულ იქნა არარელევანტურად თუ ეს საკითხი უკვე განმარტებული იყო მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ან აშკარა იყო თუ როგორ განიმარტებოდა ევროკავშირის კანონმდებლობა”. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს დასაბუთება არ შეიცავდა მითითებას ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს რომელიმე გადაწყვეტილებაზე.”

შიპანის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია მხოლოდ ის გარემოება, რომ იტალიის იმავე საკასაციო სასამართლომ განიხილა ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკა და შესაბამისად აჩვენა, რომ საკითხის განმარტება აშკარად ნათელი იყო (act éclair). ვინაიდან, მოცემულ საქმეში სასამართლომ ეს საკითხი კარგად არ დაასაბუთა და აგრეთვე არ ახსენა მომჩივანთა მოთხოვნა ევროკავშირის სასამართლოსთვის წინასწარი კითხვით მიმართვის თაობაზე.

სანოფი ჰასტერის საქმეშიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ანალოგიურად და პირდაპირ განაცხადა, რომ: არსებობდა ძალიან ნათელი მოთხოვნა ევროკავშირის სასამართლოსთვის კითხვით მიმართვის თაობაზე (პარაგრაფი 72), საკასაციო სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ ის უარს აკმაყოფილებდა საჩივარს და „არ არსებობდა წინასწარი შეკითხვის საჭიროება”. (ფრანგ. პარაგრაფი 74); სასამართლომ აგრეთვე ნათლად არ მიუთითა Cilfit-გამონაკლისის არსებობა (პარაგრაფი 75). შესაბამისად, დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა

<sup>158</sup> [https://www.ijstor.org/stable/10.1163/j.ctt1w76vj2.20?seq=7#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.ijstor.org/stable/10.1163/j.ctt1w76vj2.20?seq=7#metadata_info_tab_contents), pg. 281.



## სამოქალაქო სამართლის საკითხები

### გარდაცვლილი პირის ცილისწამება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცალსახად არ ცნობს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის უფლებას. თუმცა, პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სათანადო დაცვა მიაკუთვნონ პირად არაქონებრივ უფლებებს პირის გარდაცვალების შემდგომაც. სახელმწიფოებს აგრეთვე შეუძლიათ სარჩელის წარდგენის უფლება მისცენ იმ ოჯახის წევრებს, რომლებზეც გარდაცვლილი პირის მიმართ განხორციელებულმა ცილისწამებამ უარყოფითი გავლენა იქონია.

კიდევ ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენს, მოეთხოვებათ თუ არა სახელმწიფოებს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვა, ე.ი. ეკისრებათ თუ არა მათ პოზიტიური ვალდებულება შექმნან სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მიმართულია ცილისმწამებლური განცხადებებისგან გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვისკენ. მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი მიზნად ისახავს საჯარო ხელისუფლების მიერ პირის პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისგან დაცვას, მაგრამ ეს არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ მსგავსი ჩარევისგან, არამედ მას აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებსაც, ეფექტურად დაიცვას პირის პირადი ან ოჯახური ცხოვრება. ეს ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გარკვეული ზომების გატარებას, მათ შორის კერძო პირთა შორის ურთიერთობის სფეროშიც. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების კონტექსტში ყურადღება ექცევა, რომ შეპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთებს შორის სამართლიანი ბალანსი იქნეს დაცული. ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას აგრეთვე რელევანტურია ის გარემოება თუ ვის მიერაა სარჩელი წარდგენილი: თავად იმ პირის მიერ, რომლისკენაცაა ცილისწამება მიმართული თუ მისი მემკვიდრის.

2013 წლის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე, რომელიც ეხებოდა გარდაცვლილი პირების რეპუტაციას. **ჯუღაშვილის** საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის რეპუტაციის უფლება, არ არის გადაცემადი უფლებები და პირის გარდაცვალების შემთხვევაში არ შეიძლება სხვას გადაეცეს. თუმცა, მანამდე არსებულ საქმეებზე, სასამართლომ განმარტა, რომ ცილისმწამებლურმა განცხადებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს გარდაცვლილი პირის ნათესავის

კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე.

საქმის *ჯუღაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (Dzhugashvili v. Russia)* (განჩინება), №41123/10, 9 დეკემბერი, 2011 წ., მიხედვით, 2009 წლის 22 აპრილს რუსულმა გაზეთმა „Новая Газета“-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოთხრობილი იყო 1940 წელს კატინში პოლონელი ჯარისკაცების დახვრეტის შესახებ. სტატიაში ხაზგასმული იყო ამ ტრაგედიაში იოსებ სტალინის (იოსებ ჯუღაშვილი) როლი, რომელიც ავტორმა „სისხლისმსმელად“ მოიხსენია.

საგაზეთო სტატიის გავრცელების შემდეგ იოსებ სტალინის შვილიშვილმა სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა ცრუ ბრალდებისა და მიყენებული მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა 9,5 მილიონი რუბლის ოდენობით (211 488 ევრო). 2009 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განაცხადა, რომ ისტორიულ პირებს და, მათ შორის, მათ შთამომავლებს ეკისრებათ განსაკუთრებული თემნის ვალდებულება კრიტიკის მიმართ.

მოგვიანებით გაზეთმა კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა სათაურით – „ისტორიული პროცესი“, რომელიც აღწერდა სასამართლო დავას ბ-ნ ჯუღაშვილსა და გამოცემას შორის. ბ-მა ჯუღაშვილმა ამჯერადაც იჩივლა სასამართლოში და გამომცემლობა დაადანაშაულა ცრუ ბრალდებაში. ეროვნულმა სასამართლომ ამჯერადაც არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სიკეთე, კერძოდ, შელახეს მისი და მისი ოჯახის წევრის პატივი და ღირსება.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაცვლილ წინაპარზე გავრცელებული პუბლიკაცია შეიძლება გავლენას ახდენდეს შთამომავლების პირად ცხოვრებაზე და ამდენად იგი შეიძლება მოექცეს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ისტორიულ პირებს, ისევე როგორც მათთან დაკავშირებულ პირებს, ეკისრებათ განსაკუთრებული თემნის ვალდებულება ნებისმიერი კრიტიკის მიმართ. აგრეთვე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებას შორის. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წინამდებარე საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

საქმეში *პუტისტინი უკრაინის წინააღმდეგ*<sup>159</sup> მომჩივანი იყო ვლადლენ პუტისტინი, უკრაინელი ფეხბურთელის - მიხაილ პუტისტინის, შვილი. 2001 წლის 3 აპრილს გაზეთმა „Komsomolska Pravda“-მ დაბეჭდა სტატია ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი მატჩის შესახებ, რომელიც „სასიკვდილო მატჩის“ სახელით არის ცნობილი. სტატიას თან ერთვოდა მატჩის შესახებ გადაღებული ფილმის რეჟისორთან ჩაწერილი ინტერვიუ.

<sup>159</sup> Putistin v. Ukraine, N 16882/03, § 33, 2013 წლის 21 ნოემბერი.

სტატიიდან ირკვეოდა, რომ, რამდენიმე ფეხბურთელის გარდა, ყველას კავშირი ჰქონდა გესტაპოსთან (ფაშისტური გერმანიის საიდუმლო პოლიცია). ვლადლენ პუტისტინმა კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კომპენსაცია ცრუ ინფორმაციის გავრცელებისათვის. მან სასამართლოში განაცხადა, რომ არ არსებობდა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მომჩივნის მამის კავშირს გესტაპოსთან.

ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განაცხადა, რომ სტატიიდან არაფერი იკითხებოდა ვლადლენ პუტისტინის მამის შესახებ და შეუძლებელი იყო მისი იდენტიფიცირება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი ოჯახის წევრის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შთამომავლის პირად ცხოვრებაზე, მის პატივსა და ღირსებაზე და ეს ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გაზეთში მომჩივნის მამის მიმართ არ იკვეთებოდა პირდაპირი ბრალდება, მასში არ იყო ნახსენები, რომ მიხაილ პუტისტინი იყო გესტაპოსთან დაახლოებული პირი. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სტატია არ იყო პროვოკაციული შინაარსის და ის შემეცნებით ხასიათს ატარებდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

ამდენად, პუტისტინის საქმეში მომჩივანი ასაჩივრებდა რეპუტაციის უფლების დარღვევას ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილების შედეგად, რომლებმაც უარი განაცხადეს გარდაცვლილი მამის შესახებ ცილისმწამებლური განცხადებების შესწორებაზე. ეროვნული სამართალი არ ითვალისწინებდა ამ საფუძვლით სარჩელის წარდგენას, ამდენად სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ იმ გარემოებაზე კონკრეტული გადაწყვეტილება, რომლითაც უპირატესობა მიენიჭა გამომცემლის გამომხატვის თავისუფლებას, იყო თუ არა გამართლებული. სასამართლომ საკითხი განიხილა არა გარდაცვლილი პირის, არამედ მისი ოჯახის წევრების უფლებებზე დაყრდნობით, და საბოლოოდ, მათ მცირე წონა მიანიჭა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი ოჯახის წევრის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შთამომავლის პირად ცხოვრებაზე, მის პატივსა და ღირსებაზე, თუმცა „როდესაც გამოცემის გავლენა მომჩივანზე არაპირდაპირი და სუსტია, უპირატესობა გამოხატვის თავისუფლებას უნდა მიენიჭოს“.

მართალია, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პუტისტინის საქმეში დარღვევა არ დადგინდა, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილ წინაპარზე გავრცელებული პუბლიკაცია შეიძლება გავლენას ახდენდეს შთამომავლების პირად ცხოვრებაზე, მის პატივსა და ღირსებაზე და ეს ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. თეორიულად, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, გარდაცვლილი პირის ნათესავს ნებისმიერ დროს შეუძლია წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი, როდესაც გარდაცვლილი პირის მიმართ ცილისწამებას ექნება ადგილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წლების განმავლობაში მე-8 მუხლის კონტექსტში აფართოებს რეპუტაციის უფლებას და იმ ამჟამად ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე კონვენციის შექმნის

დროს იყო. მართალია, კონვენციის მე-8 მუხლში „რეპუტაცია“ ცალსახად არ არის მოხსენიებული, თუმცა 2003 წლის შემდეგ, სასამართლომ პირის რეპუტაცია, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ნაწილი, მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ მოაქცია. **ჰუტისტინის** საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გააფართოვა ეს ცნება და ის გაავრცელა არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც თავდასხმას ადგილი აქვს პირის პირად რეპუტაციაზე, არამედ მაშინაც, როდესაც თავდასხმა ხორციელდება მისი გარდაცვლილი ოჯახის წევრზე. მსგავსი ტიპის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს წარმოადგენს არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება, არამედ ეროვნული სასამართლოს მიერ მომჩივნის პირადი ცხოვრების არასათანადო დაცვა.

აღნიშნულ საქმეებზე სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია, რომ მე-8 მუხლით დაცულ სფეროში მოსახვედრად გამოცემას „პირდაპირი გავლენა“ უნდა ჰქონოდა გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებზე (*ჰუტისტინის საქმე*, პარ.37). გადაწყვეტილებაში საქმეზე *კუნიცინა რუსეთის წინააღმდეგ*<sup>160</sup> სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ გამოცემამ „ჩვეულებრივ მკითხველს უნდა დაუტოვოს შთაბეჭდილება, რომ მასში მოცემული განცხადებები პირდაპირ გავლენას ახდენს [გარდაცვლილი პირის] ოჯახის წევრებზე“.<sup>161</sup> აღნიშნული საქმეები მიუთითებენ იმაზე, რომ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გარდაცვლილი პირების რეპუტაციის დაცვის ვალდებულება *per se* არ ეკისრებათ.

გადაწყვეტილება საქმეზე *MAC TV S.R.O. V. Slovakia*<sup>162</sup> წარმოადგენდა კარგ შესაძლებლობას იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განემარტა, კონვენცია იცავდა გარდაცვლილების რეპუტაციის უფლებას თუ მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავების უფლებებს, ვინაიდან ეს საქმე ეხებოდა მხოლოდ გარდაცვლილი პირის პატივსა და რეპუტაციაზე თავდასხმას და არ მოიცავდა მისი ოჯახის წევრების მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის ბრალდებას. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და არ დააფიქსირა ცალსახა პოზიცია „გარდაცვლილთა ცილისწამებასთან“ დაკავშირებით.

ზემოხსენებულ საქმეზე *MAC TV. v. Slovakia* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა. აღნიშნულ საქმეში სლოვაკეთის სამაუწყებლო საბჭომ დააჯარიმა სატელევიზიო პროგრამა იმ საფუძვლით, რომ მან უპატივცემულობა გამოხატა პოლონეთის პრეზიდენტის მიმართ, მას შემდეგ, რაც ის ავიაკატასტროფის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა. ეს საქმე ერთ-ერთი იმ მცირე საქმეთაგანია, სადაც სტრასბურგის სასამართლომ პირის გარდაცვალების შემდეგ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი განიხილა.

<sup>160</sup> Kunitsyna v. Russia, N9406/05, 13.12.2016.

<sup>161</sup> იქვე, პარ. 42.

<sup>162</sup> N13466/12, 2017 წლის 28 ნოემბერი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგნაირია: სატელევიზიო გადაცემა, რომელიც ეთერში გავიდა 2010 წლის 12 აპრილს, პოლონეთის პრეზიდენტის (ლევ კაჩინსკის) გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ, მკაცრად აკრიტიკებდა გარდაცვლილი პრეზიდენტის პოლიტიკურ შეხედულებებს. 2010 წლის 14 სექტემბერს სამაუწყებლო საბჭომ მომჩივან ტელევიზიას ჯარიმის სახით 5,000 ევრო დააკისრა იმ საფუძვლით, რომ მათ არ შეასრულეს დაკისრებული ვალდებულება პატივი ეცათ გარდაცვლილი პრეზიდენტის პატივისა და ღირსებისთვის, რაც ევალეობდათ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-19 მუხლით. სამაუწყებლო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ეთერში გაქვრებულ ფრაზას - „ვწუხვარ, მაგრამ პოლონელები არ მეცოდება, პირიქით, მშურს მათი“. მოგვიანებით, სლოვაკეთის უზენაესმა და საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა საბჭოს გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გადაცემა არა მხოლოდ კრიტიკითა და სარკაზმით გამოირჩეოდა გარდაცვლილი პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ, არამედ პრეზიდენტიც გარდაცვალებასთან დაკავშირებით პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სამაუწყებლო საბჭოს მიერ ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონით“, კერძოდ მაუწყებლობის შესახებ კანონით. თუმცა, როდესაც მას უნდა განეხილა - გამოყენებული ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვას, ემსახურებოდა თუ არა მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო აუცილებელი ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადი დასკვნის გაკეთება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ დიად დატოვა საკითხი: ცილისწამების კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვას, *per se* წარმოადგენს თუ არა ლეგიტიმურ მიზანს კონვენციის მე-10 მუხლის შეზღუდვისათვის.

ნაცვლად ამ საკითხზე მსჯელობისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. პირველ რიგში, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური გამონატვის შეზღუდვის გასამართლებლად საჭირო იყო ძალიან წონადი მიზეზების წარმოდგენა. სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ პოლიტიკოსებთან მიმართებით, ჩვეულებრივ პირებთან შედარებით, დასაშვები კრიტიკის ფარგლები ბევრად უფრო ფართო იყო. ამასთან, სატელევიზიო გადაცემა შეეხებოდა საჯარო და პოლიტიკური ინტერესის მქონე საკითხს, უკავშირდებოდა საჯარო პირს და პოლიტიკოსს, რომელსაც თმენის უფრო მაღალი ვალდებულება ჰქონდა. მეორე რიგში, სტრასბურგის სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნული ხელისუფლების მიერ მთლიანი გადაცემის კონტენტის მხედველობის მიღმა დატოვება და მხოლოდ ორ წინადადებაზე ფოკუსირება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაცემა ვერ მიიჩნეოდა „პიროვნებაზე თავდასხმად ან ლევ კაჩინსკის შეურაცხყოფად“, ვინაიდან ის ეხებოდა მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ

მართალია, გარკვეული ფრაზები ძალიან მკაცრი იყო, თუმცა ის არ ცდებოდა ჟურნალისტურ საქმიანობაში დასაშვებ გაზვიადების ხარისხს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ,

„სამაუწყებლო საბჭომ მომჩივანი კომპანიის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო საკუთარი ინიციატივით. ის არ მოქმედებდა გარდაცვლილი პრეზიდენტის ახლო ნათესავების, პოლონელი ხალხის ან ხელისუფლების მოთხოვნით, რომ დაცულიყო გარდაცვლილი ლეხ კაჩინსკის პირადი არაქონებრივი უფლებები. არამედ, სამაუწყებლო საბჭომ თავისი ინიციატივით გამოიყენა მაუწყებლობის შესახებ კანონი, რათა დაეცვა გარდაცვლილი პრეზიდენტის პატივი და ღირსება“.<sup>163</sup>

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა მარეგულირებელი ორგანოების მიერ ინიციატივის გამოხატვა, რათა დაედგინათ ეთიკის ნორმები დარღვევა, როდესაც საქმე ეხებოდა გარდაცვლილი პირის მიმართ ცილისმწამებლურ განცხადებებს.

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა „გარდაცვლილთა ცილისწამებასთან“ დაკავშირებით განაპირობა მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ თუ არა პოზიტიური ვალდებულება, რათა დაეცვათ მე-8 მუხლით გარანტირებული იმ პირის უფლებები, რომელთა გარდაცვლილი ნათესავების რეპუტაციასაც თავს დაესხნენ. თუმცა, ეს აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ კონვენცია მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე კანონმდებლობის რეფორმას, რათა „გარდაცვლილის ცილისწამება“ სარჩელის წარდგენის საფუძველი გახდეს.

მიუხედავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არათანმიმდევრული გადაწყვეტილებებისა, პრეცედენტული სამართალით დადგენილია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის სფერო ვრცელდება მხოლოდ იმ საქმეებზე, სადაც გარდაცვლილ პირთა მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები „პირდაპირ გავლენას“ ახდენს ოჯახის წევრების მე-8 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებებზე. თუმცა, კითხვები კვლავ წარმოიქმნება იმასთან დაკავშირებით თუ რა მოცულობით იცავს კონვენცია გარდაცვლილი პირის რეპუტაციის უფლებას, მანამ სანამ სტრასბურგის სასამართლო ამ საკითხთან მიმართებით უფრო თანმიმდევრულ და ნათელ განმარტებას არ გააკეთებს.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის „მსუსხავი ეფექტი“, რაც გარდაცვლილ პირთა რეპუტაციის დაცვის შესახებ კანონს შეიძლება ჰქონდეს გამომხატვის თავისუფლებაზე, განსაკუთრებით პრესისა და აკადემიური თავისუფლების ქრილში.

---

<sup>163</sup> იქვე, პარ. 56.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს შესაძლებლობას იმისა, რომ გარდაცვლილი პირის ნათესავებმა იღავონ, რომ ამ პირის მიმართ გავრცელებულმა ცილისწამებულმა ცნობებმა გავლენა იქონია მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მათ უფლებებზე. რაც თავის მხრივ გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას მე-8 მუხლის მიხედვით გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრები დაიცვას „ზიანისგან“, რაც მათ შეიძლება მიაღგეთ ცილისმწამებლური განცხადებისგან. ამდენად:

- ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არსებული ტენდენცია, რომელიც ვერ მიიჩნევა კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკად; საჭიროა სტრასბურგის სასამართლოს მიერ ნათლად გაკეთებული განმარტებები იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კონვენცია ხელშემკვრელი მხარეებისგან მოითხოვს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნას;
- გამომდინარე იქედან, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს საერთაშორისო კონსენსული, სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ფარგლებით, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას უნდა დაიცვას თუ არა და რა ფორმით გარდაცვლილ პირთა რეპუტაცია;
- უმრავლეს შემთხვევაზე გარდაცვლილი პირის ნათესავების „რეპუტაციასთან დაკავშირებული ინტერესი“ სუსტია და გამოხატვის თავისუფლებას მიენიჭება უპირატესობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ პირის გარდაცვალებიდან მრავალი წელია გასული და გარდაცვლილი საჯარო პირი იყო ან განხილული საკითხი საჯარო ინტერესის მქონე იყო.

## სასამართლო ბაჟის საკითხი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ქრილში

### კონვენციის 6.1 მუხლი

„ 1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას ..., აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...”

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელოვანი ნაწილია. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ

მომჩივნებს ჰქონდეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაიცვან საკუთარი სამოქალაქო<sup>164</sup> უფლებები.<sup>165</sup>

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტიანი და არა ილუზორული და თეორიული“<sup>166</sup>. იმისათვის, რომ აღნიშნული უფლება იყოს ეფექტიანი, პირს უნდა ჰქონდეს „მკაფიო და პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ გაასაჩივროს ქმედება, რომელიც მის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს“.<sup>167</sup> კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები უნდა მოქმედებდნენ **სათანადო გულმოდგინებით**, რათა უზრუნველყონ, რომ კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიები ეფექტურად იქნეს გამოყენებული.<sup>168</sup> უფრო ფართო გაგებით, ეროვნული ორგანოების პასუხისმგებლობაა, საჭირო გულმოდგინებით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, უზრუნველყონ მოსარჩელების ინფორმირება მათთან დაკავშირებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რათა მათ შეძლონ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება და თავის დაცვა; არ შეიძლება სამართალწარმოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება.<sup>169</sup>

აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“ არ არის აბსოლუტური ხასიათის, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი შეზღუდვა განსაზღვრულ შემთხვევებში დასაშვებია.<sup>170</sup>

მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ამ გარემოებამ არ უნდა შეზღუდოს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობა ისეთი გზით ან მოცულობით, რომ **თავად ამ უფლების არსს მიაღგეს ზიანი**. მოცემული უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურობდეს კანონიერ მიზანს და გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის დაცული უნდა იქნეს თანაზომიერება.<sup>171</sup>

მაგალითად, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შეიძლება საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული მოთხოვნებით.

<sup>164</sup> აღსანიშნავია, რომ ტერმინ „სამოქალაქოს“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალში ავტონომიური ბუნება აქვს და არ გულისხმობს ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემულ განმარტებას.

<sup>165</sup> ბელესი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Běleš and Others v. the Czech Republic), N 47273/99, §49, ECHR 2002-IX.

<sup>166</sup> ბელე საფრანგეთის წინააღმდეგ (Bellet v. France), 4 დეკემბერი 1995, §38, Series A N 333-B §38.

<sup>167</sup> იქვე, §36; აგრეთვე, ნუნეს დიასი პორტუგალიის წინააღმდეგ (განჩინება) Nunes Dias v. Portugal (განჩინება), N 2672/03 და 69829/01, ECHR 2003-IV.

<sup>168</sup> ვაჩერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Vacher v. France), N20368/92, 17 დეკემბერი, 1996, §28.

<sup>169</sup> Schmidt v. Latvia, N 22493/05, §§86-90, 92 და 94-95, 27 აპრილი 2017.

<sup>170</sup> დევეერი ბელგიის წინააღმდეგ (Deweere v. Belgium), N6903/75, 27 თებერვალი, 1980, § 49; ასევე კარტი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], (Kart v. Turkey) [GC], N8917/05, 3 დეკემბერი, 2019, § 67.

<sup>171</sup> გერინი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], (Guérin v. France [GC], N51/1997/835/1041, 29 ივლისი, 1998, § 37, and Omar v. France [GC], § 34,



აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების უფლებაზე შეიძლება გავრცელდეს კანონით დადგენილი მოთხოვნები, სასამართლოებმა საპროცესო წესების გავრცელებისას თავი უნდა შეიკავონ გადაჭარბებული ფორმალობისგან, რომელმაც შეიძლება შელახოს სამართალწარმოების სამართლიანობა<sup>172</sup>. პროცედურული დანაწესის განსაკუთრებით მკაცრმა განმარტებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არსის დარღვევა<sup>173</sup>.

მოცემული ანალიტიკური დოკუმენტის მიზნებისთვის ყურადღება გამახვილდება სასამართლო ბაჟის გადახდის მოთხოვნაზე, როგორც სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველზე.

### **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლო ბაჟთან დაკავშირებით**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თანახმად, ბაჟის გადახდის მოთხოვნა ავტომატურად არ არის ამ მუხლის მოთხოვნებთან შეუთავსებელი.

სასამართლოს ბაჟმა შესაძლოა ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას, თუმცა მას აგრეთვე შეუძლია შეზღუდოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, თუ აღნიშნული ხარჯები ზედმეტად მაღალია.<sup>174</sup> მაგალითად, სტრასბურგის სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია ბაჟის ოდენობა, რომელიც მომჩივნის წლიური შემოსავლის ოდენობას უტოლდებოდა.<sup>175</sup> ბაჟის გადაჭარბებულმა ოდენობამ, რომელმაც დავის მხარეებს ხელი შეუშალა სამოქალაქო საჩივრის წარდგენაში, შესაძლოა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *სტანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*<sup>176</sup> მომჩივანმა უკანონო პატიმრობის გამო სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივარი წარადგინა, რომელსაც მომჩივნისთვის ზიანის ანაზღაურება დაეკისრა. ამის მიუხედავად, მომჩივანს უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, რაც სახელმწიფოს მიერ მისთვის გადასახდელი კომპენსაციის თითქმის 90%-ს შეადგენდა. შედეგად, მომჩივანმა დაკარგა კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის სასამართლოებმა ერთხმად დაადგინეს, რომ მას ის ეკუთვნოდა.

<sup>172</sup> ვალჩლი საფრანგეთის წინააღმდეგ [Walchli v. France], N35787/03, 26 ივლისი, 2007.

<sup>173</sup> ლაბერგერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Labergere v. France), N16846/02, 26 სექტემბერი, 2006, § 23.

<sup>174</sup> პერდიგაო პორტუგალიის წინააღმდეგ (Perdigão v. Portugal [GC]), No. 24768/06, 16 ნოემბერი 2010, para. 74

<sup>175</sup> Kreuz v Poland, N 28249/95, §§ 61; Mehmet a. Suna Yigit v Turkey, N 52658/99, §§ 36, 17 ივლისი, 2007.

<sup>176</sup> Stankov v. Bulgaria, No. 68490/01, 12 ივლისი 2007.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საქმეებში, სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული წესები მომჩივნებს გადაჭარბებულ ტვირთს არ უნდა აკისრებდნენ. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს გადაჭარბებული ოდენობის ან არაგონივრულ შეზღუდვას არ უნდა აწესებდეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების დაკისრება შეესაბამებოდა მართლმსაჯულების კარგად ადმინისტრირების მიზანს, მისი მაღალი ოდენობა წარმოადგენდა მომჩივნის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას. წინამდებარე საქმეზე არ იქნა გამოყენებული სხვა ქვეყნებში არსებული სხვადასხვა პროცედურული გამოსავალი - როგორცაა, სასამართლო ხარჯების შემცირება იმ საქმეებში, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებას ეხება ან სასამართლოს დისკრეციის გამოყენება ხარჯების განსაზღვრის დროს. ამდენად, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა დაადგინა.

გადაწყვეტილებაში საქმეზე *კიჯევსკა პოლონეთის წინააღმდეგ*<sup>177</sup> მომჩივანმა საკუთრებასთან დაკავშირებულ დავაზე ადგილობრივი სასამართლოების წინაშე სარჩელი წარადგინა. მან 1999-2001 წლებში რამდენჯერმე მოითხოვა სასამართლო ბაჟისგან გათავისუფლება, რაც დაახლოებით 10,000 პოლონურ ზლოტს (დაახლოებით 4,000 ევრო) შეადგენდა. მომჩივანი ყოველთვის უარს ამბობდა 2,500 პოლონურ ზლოტს (დაახლოებით 1,000 ევრო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი პენსიითა და ნახევარ განაკვეთზე ადვოკატად მუშაობით. პოლონეთის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა სასამართლო ბაჟისგან გათავისუფლების შესახებ და შესაბამისად მის საჩივარს უარი ეთქვა. 2004 წელს, მომჩივანმა კიდევ ერთხელ წარადგინა საჩივარი და გადაიხადა მასთან დაკავშირებული სასამართლო ბაჟი. აღნიშნული საჩივარი განხილულ იქნა და 2005 წელს არ დაკმაყოფილდა.

მომჩივანმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივარი წარადგინა და დავობდა, რომ გადაჭარბებული სასამართლო ბაჟის ოდენობა წარმოადგენდა მისი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი განსაზღვრავს, რომ

“1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას ..., აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...”

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ *კრუუზი პოლონეთის წინააღმდეგ*<sup>178</sup> გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლო ბაჟის გადახდის მოთხოვნა შეიძლება

<sup>177</sup> Kijewska v. Poland, No. 73002/01, 6 სექტემბერი 2007.

<sup>178</sup> Kreuz v. Poland, no. 28249/95, ECHR 2001-VI.

მიჩნეულ იქნეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად. სასამართლომ განაცხადა, რომ ბაჟის ოდენობა უნდა შეფასდეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რაც მოიცავს მომჩივნის მიერ მისი გადახდის შესაძლებლობას და აგრეთვე იმას, სამართალწარმოების რომელ ეტაპზე იქნა დაკისრებული ეს შეზღუდვა. ეს ფაქტორები არსებითია იმის განსაზღვრისას, ისარგებლა თუ არა პირმა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით.

40. მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლო განიხილავს სასამართლო ბაჟის ოდენობა წარმოადგენდა თუ არა შეზღუდვას, რომელიც არსებით ზიანს აყენებდა მომჩივნის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას.

41. სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ საქმე ეხებოდა მომჩივნის საკუთრების უფლებას და რეესტრში არსებული მონაცემის შესწორებას. სასამართლო ბაჟის ოდენობა განისაზღვრა სადავო უძრავი ქონების ღირებულებით.

42. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მომჩივნის არგუმენტი, რომ მას არ შეეძლო სასამართლო ბაჟის გადახდა და მისი ფინანსური მდგომარეობა შეაფასეს მხოლოდ იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ ის ადვოკატი იყო და ამდენად ვერ მიიჩნეოდა ღარიბად. ამას გარდა, მათ მომჩივნის ყოველთვიური შემოსავალი გააიგივეს მის ყოველწლიურ შემოსავალთან. ამის გათვალისწინებით, მათ დაასკვნეს, რომ მომჩივანს ჰქონდა საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ გადაეხადა სასამართლო ბაჟი.

43. ამასთან მიმართებით, სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანი ყოველთვიურად საშუალოდ იღებდა 2,500 პოლონურ ზლოტს. მიუხედავად ამისა, ეს იყო მისი ერთადერთი შემოსავალი და გონივრულად ვერ მიიჩნევა მოთხოვნა, რომ მომჩივანმა [ყოველთვიური შემოსავალი] დახარჯოს სასამართლო ბაჟის გადახდაზე და არა ძირითად საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე.

44. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ პოლონეთის სასამართლოებს შეეძლო და უნდა განეხილა მომჩივნის ბაჟის გადახდისგან ნაწილობრივი გათავისუფლება.

45. მართალია, რომ მომჩივანმა საბოლოოდ გადაიხადა 5,490 ზლოტი საჩივრის წარდგენისთვის. თუმცა, ეს მოხდა თითქმის 4 წლის შემდეგ, რაც ის წარუმატებლად ცდილობდა სასამართლო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლდება და ვერ იქნება დამადასტურებელი იმისა, რომ სასამართლოებმა იმ დროს მისი მდგომარეობა სწორად და სამართლიანად შეაფასეს. მომჩივნის ბაჟის გადახდისუნარიანობა უნდა შეფასებულიყო იმ დროს მომჩივნის მდგომარეობის საფუძველზე.

46. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ბაჟის შეგროვების სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, საჩივრის განხილვის მომჩივნის ინტერესს შორის”.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ [ეროვნული სასამართლოების] უარი, შეემცირებინა სასამართლო ბაჟის ოდენობა, კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ, არაპროპორციულად ზღუდავდა მომჩივნის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

აღნიშნულ საკითხს ეხებოდა აგრეთვე გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე *მრეტები საქართველოს წინააღმდეგ*<sup>179</sup> მომჩივანი დავობდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი იმ საფუძველით, რომ უზენაესმა სასამართლომ, შესაბამისი მიზეზების მითითების გარეშე, უარი განაცხადა ზედმეტად მაღალი სასამართლო ხარჯებისგან მის გათავისუფლებაზე, რითაც მას შეუზღუდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება.

აღნიშნულ საქმეში მომჩივანი იყო თბილისში 1988 წელს დაარსებული საფეხბურთო კლუბი მრეტები. 1992 წლის ივლისში მომჩივანმა და საფეხბურთო კლუბმა „დინამო“, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრებმა, დადეს ხელშეკრულება ფეხბურთელის დინამოს საფეხბურთო კლუბისთვის გადაცემის თაობაზე. საფეხბურთო კლუბები შეთანხმდნენ, რომ ფეხბურთელი ითამაშებდა ახალ კლუბში მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მომჩივანს გადაუხდიდა 6, 000 ევროს ექვივალენტს ლარში. გარდა ამისა, თუ ფეხბურთელი მოგვიანებით გადაყვანილ იქნებოდა საზღვარგარეთ, მომჩივან კლუბს უნდა მიეღო საერთაშორისო ტრანსფერის გადასახადის 50%, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება დაკარგავდა კანონიერ ძალას. გამომდინარე იქედან, რომ დინამოს კლუბიდან მომჩივანის ტრანსფერი მოხდა ინგლისურ კლუბში, დინამოს მომჩივნისთვის უნდა გადაეხადა 691, 000 ევრო, თუმცა ეს გადახდა არ განხორციელებულა. FIFA-ს წინაშე რამდენიმე წლიანი საქმის წარმოების შემდეგ, განისაზღვრა, რომ დინამოს საფეხბურთო კლუბს მომჩივნისათვის უნდა გადაეხადა 236,000 ევრო. 2001 წლის იანვარში დინამომ ვალი სრულად გადაიხადა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ფიფას მიერ დანიშნული თანხა არ იყო საკმარისი ზარალის ასანაზღაურებლად, მომჩივანმა კლუბმა ეროვნული სასამართლოების წინაშე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო. ეს სამართალწარმოება წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების თაობაზე. უზენაესმა სასამართლომ ყოველგვარ კონკრეტულ გარემოებაზე მითითების გარეშე პირდაპირ განაცხადა, რომ ხარჯებისგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ბაჟის გადაუხდელობის გამო კი 2004 წ. 15 მარტს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. მომჩივნის განცხადებით, დინამოს საფეხბურთო კლუბისგან სათანადო კომპენსაციის მიუღებლობა და აგრეთვე მაღალი გადასახადები, რომელთა გადახდაც მოუწია ადგილობრივ და საერთაშორისო პროცესებზე დინამოს საფეხბურთო კლუბისა და

<sup>179</sup> FC Mretebi v. Georgia, N38736/04, 31 ივლისი, 2007.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ, იყო მისი ფინანსური კოლაპსის მთავარი მიზეზი.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაყრდნობით, მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ მას უარი ეთქვა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე.

„38. სასამართლომ განაცხადა, რომ იქ, სადაც სააპელაციო სამართალწარმოება არსებობს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში განაგრძონ მე-6 მუხლის იგივე ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობა სააპელაციო სასამართლოების წინაშე, როგორც ისინი სარგებლობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოების წინაშე (იხ. Brualla Gómez de la Torre v. Spain, judgment of 19 December 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII, p. 2955, § 33; Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom, judgment of 10 July 1998, Reports 1998-IV, p. 1660, § 72).

აქედან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თანახმად, მისი საქმე განხილულიყო უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ ამ უკანასკნელს ეს უფლება შეუზღუდა.

40. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, აღნიშნულმა შეზღუდვამ ხომ არ შეამცირა ან შეზღუდა მომჩივნის უფლება სასამართლოზე იმდენად, რომ ამ უფლების ძირითადი არსი იქნა ხელყოფილი. ამისათვის სასამართლომ უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, რომელებიც ამ უკანასკნელმა მიიღო თავისი დისკრეტული ძალაუფლების გამოყენებით, იმის დასადგენად იყო თუ არა მათი შედეგები კონვენციის შესაბამისი (იხ. Kreuz v. Poland, no. 28249/95, §§ 55 and 56, ECHR 2001-VI).

.....

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფზე მითითება, რომელიც როგორც მომჩივანს, ასევე მოპასუხეს აკისრებს მტკიცების თანაბარ ტვირთს შეჯიბრებითი ხასიათის სამოქალაქო ტიპის საქმეებში, უადგილოა. **წინამდებარე საქმეში პრობლემა მდგომარეობს არა მხარეებს შორის დავის საკითხში, არამედ მხარესა და სასამართლო ხელისუფლებას შორის.** სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს სიტუაციებში, როდესაც სასამართლო ხელისუფალნი ჩათვლიან, რომ მხარის განცხადება გადახდისუნარიანობის შესახებ საეჭვო ან არასაკმარისია, მათ უნდა გამოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია წარსადგენი დოკუმენტაციის მითითებით და/ან უბრძანონ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება. (იხ. mutatis mutandis, Jedamski and Jedamska, cited above, § 64; Kreuz, ციტირებული ზემოთ, §64).

46. როგორც არ უნდა იყოს მთავრობის არგუმენტები და გამამართლებელი საბუთები, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თავად უზენაეს სასამართლოს არ მიუთითებია, რომ მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო საკმარისი. იგი ასევე არ შეეცადა მიეღო მომჩივნის ან კომპეტენტური უწყებებისგან გადახდისუნარობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულება. სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბუნდოვნად იყო აღნიშნული, რომ არ არსებობდა სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი. **ასეთ გარემოებებში, უზენაესი სასამართლოს უარი მომჩივნის სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებაზე, ყოველგვარი შესაბამისი დასაბუთების გარეშე წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას.**

საბოლოოდ, მთლიანად საქმის ფაქტების შეფასებით, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა, და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა დაადგინა.

**დასკვნის სახით**, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა არ შეცვლილა და ახლაც იმავე სტანდარტი გამოიყენება. კერძოდ, სასამართლო ბაჟის ოდენობის გონივრულობის განსაზღვრის კუთხით არსებით საკითხს წარმოადგენს, მომჩივნის მიერ მისი გადახდის შესაძლებლობა და აგრეთვე ის, თუ სამართალწარმოების რომელ ეტაპზე იქნა დაკისრებული ეს შეზღუდვა. სტრასბურგის სასამართლო აგრეთვე მხედველობაში იღებს, ეროვნულმა სასამართლოებმა გამოავლინეს თუ არა სათანადო გულისხმიერება, როდესაც იხილავდნენ მხარის განცხადებას სასამართლო ბაჟისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების შესახებ.

## **ჟურნალისტთა წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არამხოლოდ ინფორმაციებისა და იდეების შინაარსს, არამედ მათი გავრცელების გზებსაც. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრესის როლს და ჟურნალისტის მიერ გამოყენებული წყაროს კონფიდენციალურობის დაცვას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ხაზი გაუსვა ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროს დაცვის მნიშვნელობას მედიის თავისუფლებისთვის.

„*ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროს დაცვა პრესის თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ამგვარი დაცვის გარეშე, ჟურნალისტთა წყაროებს შეიძლება ხელი შეეშალოს, დაეხმარონ პრესას საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე. შედეგად, პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის, როლი შეიძლება*

დაკნინდეს და ხელყოფილ იქნეს პრესის უნარი, უზრუნველყოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია. ბრძანება ჟურნალისტის წყაროს გამჟღავნების შესახებ... ვერ იქნება კონვენციის მე-10 მუხლთან თავსებადი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნით.”<sup>180</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ჟურნალისტთა უფლება, არ გამჟღავნონ ინფორმაციის წყარო, არ არის უბრალო პრივილეგია, რომლის არსებობაც დამოკიდებულია მათი წყაროს კანონიერებასა ან უკანონობაზე; აღნიშნული უფლება ინფორმაციის უფლების შემადგენელი ნაწილია და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული.

ჟურნალისტის წყაროს დაცვის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა (ჟურნალისტთა სამუშაო ადგილზე ან სახლში ჩხრეკის ჩატარება, მასალების ამოღება, წყაროს გამჟღავნების დავალება და სხვ.), რომელსაც შეუძლია წყაროს იდენტიფიცირება, გამყარებული უნდა იყოს პროცედურული გარანტიებით, რომელიც საფრთხის ქვეშ არსებული სამართლებრივი სიკეთის პროპორციულია. უპირველესი ასეთი გარანტიაა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ განხილვის ჩატარება. მსგავსი განხილვა პრევენციული ხასიათისაა. განმხილველ ორგანოს წყაროს ვინაობის გამტკიცებამდე უნდა შეეძლოს პოტენციური რისკებისა და შესაბამისი ინტერესების შეფასება.<sup>181</sup>

## პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა

პირველი პრეცედენტული საქმე, რომელშიც სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის **გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**.

აღნიშნულ საქმეზე მომჩივანს წარმოადგენდა ინგლისელი ჟურნალისტი ბატონი გუდვინი, ხოლო მოპასუხეს - გაერთიანებული სამეფო.

ჟურნალისტმა, მისტერ გუდვინმა კომერციული ორგანიზაცია **Tetra Ltd**-ს შესახებ ინფორმაცია ტელეფონის მეშვეობით „წყაროსგან“ მიიღო. წყარო ამტკიცებდა, რომ კომპანია აპირებდა, აეღო დიდი კრედიტი სერიოზული ფინანსური პრობლემების შექმნის გამო. ინფორმაციის გაცემისთვის წყაროს ფული არ აუღია. სტატიის მომზადებისას ჟურნალისტმა კომპანიას სთხოვა, ამის შესახებ კომენტარი გაეკეთებინა. კომპანიაში აღნიშნული ინფორმაცია იკითხებოდა „მკაცრად კონფიდენციალურის“ გრიფით დასათაურებულ დოკუმენტში; კომპანიამ შემდგომში აღმოაჩინა, რომ ანგარიშების ასლი სადღაც გამქრალიყო. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა კომპანიას

<sup>180</sup> Goodwin v. the United Kingdom, § 39, 1996 წლის 27 მარტი, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-II.

<sup>181</sup> ევროპის საბჭოს თემატური საძიებელი ჟურნალისტთა წყაროს დაცვის შესახებ.

კომენტარი სთხოვა, Tetra Ltd-მ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, გამოეცა ბრძანება, რომლის თანახმად გამომცემლებს დაევალებოდათ, არ დაებეჭდათ კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაცია. კომპანიის დასაბუთებით, თუ ინფორმაცია საჯარო გახდებოდა, ეს ზიანს მიაყენებდა მის ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ბრძანება გამოიცა და კომპანიამ მისი ასლები ყველა მთავარ გაზეთს გაუგზავნა.

შემდეგ კომპანიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ ჟურნალისტს გაემხილა წყაროს ვინაობა. მოთხოვნა დასაბუთებული იყო იმით, რომ კომპანიას ეს დაეხმარებოდა „გამცემი“ თანამშრომლის გამოვლენასა და მის წინააღმდეგ პროცესის დაწყებაში. ჟურნალისტმა კატეგორიული უარი განაცხადა გაემხილა წყაროს ვინაობა სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად. იგი დააჯარიმეს „მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის“ საფუძველზე.

ევროპული სასამართლოს წინაშე, მომჩივანმა განაცხადა, რომ სასამართლოს ბრძანებამ წყაროს გამხელის შესახებ, ისევე, როგორც ამის შეუსრულებლობისათვის ჯარიმის დაკისრებამ, დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი.

**სასამართლოს შეფასება:** სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა გამიზნული იყო „სხვათა უფლებების“ (კომპანიის უფლებების) დასაცავად. ამის შემდეგ შეუდგა იმის გარკვევას, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გაითვალისწინა რა, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს და პრესისათვის ძლიერი დაცვის მინიჭება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინა, რომ „როგორც წევრი ქვეყნების კანონებსა და პროფესიული ქცევის კოდექსებშია მოცემული, ჟურნალისტური წყაროების დაცვა პრესის თავისუფლების უმთავრესი პირობაა. [...] წყაროს კონფიდენციალურობის გარანტიის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, თავს შეიკავებს ჟურნალისტებთან თანამშრომლობაზე. შედეგად კი პრესა ვეღარ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციის შესრულებას და საზოგადოების უზრუნველყოფას ზუსტი და სანდო ინფორმაციით“.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისათვის ჟურნალისტური წყაროების მნიშვნელობისა და წყაროს გამჟღავნების შესახებ ბრძანების „მსუსხავი ეფექტის“ შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლომ განაცხადა, რომ ამგვარი ზომა შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლთან, სანამ ის არ იქნება გამართლებული „ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესით“.

სასამართლომ განაცხადა, რომ განსაიდუმლოების ბრძანება იყო ფართო შინაარსის და ბუნდოვანი, სწორედ იმგვარი, როგორც კომპანიის საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის შესახებ მიღებული სასამართლო ბრძანება. სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა „გონივრული პროპორციულობის კავშირი განსაიდუმლოების შესახებ ბრძანების კანონიერ მიზანსა და ამ მიზნის მიღწევისთვის გამოყენებულ საშუალებას შორის. შესაბამისად, ბრძანება არ შეიძლება ჩაითვალოს



აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ორივე - როგორც ჟურნალისტისთვის წყაროს გამჟღავნების შესახებ ბრძანება, ისე მისი დასჯა ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის - წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების უფლების დარღვევას.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ზომების მიღება უეჭველად ნიშნავს პრესის თავისუფლებაში ჩარევას და დაადგინა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი.

**გადაწყვეტილება:** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

გუდვინის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, 2000 წლის 8 მარტს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია **No. R (2000)7**, რომელიც ეხება ჟურნალისტის უფლებას, არ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.<sup>182</sup>

1996 წლის შემდეგ (*გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილ ჟურნალისტთა წყაროს კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით არაერთი გადაწყვეტილება მიიღო. ქვემოთ მიმოხილული იქნება აღნიშნული საქმეები და მათ მიერ დადგენილი ძირითადი პრინციპები.

გადაწყვეტილება საქმეზე *რესიოტი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>183</sup> ეხებოდა გამოძიებას, რომელიც ჩატარდა გაზეთ *L'Equipe* და *Le Point*-ის ოფისში და იმ ჟურნალისტების სახლში, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სასამართლო გამოძიების კონფიდენციალურობის დარღვევა. ხელისუფლებას სურდა წყაროს იდენტიფიცირება, რომელმაც გაამჟღავნა ველოსპორტის მეჯიბრში დოპინგის გამოყენების შესახებ გამოძიების დეტალები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის მთავრობამ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოყენებული ღონისძიებები არ იყო მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

საქმე *ნაგლა ლატვიის წინააღმდეგ*<sup>184</sup> ეხებოდა პოლიციის მიერ ცნობილი ჟურნალისტის სახლის ჩხრეკას და მუხსიერების ბარათების ამოღებას. ჟურნალისტის სახლი გაჩხრიკეს

---

<sup>182</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0--0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50--20-about--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.4&d=HASHc85ce6ad9c1ede8417f004.12.1&gt=1>

<sup>183</sup> *Ressiot and Others v. France*, №15054/07, 2012 წლის 28 ივნისი.

<sup>184</sup> *Nagla v. Latvia*, №73469/10, 2013 წლის 16 ივლისი.

მას შემდეგ, რაც 2010 წლის თებერვალში ეთერში გავიდა მისი სატელევიზიო გადაცემა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას ეცნობა სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის გაჟონვის შესახებ. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, გადაცემის ეთერში გასვლიდან ერთი კვირის შემდეგ ჟურნალისტის წყარომ, რომელმაც „ნეო“ დაირქვა, „ტვიტერის“ მეშვეობით დაიწყო ინფორმაციის გამოქვეყნება სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში თანამდებობის პირთა ხელფასებთან დაკავშირებით. სახელმწიფო შემოსავლების სამსახურმა დაიწყო გამოძიება; 2010 წლის თებერვალში პოლიციამ ჟურნალისტი მოწმის სახით დაკითხა. მან უარი თქვა მოწმის ვინაობის გამხელაზე. 2010 წლის მაისში საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინეს, რომ ი.პ.-ს კავშირი ჰქონდა მონაცემთა ბაზასთან და მას აგრეთვე რამდენჯერმე ჰქონდა დარეკილი ჟურნალისტის ტელეფონის ნომერზე. ი.პ. დააკავეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში. იმავე დღეს მოხდა მომჩივნის სახლის ჩხრეკა და ლეპტოპისა და მენსიერების ბარათების ამოღება.

აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ ეთერში განხილული ინფორმაციას საჯარო დებატებში ორმაგად შეჰქონდა წვლილი: საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა ეკონომიკური კრიზისის დროს საჯარო სექტორში არსებულ ხელფასებთან და შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ წყაროს მიერ განხორციელებულ ქმედებებზე მიმდინარეობდა გამოძიება, ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ ინფორმაციის წყარო, არ არის უბრალო პრივილეგია, რომლის არსებობაც დამოკიდებულია მათი წყაროს კანონიერებასა ან უკანონობაზე; აღნიშნული უფლება ინფორმაციის უფლების შემადგენელი ნაწილია და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული. წინამდებარე საქმეში საგამოძიებო ორგანოებმა ვერ დაიცვეს ბალანსი გამოძიების მიერ მტკიცებულების მოპოვების ინტერესსა და ჟურნალისტის გამონათვის თავისუფლების დაცვას შორის.

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე *Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands [GC]*<sup>185</sup>, რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად იმ ინფორმაციის ამოღებას, რომელსაც შეეძლო ჟურნალისტის წყაროს გამჟღავნება. მომჩივანი კომპანია ფლობდა მანქანებზე ჟურნალს, რომლის მეშვეობით მათ გადაწყვიტეს სტატიის გამოქვეყნება უკანონო რბოლის შესახებ. ერთ-ერთი მსგავსი დონისძიების ორგანიზატორებისგან ჟურნალისტებმა სურათების გადაღების ნებართვა მოიპოვეს იმ პირობით, რომ ისინი არ გაამჟღავნებდნენ მონაწილეთა ვინაობას. ორიგინალი ფოტოები შენახული იყო CD-ROM-ზე იმ მიზნით, რომ გამოქვეყნებულ ვერსიაში სურათები დამონტაჟებულიყო იმგვარად, რომ წაშლილიყო მანქანებისა და მონაწილეების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. თუმცა, სტატიის დაბეჭდვამდე ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მთავარი პროკურორისგან უწყება მიიღო. მას თხოვდნენ ფოტოების გადაცემას იმ საფუძვლით,

<sup>185</sup> №38224/03, 2010 წლის 14 სექტემბერი.

რომ ისინი საჭირო იყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისათვის, რომელიც „სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს“ ეხებოდა. როდესაც რედაქტორმა უარი განაცხადა, მას სისხლისსამართლებრივი დევნითა და დაკავებით დაემუქრნენ და უთხრეს, რომ კომპანიის შენობას გაჩხრიკავენ, ხოლო კომპიუტერებს ამოიღებდნენ. შენობის დროებით დახურვას შესაძლოა, კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოეწვია. CD-ROM, რომელიც შეიცავდა ფოტოებს, საბოლოოდ ჩამორთმეულ იქნა მას შემდეგ, რაც მორიგე გამოძიებელმა მოსამართლემ, რომელიც პროცესში კომპანიის მოთხოვნითა და პროკურორებთან შეთანხმებით ჩაერთო, გამოთქვა აზრი, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საჭიროებებმა გადაწონა კომპანიის ჟურნალისტური პრივილეგია. ჩხრეკა კანონიერად იქნა მიჩნეული მას შემდეგ რაც რაიონულმა სასამართლომ მოისმინა პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ფოტოები საჭირო იყო იმ მანქანის საიდენტიფიკაციოდ, რომელიც გამოყენებულ იქნა ძარცვის დროს და, შესაბამისად, გამოძიება არ ეხებოდა საგზაო რბოლას. გადაწყვეტილება გასაჩივრების შემდეგ ძალაში დარჩა.

ხელისუფლების ორგანოებმა ცალსახად განაცხადეს, რომ თუ არ გადაეცემოდათ ფოტოები, მომჩივანი კომპანიის შენობის გაჩხრეკდნენ. ამას შესაძლოა გამოეწვია ოფისების დროებითი დახურვა და ახალი ამბების გამოქვეყნების შეფერხება, რომელთა დაგვიანებული დაბეჭდვა აზრსმოკლებული იქნებოდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ჩხრეკასა და ამოღებას ადგილი არ ჰქონია, საქმე ეხებოდა იძულებით გადაცემას იმ ჟურნალისტური მასალებისა, რომელიც იმგვარ ინფორმაციას შეიცავდა, რომელსაც შეეძლო ჟურნალისტის წყაროს იდენტიფიცირება. ეს ბრძანება, თავისთავად, წარმოადგენდა ჩარევას მომჩივანი კომპანიის უფლებაში, მიეღო და გავრცელებინა ინფორმაცია.

ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტის წყაროს დაცვის უფლებაში ნებისმიერ ჩარევას, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს მათ იდენტიფიცირებამდე, თან უნდა სდევდეს სამართლებრივი პროცედურული გარანტიები, რომლებიც სადავო პრინციპის მნიშვნელობის პროპორციულია. უპირველესი ასეთი გარანტიაა საქმის განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაადგინოს, არსებობდა თუ არა საზოგადოებრივი ინტერესის მოთხოვნა, რომელიც გადაწონიდა ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს, ნებისმიერი რელევანტური მასალის გადაცემამდე. მსგავსი განხილვა პრევენციული ხასიათისაა; განმხილველ ორგანოს წყაროს ვინაობის გამლჟავნებამდე უნდა შეეძლოს პოტენციური რისკებისა და შესაბამისი ინტერესების შეფასება. განხილვის *ex post facto* ჩატარება დააკნინებდა კონფიდენციალურობის უფლების ძირითად არსს.

წინამდებარე საქმეზე აღნიშნული პრინციპების გამოყენებისას, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება ჰქონდა არა დამოუკიდებელ მოსამართლეს, არამედ პროკურორს. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი შებოჭილი იყო კეთილსინდისიერების

მოთხოვნით, პროცედურული თვალსაზრისით პროკურორი „მხარე“ იყო, რომელიც იცავდა ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვასთან შეუთავსებელ ინტერესებს და რთული იყო მისი აღქმა მიუკერძოებელ და ობიექტურ მსაჯულად. მართალია, დაკმაყოფილდა მომჩივანი კომპანიის მოთხოვნა გამომძიებელი მოსამართლის ჩართვის თაობაზე, თუმცა მის მონაწილეობას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და მას მხოლოდ მრჩევლის როლი ეკისრებოდა. მსგავსი მდგომარეობა ძნელად თუ შეესაბამებოდა კანონის უზენაესობას. ეს ხარვეზები არ გამოსწორებულა რაიონული სასამართლოს მიერ *ex post facto* განხილვის შედეგად.

დასკვნის სახით, განსახილველ შემთხვევაში კანონის ხარისხი იყო არასაკმარისი იმ პროცედურის არარსებობის პირობებში, რომელსაც თან მოსდევდა ადეკვატური სამართლებრივი გარანტიები, რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმის დამოუკიდებელ შეფასებას, სისხლის სამართლის გამოძიების ინტერესმა გადაწონა თუ არა ჟურნალისტის წყაროს დაცვა. ამგვარად, ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ და დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

გადაწყვეტილებაში საქმეზე **გორმუსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ**<sup>186</sup> 2007 წლის აპრილში ყოველკვირეულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეფუძნებოდა შეიარაღებული ძალების ადმინისტრაციის უფროსის მიერ „კონფიდენციალურად“ გამოცხადებულ ინფორმაციას. ხელისუფლების ორგანოებმა გაჩხრიკეს მათი სამუშაო ადგილი და გარკვეული დოკუმენტაცია ამოიღეს. მომჩივნები, კერძოდ, იმ დროისთვის ყოველკვირეული გაზეთის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი, ისევე როგორც გამოცემაზე მომუშავე ჟურნალისტები, დავობდნენ, რომ შესაბამისი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა მათი ინფორმაციის წყაროს გამჟღავნებას და არღვევდა გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით მათ უფლებას, როგორც ჟურნალისტებს, მიეღოთ ან გაეზრცელებინათ ინფორმაცია.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველკვირეულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც „კონფიდენციალურ“ სამხედრო დოკუმენტებს ეფუძნებოდა და ეხებოდა სისტემას, რომელიც მედიას შეიარაღებული ძალებისთვის „სასურველ“ ან „არასასურველ“ კატეგორიად ყოფდა, შეეძლო საჯარო დებატებში წვლილის შეტანა. ყურადღება გაამახვილა რა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გამოხატვის თავისუფლებისა და ჟურნალისტის წყაროს მნიშვნელობაზე, რაც მოიცავდა შემთხვევებს, როდესაც აღნიშნულ წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც ამხელდნენ მათ სამსახურში არსებულ შეუსაბამო პრაქტიკას, სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, არ იყო მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, არ პასუხობდა მწვავე სოციალურ საჭიროებას და შესაბამისად არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ

<sup>186</sup> Gormus and Others v. Turkey, №49085/07, 2016 წლის 19 იანვარი.

უფლებაში ჩარევა შედგებოდა ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ჩხრეკისგან, ჟურნალის კომპიუტერული მონაცემების ამოღებისა და შენახვისგან; ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა იმგვარი მონაცემები, რომლებიც არ იყო სტატიასთან დაკავშირებული, იმ მიზნით, რომ გამჟღავნებულიყო ინფორმატორი. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიება ისეთი ხასიათის იყო, რომ ხელს შეუშლიდა პოტენციურ წყაროს, რათა დახმარებოდა პრესას საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, მათ შორის როდესაც საკითხი ეხებოდა შეიარაღებულ ძალებს.

გადაწყვეტილება საქმეზე *Telegraaf Media Nederland Landelijke Media BV and others v The Netherlands*<sup>187</sup> ეხებოდა ნიდერლანდების უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურიდან ინფორმაციის გამჟღავნებას. წინამდებარე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიდერლანდებმა, მოითხოვა რა დოკუმენტაციები ორი ჟურნალისტიკისგან და ამასთან ისინი თვალთვალის ქვეშ მოათავსა, დაარღვია კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ წევრი სახელმწიფოები ვერ ჩაერევინან კონვენციის მე-10 მუხლით ჟურნალისტებისთვის დადგენილ უფლებაში, დაიცვან მათი წყაროები; ერთადერთი გამონაკლისი მსგავსი ჩარევის გამართლების არის საპირწონე საზოგადოებრივი ინტერესის მოთხოვნა. ამდენად, მოცემული საქმე შეესაბამება წინარე პრეცედენტულ სამართალს და ხაზს უსვამს დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისთვის ჟურნალისტის წყაროს დაცვის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ საქმეში **ტილაკი ბელგიის წინააღმდეგ**<sup>188</sup> მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტს ბრალი ედებოდა უკანონო ქმედებაში, ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა უზრუნველყოფილ იქნა. მოცემულ საქმეში ჟურნალისტი ექვმიტანილი იყო ქრთამის მიცემაში. კერძოდ, სავარაუდოდ მან საჯარო მოხელეს მისცა ქრთამი, ევროკავშირის ინსტიტუტში (ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი) მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაციის სანაცვლოდ, რომლის საფუძველზეც მან სტატია დაბეჭდა. ხელისუფლების ორგანოებმა გაჩხრიკეს მომჩივნის სახლი და საშუაო ადგილი და ამოიღეს მისი საშუაო დოკუმენტები, ისევე როგორც კომპიუტერები. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩხრეკის მიზანი იყო ჟურნალისტის მიერ სტატიაში მოცემული ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება. შესაბამისად, საქმე ეხებოდა ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვას. საბოლოოდ, სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა, მიიჩნია რა, რომ ჩხრეკის გასამართლებლად არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მიზეზები.

გადაწყვეტილებაში საქმეზე **ბეკერი ნორვეგიის წინააღმდეგ**<sup>189</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟურნალისტის წყაროს საიდუმლოების დაცვას პრესის თავისუფლებისა და საგამოძიებო ჟურნალისტიკისათვის. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ

<sup>187</sup> №39315/06, 2012 წლის 22 ნოემბერი.

<sup>188</sup> *Tillack v. Belgium*, №20477/05, 2007 წლის 27 ნოემბერი.

<sup>189</sup> [Becker v. Norway](#), №21272/12, 2017 წლის 5 ოქტომბერი.

კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით ჟურნალისტის დაცვა ავტომატურად ვერ გაუქმდება წყაროს ქმედებიდან გამომდინარე და აღნიშნული დაცვა მოქმედებს მაშინაც, როდესაც წყაროს ვინაობა ცნობილია. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავს შემთხვევებში უფრო ნაკლები დაცვა მოქმედებს, რა მიდგომაც მოსამართლე ნონა წოწორიამ თანმხველრ მოსაზრებაში გააკრიტიკა.

საქმე ეხებოდა ჟურნალისტს, სესილია ლანგუმ ბეკერს, რომელიც მუშაობდა ნორვეგიის ინტერნეტ გაზეთში. ქ-ნ ბეკერს უბრძანეს მიეცა ჩვენება სისხლისსამართლებრივ საქმეზე, რომელიც აღიძრა მისი ერთ-ერთი წყაროს, ბ-ნი X-ის, წინააღმდეგ. ბ-ნმა X-მა დაუდასტურა პოლიციას, რომ ის იყო ქ-ნი ბეკერის წყარო სტატიისთვის, სადაც ის წერდა ნორვეგიის ნავთობის კომპანიის (DNO) სავარაუდო ფინანსურ პრობლემებზე. ქ-ნი ბეკერის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, პირველივე სავაჭრო დღეს კომპანიის აქციების ფასები შემცირდა 4,1%-ით. ბ-ნ X-ს შემდგომში ბრალი დაედო ქ-ნი ბეკერის გამოყენებაში, რათა მოეხდინა ფინანსური მარკეტის მანიპულაცია. ქ-ნმა ბეკერმა უარი თქვა ბ-ნი X-ის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. შესაბამისად, სასამართლოებმა უბრძანეს მას მიეცა ჩვენება X-სთან მისი კავშირის შესახებ, მიიჩნიეს რა, რომ არ არსებობდა ჟურნალისტური წყარო, რომელიც დაცვას საჭიროებდა, ვინაიდან მან [წყარომ] უკვე გაამჟღავნა თავისი თავი. სასამართლოებმა აგრეთვე მიიჩნიეს, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა სასამართლოებს საქმის განხილვაში. თუმცა, ბ-ნი X დამნაშავედ იქნა ცნობილი იქამდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ქ-ნი ბეკერის მიერ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, ქ-ნი ბეკერი დავობდა, რომ მას არ ეკისრებოდა ჩვენების მიცემის ვალდებულება და სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მან უარყო პასუხი გაეცა კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა მასა და ბ-ნ X-ს და სხვა წყაროებს შორის კავშირს.

2012 წლის იანვარში, უმაღლესმა სასამართლომ, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საფუძველზე, ქ-ნ ბეკერს დაახლოებით 3 700 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრა, რადგან მისი ქმედება სამართალწარმოების სათანადო განხორციელებას უშლიდა ხელს; გადაუხდელობის შემთხვევაში მას 10 დღით თავისუფლების აღკვეთა დაეკისრებოდა.

2012 წლის მარტში ქ-ნმა ბეკერმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივარი შეიტანა. მომჩივანი დავობდა, რომ მას, კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების საწინააღმდეგოდ, აიძულეს ჩვენების მიცემა, რომელსაც შეეძლო ჟურნალისტის ერთი ან უფრო მეტი წყაროს იდენტიფიცირება.

საქმეში სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა, რომ ჩვენების მიცემის შესახებ ბრძანება „გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით“ და ბრძანება გამოცემული იყო „დანაშაულის პრევენციის“ მიზნებისთვის, ე.ი. ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს უნდა ემსჯელა იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტილას სასამართლომ მიმოიხილა ჟურნალისტის წყაროს დაცვასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი, კერძოდ, ზემოხსენებული **გულდინის** საქმე.

სასამართლომ აგრეთვე გაიხსენა, რომ საქმეზე **ნაგლა ლატვიის წინააღმდეგ** მან დაადგინა შემდეგი: საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი იყო წყაროს ვინაობა ჟურნალისტის საშუალო ადგილის გაჩხრეკამდე, თუმცა მიუხედავად ამისა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ჟურნალისტის წყაროს დაცვის უფლება ამ შემთხვევაზე მაინც ვრცელდებოდა. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალისტის წყაროს დაცვა ავტომატურად ვერ გაუქმდებოდა წყაროს ქმედებიდან გამომდინარე. დამატებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტებისთვის მინიჭებული დაცვა წყაროს კონფიდენციალურად დატოვების მიზნით „ორმხრივი იყო და ეხებოდა არამხოლოდ ჟურნალისტს, არამედ აგრეთვე წყაროს, რომელიც ნებაყოფლობით ეხმარება პრესას საჯარო ინტერესის მქონე საზოგადოების ინფორმირებაში“. სტრასბურგის სასამართლომ გაიხსენა, რომ საქმეზე **ვოსკუილი ნიდერლანდების წინააღმდეგ** <sup>190</sup> მან დაადგინა შემდეგი: კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისთვის ჟურნალისტისგან მისაღები ინფორმაციის პოტენციური მნიშვნელობა არ არის საკმარისი, რათა გაამართლოს მისი [ჟურნალისტის] იძულება გაამჟღავნოს თავისი წყარო ან წყაროები. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ანონიმური წყაროს იდენტიფიკაციის პროცესში ჟურნალისტის მონაწილეობას მსუსხავი ეფექტი ექნებოდა.

მიუხრუნდა რა განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას პირველად უჩვენდა განეხილა საქმე, სადაც წყარომ საკუთარი თავი გაამჟღავნა. სასამართლომ განაცხადა, რომ საქმეებში, სადაც ჟურნალისტის წყარო ბოროტი განზრახვით მოქმედებდა, დადგენილი იყო, რომ წყაროს ქმედებას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ საკითხის გადაწყვეტილას, უნდა გაემხილა თუ არა ჟურნალისტს წყაროს კონფიდენციალურობა. კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე ჟურნალისტისთვის მინიჭებული დაცვა ავტომატურად ვერ გაუქმდებოდა წყაროს ქმედებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს დასკვნა აგრეთვე უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც, განსახილველი საქმის მსგავსად, წყარო გაამხელს საკუთარ ვინაობას. სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ მე-10 მუხლით დადგენილი დაცვა აგრეთვე ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ჩხრეკის განხორციელებამდე წყაროს ვინაობა ცნობილი იყო საგამოძიებო ორგანოებისთვის (ნაგლას საქმე). სტრასბურგის სასამართლო, როდესაც აფასებს, იყო თუ არა მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ჩარევა „აუცილებელი“, განიხილავს წარმოდგენილი იყო თუ არა რელევანტური და საკმარისი მიზეზები კონკრეტული სასამართლო ბრძანების დასაბუთებისათვის. სასამართლომ განაცხადა, ის ფაქტი, რომ ცნობილი იყო ბ-ნი X-ის

<sup>190</sup> *Voskuil v. the Netherlands*, №64752/01, 2007 წლის 22 ნოემბერი.

ვინაობა ვერ იქნებოდა გადამწყვეტი პროპორციულობის შეფასებისას; ბ-ნი X-ს ვინაობა შეფასების მხოლოდ ერთ ელემენტს წარმოადგენდა.

სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ ჟურნალისტებისთვის მინიჭებული დაცვა წყაროს კონფიდენციალურად დატოვების მიზნით „ორმხრივი იყო და ეხებოდა არამხოლოდ ჟურნალისტს, არამედ აგრეთვე წყაროს, რომელიც ნებაყოფლობით ეხმარება პრესას საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე საზოგადოების ინფორმირებაში“. შესაბამისად, გარემოებები, რომლის მიხედვით X-ს ჰქონდა საფუძველი მომჩივნისთვის თავი „წყაროდ“ გაეცნო, ხოლო შემდეგში ეთანამშრომლა გამოძიებასთან, მიანიშნებს, რომ წინამდებარე საქმეზე ვერ იქნება გამოყენებული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ისეთივე ხარისხი, როგორც იმ ჟურნალისტებისთვის, რომელთა წყაროს ვინაობა უცნობია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ-ნი ბეკერის უარი, გაემხილა წყარო ან წყაროები არ აფერხებდა საქმის გამოძიებას ან ბ-ნი X-ის წინააღმდეგ საქმის განხილვის წარმოებას. ამის საპირისპიროდ, არ არსებობდა რაიმე გარემოება, რაც მიუთითებდა, რომ ქ-ნი ბეკერის უარმა ჩვენების მიცემის თაობაზე ნორვეგიის სასამართლოებისთვის წარმოქმნა რაიმე დაბრკოლება X-ის წინააღმდეგ მტკიცებულებების ან საქმის განხილვის კონტექსტში. ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ეჭვქვეშ არასდროს დამდგარა ქ-ნი ბეკერის ჟურნალისტური მეთოდები და ის არ ყოფილა ბრალდებული უკანონო საქმიანობაში.

პრესის თავისუფლებისთვის ჟურნალისტის წყაროს საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ბეკერის მიერ ბ-ნი X-ს წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სასარგებლოდ წარმოდგენილი მიზეზები, მართალია რელევანტური, თუმცა არასაკმარისი იყო. შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გასაჩივრებული ბრძანება გამართლებული იყო „საზოგადოებრივი ინტერესის მოთხოვნით“ და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

**დასკვნა:** სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

წინამდებარე საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „მოცემულ საქმეში მომჩივანს ბრალი არ ედება უკანონო საქმიანობის განხორციელებაში, მის წინააღმდეგ არ არის აღძრული გამოძიება და არ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება.“ ამ კონტექსტში, სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია ქ-ნი ბეკერის მიერ გამოყენებული ჟურნალისტური მეთოდები. პრინციპის თანახმად, წყარომ არ უნდა დაკარგოს დაცვა ჟურნალისტის უკანონო, არაეთიკური ან სადავო ქმედების გამო. თუმცა, ვინაიდან სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია მომჩივნის ჟურნალისტური მეთოდები, ეს შესაძლოა გულისხმობდეს, რომ საქმეებში, სადაც მთავრობა აკრიტიკებს ან სადავოდ ხდის ჟურნალისტის მიერ გამოყენებულ მეთოდებს,



შესაძლოა ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის უფლების გამოყენება აღარ იყოს ვალიდური.

ამასთან, ამ საქმესთან მიმართებით უნდა შევხვით ქართველი მოსამართლის ნონა წოწორიას მიერ გამოთქმულ თანმხვედრ მოსაზრებას. ის არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვით იმ საქმეებზე, სადაც ცნობილია წყაროს ვინაობა, მე-10 მუხლის ნაკლები დაცვა ვრცელდება. მისი მოსაზრებით, ეს დასაბუთება არ გამომდინარეობს პრეცედენტული სამართლიდან, რომლის თანახმად ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა მოქმედებს წყაროს ქმედებისგან დამოუკიდებლად. მოსამართლე წოწორია ვერ ხედავს ლოგიკას, რაც ჟურნალისტებთან მიმართებით კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით დაცვის ხარისხების დაყოფის უკან დგას, კერძოდ, როდესაც დაცვის ხარისხი განსხვავებულია იმაზე დაყრდნობით, რომ **წყაროს წარმოადგენდა უცნობი პირები და პირები, რომლებმაც გამოძიების დროს გაამჟღავნეს ვინაობა.** მოსამართლის მოსაზრებით, სასამართლოს მსგავსა მიდგომამ შესაძლოა პრეცედენტულ სამართალში არათანმიმდევრულობა გამოიწვიოს და შეასუსტოს მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა.

## დასკვნა

ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ჟურნალისტთა უფლება, არ გაამჟღავნონ ინფორმაციის წყარო, არ არის უბრალო პრივილეგია, რომლის არსებობაც დამოკიდებულია მათი წყაროს კანონიერებასა ან უკანონობაზე. ეს დაცვა მოქმედებს მაშინაც, როდესაც საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილია ჟურნალისტის წყაროს ვინაობა. ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალურობის გამჟღავნება გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნით, რაც, მაგალითად, შეიძლება იყოს საგამოძიებო ორგანოს მიერ დანაშაულის გახსნა ან პრევენცია. საკითხის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს უფრო ნაკლებად შემზღვეველი ზომა ხომ არ იყო საკმარისი აღმატებული საჯარო ინტერესის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ყურადღება ენიჭება „მსუსხავ ეფექტს“, რომელიც შესაძლოა წყაროს გამჟღავნებას ჰქონდეს, ჟურნალისტის და, ზოგადად, მედიის საქმიანობაზე. ამრიგად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს სასწორის პინაზე მყოფი რომელი სამართლებრივი სიკეთე გადაწონის. ამასთანავე, ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში აკრძალული არ აქვს მოთხოვოს ჟურნალისტს ინფორმაციის ან დოკუმენტების გადაცემა. გადაწყვეტილების მიღებისას განხილულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: სადავო დანაშაულის სერიოზულობა და ბუნება, მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრული ბუნება და შინაარსი, ინფორმაციის მოპოვების ალტერნატიული შესაძლებლობის არსებობა და ხელისუფლების ორგანოებზე დაწესებული შეზღუდვა, აღნიშნული მასალების გამოყენების თაობაზე.